

სოფია ქასირი

# ანონიმურობა კიბერსივრცეში: სასამართლო და საკანონმდებლო რეგულირების საკითხები

სტატია გამოქვეყნდა ავტორისა და Fordham Law Review-ს თანხმობით. ნამუშევარი პირველად დაიბეჭდა 2013 წელს, Fordham Law Review, Vol. 81.

სოფია ქასირი<sup>1</sup>

*J.D. კანდიდატი, ფორდამის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, აშშ.*

ტრადიციულად, ფუნდამენტური უფლებების კონსტიტუციური დაცვის ფარგლები იცვლება და ვითარდება ახალი სოციალური ნორმებისა და ტექნოლოგიის კვალდაკვალ. სიტყვის თავისუფლება ინტერნეტზე სულ უფრო ძლიერდება. პირველი დამატება იცავს ინდივიდუალური პირის უფლებას, ისაუბროს ანონიმურად, მაგრამ რა ხარისხით იცავს ის ანონიმურად სიტყვის გამოხატვის უფლებას ინტერნეტში? ეს საკმაოდ რთული საკითხია, რადგან ხელისუფლებამ უნდა გააწონასწოროს სიტყვის თავისუფლების ფუნდამენტური ბუნება იმ პოტენციურ საფრთხეებთან, რომლებიც ინტერნეტში ანონიმური სიტყვის გამოხატვას უკავშირდება, მათ შორისაა ცილისწამება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა და განზრახ მორალური ზიანის მიყენება. მართალია, დაბალი ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ინტერნეტში ანონიმური სიტყვის თავისუფლება არსებობს, მაგრამ მათ ჯერ საერთო სტანდარტი არ მიუღიათ. ამასობაში, დაბნეულობისა და ქაოტური მდგომარეობის გასაწესებლად და მათი უფლებების დასაცავად, ვისაც ზიანი მიადგა ინტერნეტში ანონიმური გამოხატვის გამო, შტატების საკანონმდებლო ორგანოები ცდილობენ ინტერნეტში ანონიმური გამოხატვის უფლების ნაწილობრივ ან სრულ შეზღუდვას.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სიტყვის თავისუფლების რეგულირების ისტორია, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილია ონლაინ რეჟიმში ანონიმური სიტყვის თავისუფლების დაცვაზე და მის გამამართლებელ გარემოებებზე. ნაშრომში შესწავლილია სასამართლოების მიერ შემუშავებული და მიღებული სტანდარტები, რომელთა მიხედვით, წყდება ანონიმი ავტორების ვინაობის განსაჯაროების საკითხი და ახალი საკანონმდებლო

<sup>1</sup> ფორდამის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის Juris Doctor, კანდიდატი, 2014. კორნელის უნივერსიტეტი, სამეწარმეო და შრომითი ურთიერთობების სკოლა. მადლობას ვუხდის პროფესორ აბნერ გრინს ხელმძღვანელობისთვის და ამ თემის განვითარებაში გაწეული დახმარებისთვის, და ჩემს შშობლებს, რომლებიც მუდმივად მამხნელებდნენ მუშაობისას.

ინიციატივები, რომლებიც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ისახავენ მიზნად. შემდგომ ვსაუბრობთ იმაზე, რომ საკანონმდებლო ორგანომ კი არ უნდა შეზღუდოს თავისუფალი სიტყვის უფლებები, არამედ გაზარდოს და გააფართოოს სასამართლო დაცვის საშუალებები დაზარალებულებისთვის. ჩვენ გთავაზობთ მოსაზრებას, რომ სასამართლომ დაადგინოს სტანდარტი, რომელიც დაავალდებულებს მოსარჩელეს, ანონიმი ავტორის ვინაობის განსაჯაროების მოთხოვნამდე მტკიცებულება წარმოადგინოს იმის შესახებ, რომ ანონიმმა ავტორმა სამართალდარღვევა ჩაიდინა.

## შინაარსი

### წინასიტყვაობა

#### I. ანონიმური სიტყვის თავისუფლების დაცვის სამართლებრივი ლანდშაფტი ინტერნეტში

ა) სიტყვის თავისუფლების რეგულირების ნორმები

1) შინაარსზე დაფუძნებული რეგულაციები

2) მოქმედების ზედმეტად ფართო სფეროსა და ორაზროვნების/ზუნდოვანების დოქტრინები

3) კომერციული/სარეკლამო გამოხატვის რეგულირება

ბ) სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დელიქტური პასუხისმგებლობა

1. ცილისწამება

2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა

ა. უსაფუძვლო ჩარევა

ბ. პირად და ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ფაქტების გამომჟღავნება

გ. ადამიანის მცდარად/ყალბად წარმოდგენა საჯარო სივრცეში

დ. მითვისება

3. მორალური ზიანის განზრახ მიყენება

გ) ანონიმური გამონატვის რეგულირება

1. ანონიმური გამონატვის უფლებების სამართლებრივი საფუძვლები
2. ანონიმური გამონატვის რეგულირება

**II. ონლაინ ანონიმური სიტყვის თავისუფლების დაცვის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგები**

- ა. ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლების დაცვის საფუძვლები
- ბ. ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები

**III. სიტყვის თავისუფლების მოქმედი რეგულაციები**

- ა. ვინაობის განსაჯაროების მიზნით სასამართლოში გამოძახების სტანდარტები:
  1. კეთილსინდისიერების სტანდარტი
  2. თანაზომიერების დაცვის სტანდარტი
  3. გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი
  4. “2TheMart” სტანდარტი, რომელიც ჩამოყალიბდა საქმეში “Doe v. 2themart.com Inc”
- ბ. ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საკანონმდებლო ინიციატივები

**IV. სრულყოფილი, ამომწურავი სამართლებრივი სტანდარტის შექმნა**

- ა. ვინაობის განსაჯაროების მიზნით სასამართლოში გამოძახების სტანდარტი
- ბ. საკანონმდებლო რეაგირება

დასკვნა

## წინასიტყვაობა

ანონიმურმა სიტყვის თავისუფლებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ამერიკის ისტორიაში, აშშ-ის კონსტიტუციის რატიფიცირების მომხრეები და ოპონენტები ანონიმურად ავრცელებდნენ თავიანთ არგუმენტებს ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად<sup>2</sup>. უზენაესმა სასამართლომ უპირობოდ და არაორაზროვნად აღიარა, რომ სიტყვის თავისუფლება ანონიმურად საუბრის უფლებასაც მოიცავს<sup>3</sup>. თუმცა ინტერნეტის მოხმარების გაფართოება ანონიმური სიტყვის უფლებათა გარე საზღვრებს აგრძელებს. მართალია, ინტერნეტი ადამიანს უფრო დიდი აუდიტორიისთვის ხმის სწრაფად მიწვდენის საშუალებას აძლევს, მაგრამ, ამავდროულად, ზიანის მიყენების უნარსაც მატებს გამანადგურებელი სიტყვით. ინტერნეტში ანონიმურ სიტყვასთან დაკავშირებით გავრცელებული პრობლემებია: ცილისწამება<sup>4</sup>, არამართლზომიერი ჩარევა ბიზნესში<sup>5</sup> და საავტორო უფლებების დარღვევა<sup>6</sup>. უზენაესი სასამართლოს დადგენილების მიუხედავად, რომ სიტყვის თავისუფლების უფლებები ინტერნეტზეც ვრცელდება<sup>7</sup>, მას ჯერ არ გადაუჭრია ინტერნეტში ანონიმური სიტყვის მოქმედების სფეროს პრობლემის საკითხი.

ამ დროისთვის, მეოთხე და მეცხრე საოლქო სასამართლოებს (Fourth and Ninth Circuit Courts) დადგენილი აქვთ, რომ ანონიმურად საუბრის კონსტიტუციური უფლება არსებობს, მაგრამ მისი მოქმედების სფეროს განმსაზღვრელი სტანდარტი ჯერ არ მიუღიათ<sup>8</sup>. მაგალი-

<sup>2</sup> „პუბლიუსის“ (Publius) ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილების სერიის, ფედერალისტის წერილები (Federalist Papers), ავტორები ალექსანდრ ჰამილტონი, ჯეიმს მედისონი და ჯონ ჯეი არიან. ისინი აშშ-ის კონსტიტუციის მიღების საჭიროებაზე წერდნენ. იხ. Alexander Hamilton, James Madison & John Jay, Federalist Papers (Goldwin Smith, ed. 1901). კონსტიტუციის მიღების ანტიფედერალისტი მოწინააღმდეგეებიც ფსევდონიმებით აქვეყნებდნენ სტატიებს იმდროინდელ პერიოდიკაში, მაგ., ბრუტუს, კატო და სენტინელი. იხ. HERBERT J. STORING, THE COMPLETE ANTI-FEDERALIST (1981).

<sup>3</sup> იხ. მაგალითად, საქმე: Watchtower Bible & Tract Soc’y of New York, Inc. v. Vill. of Stratton, 536 U.S. 150, 166–67 (2002) (კანონი, რომელიც ნებართვას ითხოვდა პამფლეტების კარიდან კარზე დარიგებას, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, რადგან ის ხელყოფდა სიტყვის გამოშვების/მოლაპარაკის პირველ დამატებით დაცულ უფლებას); იხ. საქმე: McIntyre v. Ohio Elections Comm’n, 514 U.S. 334, 341–42 (1995) („ავტორის ანონიმურობა, ჩვეულებრივ, საკმარისი საფუძველი არ არის იმისთვის, რომ მისი პროდუქცია დაუშვებლად იქნეს მიჩნეული პირველი დამატებით უზრუნველყოფილი დაცვისთვის“); იხ. საქმე: Talley v. California, 362 U.S. 60, 65 (1960) (სასამართლომ დაადგინა, რომ ნორმა, რომელიც კრძალავდა ანონიმური სარეკლამო ფურცლების დარიგებას, არაკონსტიტუციური იყო).

<sup>4</sup> იხ. საქმე: Doe v. Cahill, 884 A.2d 451 (Del. 2005).

<sup>5</sup> იხ. საქმე: Quixtar Inc. v. Signature Mgmt. Team, LLC, 566 F. Supp. 2d 1205 (D. Nev. 2008) (აღინიშნა, რომ როგორც მოსარჩელე ირწმუნებოდა, ბრალდებული უკანონოდ ჩაერია მის ბიზნესში, როცა ინტერნეტში ცილისწამებულური კამპანია გააჩალა მის წინააღმდეგ ანონიმის პოსტებით/შეტყობინებებით).

<sup>6</sup> იხ. საქმე: Sony Music Entm’t Inc. v. Does 1-40, 326 F. Supp. 2d 556 (S.D.N.Y. 2004).

<sup>7</sup> იხ. საქმე: Reno v. ACLU, 521 U.S. 844 (1997).

<sup>8</sup> შეადარეთ გადაწყვეტილება საქმეში: SIO3, Inc. v. Bodybuilding.com, LLC, 441 F. App’x 431, 433 (მე-9 საოლქო სასამართლო, 2011) (აუქმებს რაიონული/ტერიტორიული სასამართლოს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების ნორმა გამოიყენოს, რადგან რაიონული/ტერიტორიული სასამართლოს „განსახილველი სიტყვის უფლების ბუნება“ არ ჰქონდა განსაზღვრული) შემდეგ განცხადებასთან: Anonymous Online Speakers, 661 F.3d 1168, 1177 (მე-9 საოლქო, 2011) (აღინიშნავს, რომ რაიონულ/ტერიტორიულ სასამართლოს ბოროტად არ გამოუყენებია თავისი დისკრეტია გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების ნორმის გამოყენებისას). აშშ-ის მეოთხე საოლქო სასამართლომ 2004 წელს განიხილა ანონიმური სიტყვის თავისუფლების საკითხი საქმეში: Peterson v. National Telecommunications and Information Administration, 478 F.3d 626, 633–34 (მე-4 საოლქო, 2007), მაგრამ არ უმსჯელია ანონიმური სიტყვის თავისუფლების მოქმედების მატერიალურ ფარგლებზე. ამის მაგივრად, სასამართლომ დაადგინა, რომ უფლება ანონიმურობაზე არ იყო ეჭვქვეშ დაყენებული, რადგან მოსარჩელეს კანონის კონსტიტუციურობის გასაჩივრების უფლება არ გააჩნდა. სასამართლოების მიერ მიღებული სხვადასხვა ნორმების განხილვა იხილეთ: *infra* Part III. A.

თად, ზოგიერთი იურისდიქცია მოითხოვს, რომ მომჩივანმა დააკმაყოფილოს გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტის მოთხოვნები მანამ, სანამ სასამართლო ვებგვერდზე განთავსებული შენიშვნის/პოსტის ავტორის ვინაობის განსაჯაროებაზე<sup>9</sup> ნებას გასცემს. ზოგიერთში კი, მოსარჩელეს შეიძლება თანაზომიერების ტესტის დაკმაყოფილება დასჭირდეს, სადაც განსაჯაროებისა და ანონიმურობის დაცვის ინტერესები შეჯერდება<sup>10</sup>, ან გამოავლინოს კეთილსინდისიერება – კომენტატორის ვინაობის გამოვლენამდე<sup>11</sup>.

რამდენიმე შტატის საკანონმდებლო ორგანომაც სცადა ანონიმი ავტორების უფლებათა ფარგლების საკითხის გადაჭრა<sup>12</sup>, მაგრამ მხოლოდ ერთმა მიიღო კანონი, რომელიც ზოგადად იძლევა ნორმას, რომლის საშუალებით, დაინტერესებულ მხარეს შეიძლება გაუმჟღავნონ ანონიმი მოსაუბრის ვინაობა<sup>13</sup>.

ორ შტატში მიიღეს კანონები, რომლითაც სქესობრივ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის-თვის მსჯავრდებული პირებისთვის შეიზღუდა ანონიმური სიტყვის თავისუფლება<sup>14</sup>. თუმცა ხელისუფლებას არ შეუძლია სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა კონსტიტუციის მეხუთე დამატებით გათვალისწინებული სათანადო სამართლებრივი პროცესის მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე, რადგან ეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა<sup>15</sup>. უფრო მეტიც, ადამიანს საკმარისი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ რა სახის სიტყვაა დაცული<sup>16</sup>.

<sup>9</sup> იხ. საქმე: Doe v. Cahill, 884 A.2d 451 (Del. 2005).

<sup>10</sup> იხ. მაგალითად, საქმეები: Columbia Ins. Co. v. Seescandy.com, 185 F.R.D. 573 (N.D. Cal. 1999); Dendrite Int'l Inc. v. Doe No. 3, 775 A.2d 756 (N.J. Super. Ct. App. Div. 2001).

<sup>11</sup> იხ. მაგ., *In re Subpoena Duces Tecum to America Online, Inc.*, 52 Va. Cir. 26 (Cir. Ct. 2000).

<sup>12</sup> იხ. *infra* Part III.B.

<sup>13</sup> მაგ., ვირჯინიის შტატის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი, რომელმაც „ჯონ დოუს“ პრინციპით სასამართლოში გამოძახების ერთიანი სტანდარტი შემოიღო, მაგრამ პირდაპირ არ შეუზღუდავს ანონიმური სიტყვა. იხ. VA. CODE ANN. § 8.01-407.1 (2012). კალიფორნიაშიც მსგავსი კანონი განიხილეს. იხ.: A.B. 1143, 2003 Leg., Reg. Sess. (Cal. 2003), ვებგვერდზე [http://www.leginfo.ca.gov/pub/03-04/bill/asm/ab\\_1101-1150/ab\\_1143\\_bill\\_20030221\\_introduced.pdf](http://www.leginfo.ca.gov/pub/03-04/bill/asm/ab_1101-1150/ab_1143_bill_20030221_introduced.pdf) (უკანასკნელად ნანახია 2013 წლის 19 აპრილს). მაგრამ ქვედა პალატის მიერ განხილული კანონის განხილვაზე და დამტკიცებაზე სენატმა უარი თქვა. იხ. *Complete Bill History* (კანონის მიღების ისტორია), OFFICIAL CAL. LEGIS. INFO., ვებგვერდზე: [http://www.leginfo.ca.gov/pub/03-04/bill/asm/ab\\_1101-1150/ab\\_1143\\_bill\\_20041130\\_history.html](http://www.leginfo.ca.gov/pub/03-04/bill/asm/ab_1101-1150/ab_1143_bill_20041130_history.html) (უკანასკნელად ნანახია 2013 წლის 19 აპრილს). ჯორჯიის შტატის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი, რომლითაც ინფორმაციის ყალბი სახელით გავრცელების – გადაცემის კრიმინალიზაცია მოახდინა. იხ. GA. CODE ANN. § 16-9-93.1 (West 2012). მაგრამ ჯორჯიის ფედერალურმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კანონი ზღუდავდა ანონიმურ სიტყვას და სასამართლო ბრძანებით აკრძალა მისი აღსრულება. იხ. *ACLU of Ga. v. Miller*, 977 F. Supp. 1228, 1235 (N.D. Ga. 1997). ნიუ-ჯერსიში მიიღეს კანონი, რომელიც კომენტატორის დარეგისტრირებას ითხოვს ვებგვერდებზე შენიშვნის განთავსებამდე, რითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა უფლება ანონიმურობაზე. იხ. A.B. 1327, 212th Leg., 1st Sess. (N.J. 2006) ვებგვერდზე: [http://www.njleg.state.nj.us/2006/Bills/A1500/1327\\_11.PDF](http://www.njleg.state.nj.us/2006/Bills/A1500/1327_11.PDF) (უკანასკნელად ნანახია 2013 წლის 19 აპრილს). ამჟამად ნიუ-იორკის საკანონმდებლო ორგანო განიხილავს კანონს ინტერნეტის დაცვის შესახებ, რომელიც ნიუ-ჯერსის კანონის მსგავსია. იხ. A.B. 8688, 2012 Leg., 235th Sess. (N.Y. 2012) ვებგვერდზე: [http://assembly.state.ny.us/leg/?default\\_fid=%0D%0A&bn=A.8688&term=2011&Summary=Y&Text=Y](http://assembly.state.ny.us/leg/?default_fid=%0D%0A&bn=A.8688&term=2011&Summary=Y&Text=Y) (უკანასკნელად ნანახია 2013 წლის 19 აპრილს). იხილეთ აგრეთვე: *infra* Part I.C.2.

<sup>14</sup> იხ. კანონი: კალიფორნია სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, 2012 Cal. Legis. Serv. Prop. 35, § 12 (West) (კოდიფიცირებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსში: CAL. PENAL CODE § 290.015(a)(4) (West 2013), ვებგვერდზე: <http://vig.cdn.sos.ca.gov/2012/general/pdf/text-proposed-laws-v2.pdf#nameddest=prop35>; GA. CODE ANN. § 42-1-12(a)(16)(K) (West 2008), გაუქმებულია გადაწყვეტილებით საქმეში: *White v. Baker*, 696 F.Supp. 2d 1289 (N.D. Ga. 2010).

<sup>15</sup> იხ. აშშ-ის კონსტიტუცია, მეხუთე დამატება.

<sup>16</sup> იხ. საქმე: *FCC v. Fox Television Stations, Inc.*, 132 S. Ct. 2307, 2317 (2012) („ჩვენი სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტური პრინციპია, რომ კანონი, რომელიც ადამიანის ან იურიდიული პირის ურთიერთობებს არეგულირებს, უნდა იძლეოდეს ზუსტ ინფორმაციას აკრძალული ან სავალდებულო ქცევის შესახებ“).

კონსტიტუციის პირველი დამატება უკრძალავს ხელისუფლებას ისეთი კანონის მიღებას, რომელიც „ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას“<sup>17</sup>, მაგრამ სიტყვის თავისუფლება აბსოლუტური არ არის და დამოკიდებულია დაპირისპირებულ ინტერესებზე<sup>18</sup>. მაგალითად, მთავრობას დაწესებული აქვს შეზღუდვები ისეთ სიტყვაზე, რომელმაც შეიძლება გარდაუვალი უკანონო ქმედება<sup>19</sup> და პროვოკაცია<sup>20</sup> გამოიწვიოს; შეზღუდული აქვს აგრეთვე მტრულად განწყობილი აუდიტორიის წინაშე სიტყვის წარმოთქმა<sup>21</sup> და უხამსი<sup>22</sup> და ცილისმწამებლური<sup>23</sup> სიტყვები. მიუხედავად იმისა, რომ ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლება შეიძლება სიტყვის თავისუფლების ისეთ ელემენტებს მოიცავდეს, რომელთა შეზღუდვა შესაძლებელია, ის, ამავდროულად, ბევრ დაცულ სივრცესაც მოიცავს, მათ შორის პოლიტიკურ სიტყვას და სხვა ექსპრესიულ აქტივობებს, რომლებიც არ იზღუდება. ამგვარად, აუცილებელია შევავსოთ, თუ რა ხარისხით გამოიყენება ონლაინ კონტენტისთვის სიტყვის შეზღუდვის გამამართლებელი გარემოებები და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ეს ნორმები ისე, რომ ანონიმური სიტყვის დაცული ელემენტების დათრგუნვა ავიცილოთ თავიდან.

ნაშრომი ოთხ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში განხილულია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სიტყვის თავისუფლების ნორმებთან დაკავშირებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რომელიც კვეცს ამ უფლებებს და ანონიმური სიტყვის თავისუფლების ისტორია ტრადიციულ კონტექსტებში. მეორე ნაწილში ვიკვლევთ ანონიმური სიტყვის თავისუფლების საწინააღმდეგო და მომხრე არგუმენტებს ინტერნეტის კონტექსტში. მესამე ნაწილი ეხება სხვადასხვა სტანდარტებს, რომლებსაც სასამართლო მიმართავს მაშინ, როცა წყვეტს, დააკმაყოფილოს თუ არა შუამდგომლობა ანონიმი ავტორის ვინაობის გამოსავლენად. დაბოლოს, მეოთხე ნაწილში ვამტკიცებ, რომ სასამართლომ უნდა მოითხოვოს, მოსარჩელემ დააკმაყოფილოს მოდიფიცირებული გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარ-

<sup>17</sup> იხ. აშშ-ის კონსტიტუციის პირველი დამატება.

<sup>18</sup> იხ. Stephen H. Shiffrin & Jesse H. Chpper, *The First Amendment: Cases, Comments, Questions 2* (პირველი დამატება/შესწორება: საქმეები, კომენტარები, კითხვები); (მე-5 გამოცემა. 2011).

<sup>19</sup> იხ. საქმე: *Brandenburg v. Ohio*, 395 U.S. 444 (1969) (per curiam) (სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო შტატის კანონი, რომლითაც აიკრძალა ძალადობის მომხრე სიტყვა და არა ძალადობისკენ წაქეზება, რადგან ის მოსაუბრის სიტყვის თავისუფლებას არღვევდა).

<sup>20</sup> იხ. საქმე: *Chaplinsky v. New Hampshire*, 315 U.S. 568 (1942). ამ საქმეში სასამართლო დაეთანხმა მოსაუბრის/ავტორის დაპატიმრებას შტატის იმ კანონის დარღვევის საფუძველზე, რომლითაც პირს ეკრძალებოდა სხვისთვის სალანძღვი, დამამცირებელი ან გამაღიზიანებელი სიტყვებით მიემართა, რადგან კანონი კონსტიტუციურად ზუნდოვანი არ იყო. *Id.* გვ. 574.

<sup>21</sup> იხ. საქმე: *Feiner v. New York*, 340 U.S. 315, 318–21 (1951) (სასამართლომ მხარი დაუჭირა კანონის კონსტიტუციურობას, რომელიც კრძალავდა ისეთ სიტყვას, რომელსაც მშვიდობის დარღვევა შეეძლო, რადგან შტატი აღჭურვილია ისეთი ძალაუფლებით, რომლითაც ძალადობის თავიდან აცილება შესაძლებელია).

<sup>22</sup> იხ. საქმე: *New York v. Ferber*, 458 U.S. 747, 763–64 (1982) (დაადასტურა შტატის კანონის კონსტიტუციურობა, რომელიც კრძალავდა პორნოგრაფიული მასალების გაყიდვას, რომლებზეც ბავშვები იყვნენ გამოსახული, რადგან პირველი დამატება/შესწორება არ იცავს ბავშვთა პორნოგრაფიას და არც კანონი იყო ზედმეტად ფართო ან ორაზროვანი); იხ. აგრეთვე: *Miller v. California*, 413 U.S. 15, 24 (1973) (სასამართლომ დაადგინა, რომ შტატებს უფლება აქვთ, შეზღუდონ პორნოგრაფიული ნამუშევრების გაყიდვა, „რომლებიც, ერთად აღებული, აღვივებენ ბიწიერ ინტერესს სექსში, რომელზეც აშკარად უსიამოვნოდ აღწერილია სექსუალური აქტი და რომლებსაც, ერთად აღებული, არ გააჩნია ლიტერატურული, მხატვრული, პოლიტიკური თუ სამეცნიერო ღირებულება“).

<sup>23</sup> იხ. საქმე: *Gertz v. Robert Welch, Inc.*, 418 U.S. 323, 347 (1974) (დაადგინა, რომ შტატებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ პასუხისმგებლობის სტანდარტები ტელეკომენტატორებისთვის, რომლებიც ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებენ კერძო პირებზე); იხ. აგრეთვე საქმე: *N.Y. Times Co. v. Sullivan*, 376 U.S. 254, 279–80 (1964) (დაადგინა, რომ გამომცემელი/რედაქტორი, რომელსაც გაუცნობიერებლად მოსდის შეცდომა საჯარო პირის საქციელთან დაკავშირებული ფაქტის შესახებ, არ შეიძლება სამოქალაქო პასუხისმგებლობაში მიეცეს, რადგან პირველი დამატება/შესწორება იცავს საუბრის თავისუფლებას).

ტის მოთხოვნები მანამ, სამან ნებას გაცემს ანონიმი ავტორის ვინაობის გამჟღავნებაზე და რომ საკანონმდებლო ორგანო არ უნდა ცდილობდეს ანონიმური ონლაინ სიტყვის აკრძალვას.

## I. ანონიმური სიტყვის თავისუფლების დაცვის სამართლებრივი ლანდშაფტი ინტერნეტში

აშშ-ში, კონსტიტუციის პირველი დამატება იცავს სიტყვის თავისუფლებას, რომელიც ფუნდამენტურ უფლებად მიიჩნევა<sup>24</sup>. მიუხედავად დამატების ფართო ფორმულირებისა, რომ „კონგრესი არ იღებს კანონს... რომელიც ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას“<sup>25</sup>, თითქმის საყოველთაოდაა აღიარებული, რომ სიტყვის თავისუფლების უფლება ზოგიერთ შემთხვევაში იზღუდება<sup>26</sup>. ამ ნაწილში განხილულია ანონიმური სიტყვის სამართლებრივი ლანდშაფტი. პირველი ნაწილის ა) მონაკვეთი განიხილავს სიტყვის თავისუფლების რეგულირების სტანდარტებს, რომელიც ფოკუსირდება ცილისწამებასა და კომერციულ/სარეკლამო სიტყვის თავისუფლებაზე. ამავე ნაწილის „ბ“ მონაკვეთი ანონიმური სიტყვის თავისუფლების რეგულირების ისტორიას შეისწავლის.

### ა) სიტყვის თავისუფლების რეგულირების სტანდარტები

შემოწმების სტანდარტი/ტესტი, რომელსაც სასამართლო იყენებს კანონის კონსტიტუციურობის დადგენისას, ხშირად რეგულაციის სახეზე და პირველი დამატების მიზნებთან მის მიმართებაზეა დამოკიდებული<sup>27</sup>. აქ გადამწყვეტია, თუ რა მიზანი აქვს წესს, შეზღუდოს სიტყვა თუ მოქმედება<sup>28</sup>. თუ კანონი სიტყვის რეგულირებისკენ მიისწრაფვის, მაშინ სასამართლომ უნდა დაადგინოს შემდეგი საკითხები: დისკრიმინაციულია თუ არა კანონი სიტყვის შინაარსზე დაყრდნობით, არის თუ არა ის საკმარისად ცხადი იმისთვის, რომ ადამიანებს მათი უფლებების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია და ზღუდავს თუ არა მხოლოდ

<sup>24</sup> იხ., მაგალითად, *Sullivan*, 376 U.S. at 269–70 (მსჯელობა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს საქმეებზე, სადაც განხილულია სიტყვის თავისუფლების უფლებათა ძირითადი ბუნება); მაგ., საქმე: *Whitney v. California*, 274 U.S. 357, 375 (1927) (მოსამართლე ბრანდისის თანხმებულ აზრში) (მსჯელობა სიტყვის თავისუფლებაზე, როგორც აშშ-ისთვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპზე).

<sup>25</sup> აშშ-ის კონსტიტუცია, პირველი დამატება.

<sup>26</sup> იხ. *Shiffin & Chopper*, ზედა შენიშვნა 17. ყველაზე გავრცელებული მაგალითია, რომ არავის აქვს უფლება ხალხით გადაჭედო თეატრში ცრუ განგაში ატეხოს ხანძრის შესახებ); *Id.*

<sup>27</sup> იხ. *Cf. United States v. Carolene Prods. Co.*, 304 U.S. 144, 152 n.4 (1938) (დაადგინა, რომ სახეზეა კონსტიტუციურობის ვიწრო პრეზუმცია, როცა კანონმდებლობა ზღუდავს პირველი ათი დამატებით დაცულ უფლებებს).

<sup>28</sup> იხ. საქმე: *See United States v. O'Brien*, 391 U.S. 367, 376 (1968).

სიტყვის თავისუფლების დაუცველ სივრცეებს<sup>29</sup>. განხილვის წესი, რომელსაც სასამართლო იყენებს, ნაწილობრივ დამოკიდებულია წესის სახეობაზე. ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ შინაარსზე დაფუძნებული სიტყვის რეგულირების სტანდარტებს, მოქმედების ზედმეტად ფართო სფეროსა და ორაზროვნების/ზუნდოვანების დოქტრინებს და კომერციული სიტყვის თავისუფლების საკითხს.

## 1. შინაარსზე დაფუძნებული რეგულაციები

შინაარსზე, ანუ ავტორის იდეებსა თუ სალაპარაკო თემაზე დაფუძნებული რეგულაციები, რომლებიც სიტყვის თავისუფლებას კრძალავენ, სავარაუდოდ, არაკონსტიტუციურია და, შესაბამისად, მკაცრ შემოწმებას ექვემდებარება (strict scrutiny)<sup>30</sup>. მკაცრი შემოწმების წესის თანახმად, ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ ეს ნორმები ვიწროდ არის მორგებული მის აუცილებელ ინტერესზე<sup>31</sup>. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობას უფლება აქვს, შეზღუდოს „პროვოკაციული სიტყვები“<sup>32</sup> და ის სიტყვები, რომლებიც გარდაუვლად უკანონო მოქმედებისკენ უბიძგებენ ადამიანს<sup>33</sup>, რადგან ხელისუფლების ინტერესში საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაა და ეს შეზღუდვები მნიშვნელოვნად არ ზღუდავს მოსაუბრის შესაძლებლობას, რომ თავისი სათქმელი გაავრცელოს<sup>34</sup>. თუმცა ხელისუფლებას არ გააჩნია იმის აუცილებელი ინტერესი, რომ სიტყვის თავისუფლება „იმ მიზნით დაარეგულიროს, რომ ის დონე შეინარჩუნოს, რასაც ის მიიჩნევს დისკურსის შესაფერის დონედ სახელმწიფოში“<sup>35</sup>.

სიტყვის თავისუფლების შინაარსისადმი ნეიტრალური შემზღუდველი ნორმები საშუალო დონის შემოწმებას (intermediate scrutiny) ექვემდებარებიან, რადგან ისინი, სავარაუდოდ, ნაკლებ დისკრიმინაციულია გარკვეული მოსაზრებების მიმართ ან ნაკლებად უშლიან ხელს საჯარო დიალოგს<sup>36</sup>. საშუალო დონის სიმკაცრის შემოწმების დროს ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს, რომ კანონი არსებითადაა დაკავშირებული სახელმწიფოს მნიშვნელოვან ინტერესთან<sup>37</sup>.

<sup>29</sup> იხ. იქვე, გვ. 376–77.

<sup>30</sup> იხ. საქმე *R.A.V. v. City of St. Paul*, 505 U.S. 377, 382 (1992). მკაცრი დონის შემოწმება განხილვის სტანდარტია, რომელსაც სასამართლო ხელისუფლების ქმედებების კონსტიტუციურობის შესაფასებლად მიმართავს, როცა ის ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ფუნდამენტურ უფლებას ართმევს. იხ. Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies* 554 (მე-4 გამოცემა, 2011). მკაცრი შემოწმება მოითხოვს, ხელისუფლებამ აჩვენოს, რომ მას აშკარა, დაუძლეველი/აუცილებელი ინტერესი ამოძრავებს და რომ ეს საშუალებები ზუსტად არის მორგებული ან აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად. *Id.*

<sup>31</sup> იხ. მაგ., საქმე: *R.A.V.*, 505 U.S. გვ. 395 (სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო ბრძანებულება (ორდინანსი), რომელიც სიტყვის თავისუფლებას არეგულირებს მტრული შინაარსის საფუძველზე, რადგან ის ვიწროდ/ზუსტად მორგებული არ არის ხელისუფლების დაუძლეველ ინტერესზე, რომელიც ისტორიულად დისკრიმინირებული ჯგუფების დაცვას წარმოადგენს).

<sup>32</sup> იხ. *Chaplinsky v. New Hampshire*, 315 U.S. 568, 573 (1942) (სასამართლომ მიიღო „პროვოკაციული სიტყვების“ დოქტრინა, რომლის მიხედვით ხელისუფლება უფლებამოსილია, აკრძალოს სიტყვა, რომელმაც შეიძლება სიმშვიდე დაარღვიოს).

<sup>33</sup> იხ. საქმე: *Brandenburg v. Ohio*, 395 U.S. 444, 447 (1969) (per curiam) (სასამართლომ დაადგინა, რომ სიტყვა/გამოთქმა შეიძლება დარეგულირდეს თუკი გონივრულადაა გათვლილი, რომ მას გარდაუვლად შეიძლება მოჰყვეს უკანონო მოქმედებების წაქეზება ან განხორციელება).

<sup>34</sup> იხ. *O'Brien*, 391 U.S. გვ. 381; *Chaplinsky*, 315 U.S. გვ. 572.

<sup>35</sup> იხ. საქმე: *Cohen v. California*, 403 U.S. 15, 23 (1971).

<sup>36</sup> იხ. *Turner Broad. Sys., Inc. v. FCC*, 512 U.S. 622, 642 (1994).

<sup>37</sup> იხ. *Rodney A. Smolla, Smolla and Nimmer on Freedom of Speech* § 3:2 (3d ed. 1996).



მაშინ როცა შინაარსისადმი ნეიტრალური წესები უვნებელია და ნაკლები ზეგავლენა აქვს სიტყვის თავისუფლებაზე, მაგალითად, მხოლოდ გონივრული დროისა და ადგილის გარემოებებით და ქცევის წესებით იზღუდება<sup>38</sup>, შინაარსისადმი ნეიტრალურმა კანონმა შეიძლება უფრო ფართოდ შეზღუდოს სიტყვის თავისუფლება, ვიდრე შინაარსზე დაფუძნებულმა წესებმა<sup>39</sup>. ამგვარად, სასამართლო ალბათ უფრო მეტი სიფრთხილით და დაკვირვებით განიხილავს იმ კანონს, რომელიც ზღუდავს ყველა სახის ანონიმური სიტყვის გამოყენებას, რადგან ის მნიშვნელოვნად ხელყოფდა მოსაუბრის მიერ პირველი დამატებით გათვალისწინებულ უფლებებს<sup>40</sup>.

## 2. გადაჭარბებული შეზღუდვის და ორაზროვნების/ზუნდოვანების დოქტრინები

ამას გარდა, სიტყვის თავისუფლების შემზღუდველი ნორმები კონკრეტული, ხოლო მათი მოქმედების ფარგლები განსაზღვრული უნდა იყოს<sup>41</sup>. კანონი არაკონსტიტუციურად ზუნდოვანია, როცა „გონიერ ადამიანს უჭირს იმის თქმა, თუ როგორი გამოხატვა არის დაცული და რა არის ნებადართული“<sup>42</sup>. შეზღუდვები ცხადად უნდა იყოს განსაზღვრული როგორც კანონის თვითნებურად და დისკრიმინაციულად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, ასევე ადამიანების უზრუნველსაყოფად საკმარისი ინფორმაციით მათივე უფლებების შესახებ<sup>43</sup>. გადაჭარბებული შეზღუდვის დოქტრინა გამოიყენება იმ კანონების გასაუქმებლად, რომლებიც უფრო მეტ შეზღუდავას აწესებენ სიტყვის თავისუფლებაზე, ვიდრე ეს კონსტიტუციითაა ნებადართული<sup>44</sup>. ხსენებული დოქტრინები განსაკუთრებით რელევანტურია ანონიმური სიტყვის თავისუფლების რეგულირების კონტექსტში, ვინაიდან წესები საკმაოდ ზუსტი უნდა იყოს იმისთვის, რომ ავირიდოთ დაცული სიტყვის შეზღუდვა, და ამავდროულად მკაფიო, რომ ადამიანებს მათი უფლებების დასაშვები საზღვრების შესახებ ინფორმაცია ჰქონდეთ<sup>45</sup>.

<sup>38</sup> იხ. *id.*

<sup>39</sup> *Id.*

<sup>40</sup> იხ. *id.*; იხ. აგრეთვე *Sharkey's, Inc. v. City of Waukesha*, 265 F. Supp. 2d 984, 994 (E.D. Wis. 2003) (სასამართლომ დაადგინა, რომ კონტენტ-ნეიტრალური კანონები „უფასო საგზურებით“ ნამდვილად არ საჩუქრდებიან პირველი დამატების მიხედვით“) (ციტატა საქმიდან, *Clarkson v. Town of Florence*, 198 F. Supp. 2d 997, 1006 (E.D. Wis. 2002).

<sup>41</sup> იხ. SMOLLA, ზედა შენიშვნა 36, § 6:2.

<sup>42</sup> იხ. *Chemerinsky*, ზედა შენიშვნა 29, გვ. 970.

<sup>43</sup> იხ. *id.*

<sup>44</sup> იხ. *id.*; 972; იხ. აგრეთვე SMOLLA, ზედა შენიშვნა 36, §§ 6:3–6:4.

<sup>45</sup> იხ. *Smolla*, ზედა შენიშვნა 36, § 6:13. ორაზროვნების/ზუნდოვანების დოქტრინა მხოლოდ სიტყვის თავისუფლების რეგულირებაზე არ ვრცელდება. მას იყენებენ სისხლის სამართალშიც და კონსტიტუციური თავისუფლების ნებისმიერი ალკვეთის დროს. იხ. *id.*; იხ. აგრეთვე: *United States v. Williams*, 553 U.S. 285, 304 (2008) („ორაზროვნების/ზუნდოვანების დოქტრინა პირველის კი არა, მეხუთე დამატების მუხლის, სათანადო სამართლებრივი პროცედურის ყლორტია“); საქმე: *Connally v. Gen. Constr. Co.*, 269 U.S. 385, 393 (1926) („არ შეიძლება სავარაუდოდ და ვარაუდების იმედზე დავტოვოთ კანონიერისა და უკანონოს გამყოფი ხაზი“); (ციტატა საქმიდან: *United States v. Capital Traction Co.*, 34 App. D.C. 592, 598 (1910)).

### 3. კომერციული/სარეკლამო სიტყვის რეგულირება

ამ სახის სიტყვის თავისუფლება ნაკლები დაცვით სარგებლობს, ვიდრე სიტყვის თავისუფლების სხვა ფორმები<sup>46</sup>. *Central Hudson Gas & Electric Corp. v. Public Service Commission* საქმის განხილვისას<sup>47</sup>, უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა კომერციული სიტყვის თავისუფლების რეგულირების ტესტი. მართალია, ჯერჯერობით არ არსებობს კომერციული სიტყვის მკაფიო განსაზღვრება, მაგრამ პროფესორი ერვინ ჩემერინსკი მას რეკლამის სახეს უწოდებს, რომელიც კონკრეტულ პროდუქტს ეხება და შექმნილია ეკონომიკური მოტივაციით<sup>48</sup>. ამ ტესტის მიხედვით, სიტყვა შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს, თუ ის კანონიერ საქმიანობას ეხება და შეცდომაში შემყვანი არ არის; თუკი ხელისუფლების ინტერესი არსებითია, წესი უშუალოდ ხელისუფლების ინტერესს წამოსწევს წინ და ბოლოს, თუკი ზუსტად არის მორგებული ინტერესზე<sup>49</sup>. „სენტრალ ჰადსონის“ საქმეში შემუშავებული ტესტი მიღების შემდეგ შეიცვალა და ამჟამად მკაცრი დონის შემოწმებას უფრო წააგავს, თუმცა კი, სავარაუდოდ, ისევ საშუალო დონისაა<sup>50</sup>.

სასამართლოებს ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებიათ მკაფიო სტანდარტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა დაგვედგინა, თუ როდისაა ანონიმური ონლაინ სიტყვა კომერციული<sup>51</sup>. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა რომ ანონიმური აზრის გამოხატვა, რომელიც ბიზნეს-საქმიანობაში ერევა ან მოიცავს საავტორო უფლებების დარღვევას, წარმოადგენს კომერციული აზრის გამოხატვას<sup>52</sup>. ზოგჯერ კი, ანონიმური აზრის გამოხატვა წმინდა ექსპრესიულია და, შესაბამისად, კომერციულად არ მიიჩნევა<sup>53</sup>. საკითხს, არის თუ არა აზრის გამოხატვის კლასიფიცირება რელევანტური იმისთვის, რომ დაცვის შესაფერისი

<sup>46</sup> იხ. *Cent. Hudson Gas & Elec. Co. v. Pub. Gas Comm'n*, 447 U.S. 557, 562–63 (1980) („ამგვარად, კონსტიტუცია კომერციულ სიტყვას ნაკლებ დაცვას ანიჭებს, ვიდრე სხვა, კონსტიტუციით უზრუნველყოფილ გამოთქმას“).

<sup>47</sup> იხ. *Id.*

<sup>48</sup> იხ. *Chemersinsky*, ზედა შენიშვნა 29, 1125; იხ. აგრეთვე: *Bolger v. Youngs Drug Prods. Corp.*, 463 U.S. 60, 66–67 (1983) (დაადგინა, რომ პამფლეტი კომერციულ სიტყვას წარმოადგენდა, რადგან ის რეკლამა იყო, ერთდერით პროდუქტს ეხებოდა და სიტყვის ავტორი ეკონომიკური მოტივაციით მოქმედებდა, მაგრამ აღნიშნა, რომ ყველა ინდივიდუალური ფაქტორი დისპოზიციური არ არის).

<sup>49</sup> იხ. საქმე: *Cent. Hudson Gas & Elec. Co.*, 447 U.S. 566.

<sup>50</sup> იხ. მაგ. საქმე: *Thompson v. W. States Med. Ctr.*, 535 U.S. 357, 360 (2002) (აქ სასამართლომ დაადგინა, რომ ფედერალური კანონი, რომელიც ზღუდავდა სამკურნალო საშუალებების მიწოდების შესაძლებლობას, რეკლამა გაეწიათ მათი პროდუქტისთვის, არაკონსტიტუციური იყო, რადგან ხელისუფლებას საკმარისი ინტერესი არ გააჩნდა კომერციული სიტყვის რეგულირებისთვის იმ კონტექსტში); იხ. აგრეთვე საქმე: *Lorillard Tobacco Co. v. Reilly*, 533 U.S. 525, 562–66 (2001) (სასამართლომ დაადგინა, რომ მკაცრი შემოწმება კომერციული სიტყვის შემზღვეველ კანონზე კი არ ვრცელდება, არამედ სახელმწიფოს მოქმედების გამამართლებელ გარემოებაზე, რომელიც გულდასმით უნდა შესწავლილიყო, იმისთვის, რომ კანონი არაკონსტიტუციურად ყოფილიყო აღიარებული); საქმე: *Greater New Orleans Broad. Ass'n v. United States*, 527 U.S. 173, 183–88 (1999); საქმე: *44 Liquormart, Inc. v. Rhode Island*, 517 U.S. 484, 504 (1996) (სასამართლომ აღნიშნა, რომ აკრძალვა სიტყვაზე, რომელიც არ ეხება მომხმარებლის დაცვას, „განსაკუთრებული სიფრთხილით“ უნდა განხილულიყო).

<sup>51</sup> *Cf. In re* ანონიმი ონლაინ მოსაუბრეები, 661 F.3d 1168, 1177 (9th Cir. 2011) („თუმცა აქ არ გვაქვს იმის საჭიროება, რომ გადავწყვიტოთ, არის თუ არა განსახილველი სიტყვა კომერციული იმ მნიშვნელობით, როგორც მას უზენაესმა სასამართლომ მისცა „სენტრალ ჰადსონში“).

<sup>52</sup> იხ. მაგ. საქმე: *Sony Music Entm't Inc. v. Does 1-40*, 326 F. Supp. 2d 556, 558, 562–63 (S.D.N.Y. 2004) (საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სარჩელი, სადაც დაბალი დონის სიტყვის ინტერესი არსებობდა).

<sup>53</sup> მაგ.: *Dendrite Int'l, Inc. v. Doe, No. 3*, 775 A.2d 756 (N.J. Super. Ct. App. Div. 2001) (უარი ითქვა სასამართლოში გამოძახების შუამდგომლობაზე ანონიმი კომენტატორის ვინაობის დასადგენად, რადგან მოსარჩელემ ვერ შეძლო იმ ზიანის ჩვენება, რომელიც მას ვითომ ცილისმწამებლურმა შენიშვნამ მიაყენა და აღნიშნა, რომ ვინაობის გამჟღავნება კომენტატორის სიტყვის თავისუფლებას დათრგუნავდა).

დონე დადგინდეს სიტყვის თავისუფლებისთვის, რომელიც სასამართლოებმა და საკანონმდებლო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, ქვემოთ განვიხილავთ<sup>54</sup>.

## ბ. სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დელიქტური პასუხისმგებლობა

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია ზღუდავს სიტყვის რეგულირების შესაძლებლობებს ხელისუფლების მხრიდან, სიტყვის/გამონათქვამის ავტორები შეიძლება მათი სიტყვების შედეგების გამო პასუხისმგებელი აღმოჩნდნენ კერძო ქმედებებში. სიტყვის თავისუფლება შეიძლება სამოქალაქო სარჩელის წყარო გახდეს ცილისწამების, პირადი ცხოვრების ხელყოფისა და მორალური ზიანის განზრახ მიყენებისთვის. ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ჩამოთვლილი სამართალდარღვევები და პასუხისმგებლობის გამოყენების საკითხი აზრის ონლაინ გამოხატვისთვის.

### 1. დეჟამაცია/ცილისწამება

ცილისწამება სამართალდარღვევაა, რომელიც საშუალებას აძლევს მომჩივანს, საქმე აღძრას ზიანის ასანაზღაურებლად, როცა მის რეპუტაციას ზიანი ადგება ბრალდებულის მიერ აზრის გამოხატვის გამო<sup>55</sup>. დეჟამაცია მოიცავს წერილობით ცილისწამებას და ზეპირ შეურაცხყოფას<sup>56</sup>. საერთო სამართალში ცილისწამების დასამტკიცებლად მოსარჩელემ უნდა აჩვენოს, რომ ბრალდებულმა ყალბი, ცილისმწამებლური შენიშვნა გააკეთა მოსარჩელის წინააღმდეგ და რომ შენიშვნა გამოქვეყნდა და გავრცელდა<sup>57</sup>. ცილისმწამებლურია განცხადება, რომელიც ზიანს აყენებს მოსარჩელის რეპუტაციას ან აკნინებს „მისდამი პატივისცემის, რწმენისა და კეთილგანწყობის გრძნობას“<sup>58</sup>.

საქმეში *New York Times Co. v. Sullivan*<sup>59</sup> უზენაესმა სასამართლომ დაამატა ბრალეულობის (*mens rea*) ელემენტი, რომელიც მოსარჩელისგან ითხოვს იმის დამტკიცებას, რომ განცხადების ავტორი „რეალური ბოროტი განზრახვით“ მოქმედებდა საჯარო პირის თაობაზე განცხა-

<sup>54</sup> იხ. *infra* მეოთხე ნაწილი.

<sup>55</sup> იხ. Chmerinsky, ზედა შენიშვნა 29, გვ. 1078; იხ. აგრეთვე: Ryan M. Martin, Freezing the Net: Rejecting a One-Size-Fits-All Standard for Unmasking Anonymous Internet Speakers in Defamation Lawsuits (ქსელის გაყინვა: ერთიანი სტანდარტის უარყოფა ინტერნეტში ანონიმი მოსაუბრეების გასამჟღავნებლად ცილისწამებასთან დაკავშირებულ სარჩელებში) 75 U. CIN. L. REV. 1217, 1225-27 (2007).

<sup>56</sup> იხ. W. Page Keeton Al., Prosser and Keeton on Torts (5th ed. 1984). ცილისწამება წარმოიშვა დანაშაულიდან, ხოლო შეურაცხყოფა სხვა დარღვევასთან ერთობლიობაში შეიძლება განდეს სისხლის სამართლის დანაშაული, მაგალითად, ამბოხებისკენ მოწოდებასთან, მკრეხელობასა თუ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან. *Id.*, გვ. Libel 785; იხ. აგრეთვე Susan W. Brenner, Should Online Defamation Be Criminalized? (უნდა მოხდეს თუ არა ონლაინ ცილისწამების კრიმინალიზაცია?), 76 MISS. L.J. 705, 709-14 (2007) (ცილისწამების სამართლის ისტორია საერთო სამართლის სათავეებიდან).

<sup>57</sup> იხ. აგრეთვე: 19 AM. JUR. Trials § 499 (2012); 53 C.J.S. Libel and Slander § 87 (2012).

<sup>58</sup> Keeton Al. ზედა შენიშვნა 55, გვ. 773.

<sup>59</sup> 376 U.S. 254 (1964).

დების გაკეთებისას<sup>60</sup>. ეს მოთხოვნა კი იმას ნიშნავს, ავტორმა იცოდა, რომ მისი განცხადება არ იყო სიმართლე ან რომ ის გულგრილად მოეკიდა განცხადების სისწორეს<sup>61</sup>. თუმცა ავტორი, რომელიც საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს, არ შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს ცილისწამებისთვის<sup>62</sup>. მიუხედავად იმისა, რომ Sullivan-ის საქმეში მიღებული სტანდარტი იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა, როცა მოსარჩელე საჯარო მოხელეს წარმოადგენდა და ცილისმწამებლური განცხადება მის სამსახურებრივ საქმიანობას ეხებოდა, სასამართლომ ის მოგვიანებით ყველა საჯარო პირზე განავრცო<sup>63</sup>.

დეფამაცია, უფრო ხშირად, ალბათ ონლაინ სახით გვხვდება და არა ბეჭდურ მედიაში, ვინაიდან ინტერნეტში სარედაქციო ზედამხედველობაც დაბალი ხარისხისაა და ავტორებიც არ არიან შეზღუდული იმ პროფესიული ქცევის წესებითა და საზოგადოებრივი ნორმებით, რითაც, ჩვეულებრივ, ჟურნალისტებსა და იდენტიფიცირებულ ავტორებს ეზღუდებათ პროფესიული საქმიანობა<sup>64</sup>. ონლაინ კონტენტში ცილისწამებით ბრალდება რთული საკითხია, რადგან ავტორი განცხადებას კი არ აკეთებს ფაქტის შესახებ<sup>65</sup>, არამედ თავის აზრს გამოხატავს მხოლოდ. მაგალითად, საქმეში Doe v. Cahill სასამართლომ დაადგინა, რომ ინტერნეტ გვერდის ახალი ამბების მკითხველი სერიოზულად არ მიუდგება ქალაქის საკრებულოს წევრზე გავრცელებულ კრიტიკულ კომენტარებს, რადგან ის ამ კომენტარებს „მოსაზრებად“ აღიქვამს<sup>66</sup>. თუ გავითვალისწინებთ, რომ ინტერნეტს, ზოგადად, არაფორმალური ბუნება აქვს, არ არის გამორიცხული, რომ „მოსაზრების“ ფართო ფორმულირებამ შეამციროს მოსარჩელეების წარმატება ცილისწამების საფუძველზე აღძრულ საქმეებში<sup>67</sup>.

## 2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულმა დელიქტებმა შეიძლება კანონიერად შეზღუდონ სიტყვის თავისუფლება<sup>68</sup>. ეს სამართლადარღვევები სათავეს იღებენ პირადი ცხოვრების ერთი ზოგადი უფლებიდან, რომელსაც სამუელ უორენმა და ლუის ბრანდისმა უწოდეს „ადამიანის ზოგადი უფლება, მოითხოვოს სხვებისგან, არ ჩაერივნენ მის

<sup>60</sup> *Id.* გვ. 279–80.

<sup>61</sup> *Id.*

<sup>62</sup> *ob. Restatement (Second) of Torts § 558 (1977)*; *ob. აგრეთვე: Keeton Al.*, ზედა შენიშვნა 55, 839-40.

<sup>63</sup> *ob. საქმე: Curtis Publ'g. Co. v. Butts, 388 U.S. 130, 155–56 (1967)* (აღინიშნა, რომ მსგავსება, რომელიც თანამდებობის პირებისა და საჯარო პირების წინააღმდეგ ცილისწამების სარჩელებში არსებობს, იძლეოდა იმის საფუძველს, რომ Sullivan-ში მიღებული სტანდარტი საჯარო პირებზეც გავრცელებულიყო).

<sup>64</sup> *ob. Brenner*, ზედა შენიშვნა 55, 741-42 (განხილულია, თუ როგორ იფილტრება ბეჭდური მასალები, რაც არ ხდება ონლაინ რეჟიმში).

<sup>65</sup> *ob. საქმე Doe v. Cahill, 884 A.2d 451, 466 (Del. 2005)* (გონიერ ადამიანს, რომელიც ბეჭდურ ან ონლაინ ტექსტს კითხულობს, შეუძლია დაუშვას, რომ განცხადება ფაქტებზე დაყრდნობით არის დაწერილი და თემა გამოკვლეულია. ეს ასე არ ხდება ბლოგებზე ან „ჩეთში“).

<sup>66</sup> *Id.* 465.

<sup>67</sup> *ob. S. Elizabeth Malloy, Anonymous Blogging and Defamation: Balancing Interests on the Internet*, (ანონიმური ბლოგინგი და ცილისწამება: ინტერესთა დაბალანსება ინტერნეტში) 84 WASH. U. L. REV. 1187, 1190–91 (2006).

<sup>68</sup> *Griswold v. Connecticut, 381 U.S. 479 (1965)* ამ საქმით დაიწყო პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევისგან დაცვის უფლების ჩამოყალიბება. ის კონცეპტუალურად განსხვავდება ამ ნაშრომში განხილული უფლებისგან.

საქმეებში“ (right of the individual to be let alone)<sup>69</sup>. სამუელ უორენმა და ლუის ბრანდისმა ეს უფლება ცილისწამების, საკუთრების უფლებისა და კონკლუდენტური მოქმედებით მიღებული ხელშეკრულების დარღვევების საფუძველზე შექმნეს<sup>70</sup>. კერძო ცხოვრებასთან დაკავშირებული დელიქტები მოიცავს თვითნებურ ჩარევას, კერძო ცხოვრებასთან დაკავშირებული ფაქტების განსაჯაროებას, საჯარო სივრცეში ადამიანის მცდარად წარმოდგენას (false light) და მითვისებას<sup>71</sup>. ჩამოთვლილ სამართალდარღვევებსა და მათ ურთიერთობებს სიტყვის თავისუფლებასთან ამ ნაწილში განვიხილავთ.

## ა. უსაფუძვლო ჩარევა

პირადი ცხოვრების უფლება ადამიანს იცავს უსაფუძვლო ან შეურაცხმყოფელი ჩარევისგან მის პირად საქმეებსა და პრობლემებში<sup>72</sup>. ეს უფლება ადამიანს იცავს როგორც ფიზიკურ<sup>73</sup>, ისე სხვა სახის ჩარევებისგანაც, მაგალითად, ფარული მოსმენისგან, მუდმივი და არასასურველი სატელეფონო ზარებისგან და პირადი ჩანაწერებისა თუ ინფორმაციის გამოტყუებისგან<sup>74</sup>. აშშ-ის დელიქტური სამართალი (კერძოდ, Second Restatement of Torts) ადგენს, რომ პირი მიეცემა პასუხისმგებლობაში უკანონო ჩარევისთვის, თუკი ის განზრახ არღვევს სხვის განმარტობას ან კარჩაკეტილი ცხოვრების წესს და ეს ჩარევა, მაღალი ხარისხით, შეურაცხმყოფელია გონიერი ადამიანისთვის<sup>75</sup>. მართალია, ეს დელიქტი ინტერნეტის კონტენტში ძირითადად, ისეთი ინფორმაციის შეგროვების აღსაკვეთად გამოიყენება, რომელსაც გონიერი ადამიანი/საშუალო მოქალაქე შეურაცხყოფად მიიჩნევს, ის რელევანტურია აგრეთვე ანონიმური აზრის ონლაინ გამოხატვის კონცეფციისთვისაც<sup>76</sup>. ადამიანს შეიძლება სარჩელის აღძვრის უფლება ჰქონდეს იმ ავტორის წინააღმდეგ, რომელიც მის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ ისეთ ფაქტს ავრცელებს, რომლისადმი არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი და რომლის სააშკარაოზე გამოტანა გონიერ ადამიანს შეურაცხყოფად მიაჩნია<sup>77</sup>.

<sup>69</sup> იხ. Samuel D. Warren & Louis D. Brandeis, The Right to Privacy (პირადი ცხოვრების უფლება), 4 HARV. L. REV. 193, 205 (1890).

<sup>70</sup> Id. 193-95.

<sup>71</sup> იხ. William L. Prosser, Privacy, 48 CALIF. L. REV. 383, 389 (1960); აგრეთვე Patricia Sánchez Abril, Recasting Privacy Torts in a Spaceless World, 21 HARV. J.L. & TECH. 1, 8-9 (2007) (აღვნიშნავ, რომ კერძო ცხოვრებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების ოთხი კატეგორია, რომელიც პროსერმა დაადგინა, შესულია თანამედროვე ამერიკულ იურისპრუდენციაში); Maayan Y. Vodovis, Note, Look over Your Figurative Shoulder: How To Save Individual Dignity and Privacy on the Internet, (ყურადღებით იყავი, როგორ გადავარჩინოთ პიროვნული ღირსება და კერძო ცხოვრება ინტერნეტში) 40 Hostra L. Rev. 811, 816-17 (2012) (საერთო სამართალში არსებობს ოთხი აღიარებული კატეგორია პირადი ცხოვრებისა).

<sup>72</sup> იხ. Keeton et Al., ზედა შენიშვნა 55, 854.

<sup>73</sup> ფიზიკური სიმყუდროვის/სიმატოვის უფლება მოიცავს ფიზიკურად მართოდ დარჩენის, განმარტობისა და სახლის დაცვის უფლებასაც.

<sup>74</sup> Id.; 854-55.

<sup>75</sup> იხ. Restatement (Second) of Torts § 652B (1977).

<sup>76</sup> იხ. Vodovis, ზედა შენიშვნა 70, 817.

<sup>77</sup> იხ. Abril, ზედა შენიშვნა 70, 9.

## ბ. პირად და ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ფაქტების გამომჟღავნება

კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის დელიქტების მეორე კატეგორია, რომელიც რელევანტურია ონლაინ კონტენტში, პირის შესახებ პრივატული ფაქტების განსაჯარობაა. ზუსტ მოთხოვნებზე იმ ინფორმაციისთვის, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს და განსაჯარობის გარემოებებზე ამჟამად დებატები მიმდინარეობს<sup>78</sup>. როგორც პროსერი ამტკიცებს, ზიანის ასანაზღაურებლად მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს, რომ პრივატული ფაქტების გამოაშკარავება „ძალზე შეურაცხმყოფელი და აღმაშფოთებელი იქნება ჩვეულებრივი მგრძობელობის გონიერი ადამიანისთვის/საშუალო მოქალაქისთვის“<sup>79</sup>. *The Second Restatement* შეიცავს დამატებით მოთხოვნას, რომ ინფორმაციის განსაჯარობაში არ არსებობდეს საზოგადოებრივი ინტერესი<sup>80</sup>. პროფესორი ჰილი კი, მეორე მხრივ, იცავს იმ აზრს, რომ უნდა შეიქმნას უფრო დაკონკრეტებული ტესტი, რომლის მიხედვითაც, განსაჯარობის ხარისხის შეწონადება მოხდება გამოსაქვეყნებელი მასალების ბუნებასთან<sup>81</sup>. თუმცა, ნებისმიერი სტანდარტით განსაჯარობა უნდა იყოს „ძალზე შეურაცხმყოფელი და აღმაშფოთებელი ჩვეულებრივი მგრძობელობის გონიერი ადამიანისთვის/საშუალო მოქალაქისთვის“<sup>82</sup>.

აღნიშნული დელიქტი იმ დაძაბულობას ასახავს, რომელიც პირველი დამატებით უზრუნველყოფილ ანონიმურ სიტყვაზე ავტორის/მოსაუბრის უფლებასა და სხვა პირების საერთო სამართლის უფლებებსა და კერძო ცხოვრების დაცულობის ინტერესებს შორის არსებობს<sup>83</sup>. მაშინ როცა ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ონლაინ სიტყვა უფრო მეტად უნდა იყოს დაცული, მიუხედავად მისი, ზოგიერთ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელი ბუნებისა<sup>84</sup>, სასამართლოები, ჩვეულებრივ, ერთ სტანდარტს მისდევნენ ონლაინ თუ ბეჭდურ სიტყვასთან დაკავშირებული დელიქტების განხილვისას<sup>85</sup>. მაგრამ ასეთი მოპყრობა სასამართლოების მხრიდან შესაძლოა პრობლემური აღმოჩნდეს, რადგან ანონიმურ ონლაინ სიტყვას განსაკუთრებული ზიანის მოტანა შეუძლია. ამ საკითხს ნაშრომის მეორე ნაწილში განვიხილავთ<sup>86</sup>.

<sup>78</sup> შეადარეთ: Restatement (Second) of Torts § 652D cmt. d, Alfred Hill-ის ნაშრომს, Defamation and Privacy Under the First Amendment (ცილისწამება და კერძო ცხოვრება პირველი დამატების მიხედვით), 76 COLUM. L. REV. 1205, 1258–62 (1976). პროფესორ ჰილის უახლესი, Second Restatement’s-ის მიდგომისგან განსხვავებული შეფასება იხ. Robert D. Sack-ის, Protection of Opinion Under the First Amendment: Reflections on Alfred Hill, “Defamation and Privacy Under the First Amendment,” (აზრის დაცვა პირველი დამატების მიხედვით: ფიქრები ალფრედ ჰილის „ცილისწამებასა და კერძო ცხოვრებაზე პირველი დამატების მიხედვით) 100 Colum L. Rev. 294, 310–13 (2000).

<sup>79</sup> იხ. Keeton et Al., ზედა შენიშვნა 55, 856–57.

<sup>80</sup> იხ. Restatement (Second) of Torts § 652D cmt. d.

<sup>81</sup> იხ. Hill, ზედა შენიშვნა 77. 1258–62.

<sup>82</sup> იხ. Keeton et Al., ზედა შენიშვნა 55, 856–57. თუმცა საჯარო მოხელეებს კერძო ცხოვრების/პრივატულობის დაბალი ხარისხის უფლება აქვთ. Id. 859–60.

<sup>83</sup> იხ. Anita L. Allen, Privacy Jurisprudence As an Instrument of Social Change: First Amendment Privacy and the Battle for Progressively Liberal Social Change (პირადი ცხოვრების სამართალი, როგორც სოციალური ცვლილებების ინსტრუმენტი: პირველი დამატებით გათვალისწინებული პრივატულობა და ბრძოლა ლიბერალური სოციალური ცვლილებებისთვის) 14 U. PA. J. CONST. L. 885, 920–21 (2012).

<sup>84</sup> იხ. See id. 924–25; cf. Amy Pomerantz Nickerson, Comment, Coercive Discovery and the First Amendment: Towards a Heightened Discoverability Standard, 57 UCLA L. REV. 841, 869–70 (2010) (ფიქრობს, რომ უფრო მაღალი სტანდარტი უნდა დაწესდეს იმისთვის, რომ სიტყვასთან დაკავშირებული ქმედებების გამოვლენა დაიშვას).

<sup>85</sup> იხ. Allen, ზედა შენიშვნა 82, 924–25 („[სასამართლოები] როგორც წესი, ერთნაირად აფასებენ ონლაინ თუ ბეჭდურ მართლსაწინააღმდეგო სიტყვას“).

<sup>86</sup> იხ. აგრეთვე Abril, ზედა შენიშვნა 70, 28 (საუბარია ახალი ანალიზის შესახებ განსაჯარობის დელიქტისთვის ონლაინ

### გ. მცდარი ფაქტების გავრცელება

პირის წარმოდგენა მცდარი/ყალბი სახით გვხვდება მაშინ, როცა ადამიანის სიტყვა ან მოქმედება მეორე ადამიანს არასწორად ახასიათებს ან შეცდომაში შემყვანია<sup>87</sup>. მაგალითად, აქ შეიძლება იყოს სტატიებისა თუ აზრების მიწერა მოსაუბრისთვის, უნებართვით სხვისი სახელით პეტიციაზე ხელმოწერა ან საქმის აღძვრა სხვა პირის სახელით<sup>88</sup>. როგორც ცილისწამების შემთხვევაში, ყალბი სახით ადამიანის წარმორჩენაზე მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს, ბრალდებულს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამებოდა ან ბრალდებული გულგრილად მოეკიდა განცხადების სისწორეს<sup>89</sup>. თუმცა, ცილისწამებისგან განსხვავებით, ზოგიერთი შტატი არ ითხოვს მოსარჩელისგან იმის დამტკიცებას, რომ მის რეპუტაციას ზიანი მიაღდა<sup>90</sup>. ხშირად განცხადება, რომელიც სარჩელის საფუძვლად იქცევა ამ დელიქტზე, ცილისმწამებლურია და, შესაბამისად, საქმე აღიძვრება ცილისწამების ან შეურაცხყოფის საფუძველზე<sup>91</sup>. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე ქმედება სხვადასხვა ინტერესს იცავს<sup>92</sup>. ცილისწამების ნიადაგზე აღძრული საქმე პირის რეპუტაციას იცავს, ხოლო ყალბად წარმოდგენის წინააღმდეგ მიმართული სარჩელი – მისი სიმშვიდის/მარტოობაში ყოფნის უფლებას (right to be left alone)<sup>93</sup>.

### დ. მითვისება

მითვისებასთან გვაქვს საქმე, როცა ბრალდებული მომჩივნის სახელს ან მასთან მსგავსებას თავის სასარგებლოდ ან უპირატესობის მისაღებად<sup>94</sup> იყენებს. მხოლოდ სხვისი სახელის გამოყენება ან სხვის პიროვნებაზე თუ საკუთრებაზე გარკვეული ასპექტების გამოქვეყნება საკმარისი არ არის, თუკი ეს კონკრეტული პირის იდენტიფიცირებისა და ცნობის საშუალებას არ იძლევა<sup>95</sup>. მითვისება შეიძლება კონფლიქტში მოდიოდეს პირველ დამატებასთან, როცა პირს სხვისი გამოსახულების/ფოტოს ან სხვასთან მსგავსების გამოყენება ახალი ამბე-

კონტექსტში); იხ. Malloy, ზედა შენიშვნა 66, 1192-93 (განიხილება, თუ რამდენად უფრო ზიანის მომტანია ონლაინ სიტყვა სხვა ტრადიციულ ფორმებთან შედარებით).

<sup>87</sup> იხ. Keeton et Al., ზედა შენიშვნა 55, 863. არ არის აუცილებელი, რომ განცხადება უარყოფით ინფორმაციას შეიცავდეს მომჩივანზე, ის შეიძლება მოსარჩელის რეპუტაციის არასწორად ამაღლებასაც მოიცავდეს იხ. Smolla, ზედა შენიშვნა 36, § 24:3.

<sup>88</sup> იხ. Keeton et Al., ზედა შენიშვნა 55, 863-64.

<sup>89</sup> იხ. საქმე Time, Inc. v. Hill, 385 U.S. 374, 387-88 (1967).

<sup>90</sup> იხ. Smolla, ზედა შენიშვნა 36, § 24:3.

<sup>91</sup> იხ. Flowers v. Carville, 310 F.3d 1118, 1132-33 (9th Cir. 2002) (მოსარჩელეს ნება დართეს ორივე სარჩელით, ყალბად წარმორჩენისა და ცილისწამების დელიქტებით შეეტანა საქმე); Keeton et Al, ზედა შენიშვნა 55, 864. მაგრამ საქმეში: Jews for Jesus, Inc. v. Rapp, 997 So. 2d 1098, 1113-15 (Fla. 2008) (დადგინდა, რომ ფლორიდის შტატი არ აღიარებს ყალბად წარმორჩენას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართალდარღვევად, რადგან ისინი, ანუ ყალბად წარმორჩენა და ცილისწამება მნიშვნელოვნად ემთხვევიან ერთმანეთს).

<sup>92</sup> იხ. Keeton et Al., ზედა შენიშვნა 55, 864.

<sup>93</sup> იხ. id.; Smolla, ზედა შენიშვნა 36, § 24:3.

<sup>94</sup> იხ. Restatement (Second) of Torts § 652C (1977); იხ. აგრეთვე Keeton et Al., ზედა შენიშვნა 55, 851; იხ. Smolla, ზედა შენიშვნა 36, § 24:4.

<sup>95</sup> იხ. Keeton et Al., ზედა შენიშვნა 55, 852-53.

ბის გასაგრძელებლად ან საზოგადოების მხრიდან ყურადღების მისაპყრობად სურს<sup>96</sup>. მითვისება, არცთუ იშვიათად, გვხვდება საავტორო უფლებების დარღვევის შემთხვევებში, და გამორიცხული არ არის, რომ სასამართლომ ასეთ სიტყვას ნაკლები დაცვა მიანიჭოს სიტყვის სხვა ფორმებთან შედარებით<sup>97</sup>, მაგრამ, როგორც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, პირველ დამატებას შეუძლია მითვისების გარკვეული ფორმების დაცვა<sup>98</sup>.

### 3. მორალური ზიანის განზრახ მიყენება

მორალური ზიანის მიყენებისთვის დელიქტი წარმოიშვა მას შემდეგ, როდესაც საზოგადოებამ აღიარა, რომ სიტყვას სერიოზული ზიანის მიყენება შეუძლია<sup>99</sup>. მართალია, ეს დელიქტი იმ საქმეებში წარმოიშვა, სადაც სულიერი ტკივილი სხვა დელიქტთან იყო დაკავშირებული, მაგალითად, თავდასხმასთან, ცემასა თუ თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან<sup>100</sup>, სასამართლოებმა მაინც შექმნეს დამოუკიდებელი საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ სულიერი ტკივილისთვის<sup>101</sup>. სარჩელი მორალური ზიანის განზრახ მიყენებაზე მომჩინისგან ითხოვს, რომ მან დაამტკიცოს, ბრალდებული განზრახ ან გაუფრთხილებლად მოიქცა; რომ ბრალდებულის ქმედება ზომიერად და აღმაფოთებელი იყო; რომ ბრალდებულმა ისეთი სულიერი ტანჯვა მიაყენა მას, რომ გონიერი ადამიანისთვის ძნელი იქნებოდა მასთან გამკლავება<sup>102</sup>. ასეთ შემთხვევებში, ზიანი სერიოზული უნდა იყოს; მოსარჩელეს ზიანი ვერ აუნაზღაურდება უბრალოდ შეურაცხმყოფელი ან უხეში სიტყვების, ღირსების შელახვის, თავის მობეზრების ან მუქარის გამო<sup>103</sup>. მიუხედავად იმისა, რომ განზრახ სულიერი ტანჯვა შეიძლება ხშირად სიტყვამ გამოიწვიოს, სიტყვის შედეგად დადგეს, პროფესორი სმოლა ამტკიცებს, რომ სასამართლომ ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სარჩელები მორალური ზიანის განზრახ მიყენებად არ უნდა მონათლოს, ვინაიდან ეს დაარღვევდა პირველი დამატებით გათვალისწინებულ წონასწორობას, რომელიც არსებითი და განუყოფელია ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისთვის<sup>104</sup>.

<sup>96</sup> იხ. საქმე: *Ann-Margret v. High Soc'y Magazine*, 498 F. Supp. 401, 404–06 (S.D.N.Y. 1980) (დადგინდა, რომ უფლება თავისუფალ სიტყვაზე აღემატება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, თუკი ბრალდებულმა მოსარჩელის სურათი პოპულარული კინოფილმიდან ამოიღო); იხ. *Smolla*, ზედა შენიშვნა 36, § 24:4.

<sup>97</sup> *Cf. Smolla*, ზედა შენიშვნა 36, § 24:4.

<sup>98</sup> იხ. საქმე: *Zacchini v. Scripps-Howard Broad. Co.*, 433 U.S. 562, 576–78 (1977) (დაადგინა, რომ მოსარჩელეს, რომლის წარმოდგენა გადაიღეს და მრავალჯერ უჩვენეს ახალი ამბების პროგრამაში მისი თანხმობის გარეშე, უფლება აქვს აღძრას საქმე სამაუწყებლო კომპანიის წინააღმდეგ, მაგრამ აღნიშნა, რომ გარკვეულ შემთხვევაში, პირველი დამატება დაიცავდა მითვისებას).

<sup>99</sup> იხ. *Keeton et Al.*, ზედა შენიშვნა 55, 56–57.

<sup>100</sup> *Id.*

<sup>101</sup> იხ. *Wilkinson v. Downton*, (1897) 2 Q.B. 57 (Eng.) (ნება მიეცა მოსარჩელეს, რომელმაც მძიმე სულიერი და ფიზიკური დარტყმა მიიღო ცრუ შეტყობინების გამო (მას ტყუილი უთხრეს, რომ მეუღლე უბედური შემთხვევის გამო სერიოზულად დაშავდა), რომ მას ამ შეტყობინების ავტორისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა).

<sup>102</sup> იხ. *Smolla*, ზედა შენიშვნა 36, § 24:8.

<sup>103</sup> იხ. *Keeton et Al.*, ზედა შენიშვნა 55, 59.

<sup>104</sup> იხ. *Smolla*, ზედა შენიშვნა 36, § 24:8.



## გ. ანონიმური სიტყვის რეგულირება

უზენაესმა სასამართლომ აღიარა, რომ სიტყვის თავისუფლების სხვა ფორმების მსგავსად, ანონიმური სიტყვის თავისუფლება აბსოლუტური არ არის. ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ანონიმური სიტყვის უფლების განვითარების საფეხურები და უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი შეზღუდვის საფუძვლები.

### 1. ანონიმური სიტყვის უფლებების სამართლებრივი საფუძვლები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანები ანონიმურად საუბრის უფლებას სახელმწიფოს დაარსების დღიდან ახორციელებენ<sup>105</sup>. უზენაესმა სასამართლომ ანონიმური აზრის გამოხატვის ისტორია და მისი მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი პოლიტიკური სიტყვის კონტექსტში, დაიმოწმა საქმეში *Talley v. California*<sup>106</sup>, სადაც მან არაკონსტიტუციურად ცნო ქალაქის საბჭოს ბრძანებულება, რომელიც კრძალავდა ანონიმურად დაბეჭდილი რეკლამების გავრცელებას<sup>107</sup>. *Talley*-ის საქმეში კალიფორნიის შტატი ამტკიცებდა, რომ აკრძალვა გამოხატვის შინაარსით არ იყო განპირობებული და რომ ის მიზნად ისახავდა ხელისუფლების აუცილებელი ლეგიტიმური ინტერესისთვის ხელშეწყობას, რაც თაღლითობის, ყალბი/არაკეთილსინდისიერი რეკლამისა და რეპუტაციის შელახვის აღკვეთას გულისხმობდა<sup>108</sup>. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად ლეგიტიმური მიზნებისა, ქალაქის ბრძანებულება არაკონსტიტუციური იყო, რადგან ის ზუსტად არ იყო მორგებული გაცხადებულ შედეგებზე, ზედმეტად ფართო იყო და კრძალავდა სიტყვის თავისუფლებით დაცულ ელემენტებს<sup>109</sup>. სასამართლომ დაასკვნა, რომ წესები, რომლებიც კონკრეტულად თაღლითური სიტყვის, ყალბი/არაკეთილსინდისიერი რეკლამისა და ცილისწამების პრობლემების გადაჭრაზე იქნებოდა მიმართული, სავარაუდოდ, ჩაითვლებოდა კონსტიტუციურად აღიარებული<sup>110</sup>.

უზენაესმა სასამართლომ გააფართოვა ანონიმური სიტყვის თავისუფლების დაცვის ფარგლები საქმეში *McIntyre v. Ohio Elections Commission*<sup>111</sup>, როცა მან არაკონსტიტუციურად ცნო შტატის ის კანონი, რომელიც კრძალავდა კონკრეტული კამპანიისთვის გათვალისწინებული ლიტერატურის გავრცელებას, რომელზეც აღნიშნული არ იყო იმ ინდივიდუალური პირისა თუ ორგანიზაციის სახელი და მისამართი, რომელიც ლიტერატურას გამოსცემდა<sup>112</sup>. ოპაიოს უზენაეს სასამართლოს *McIntyre*-ის საქმე გამოყოფილი ჰქონდა *Talley*-ის საქმისგან

<sup>105</sup> იხილეთ შენიშვნა N1 და თანმხლები ტექსტი.

<sup>106</sup> 362 U.S. 60 (1960).

<sup>107</sup> *Id.* გვ. 64–65.

<sup>108</sup> *Id.* გვ. 64.

<sup>109</sup> *Id.* გვ. 62–64.

<sup>110</sup> *Id.* გვ. 64.

<sup>111</sup> *Id.* 514 U.S. 334, 342 (1995) (ავტორის გადაწყვეტილება, რომ ანონიმად დარჩენილიყო, სხვა დანარჩენი გადაწყვეტილებების მსგავსად, რომლებიც პუბლიკაციის შინაარსის დამატებებს ან გამოტოვებას ეხებოდა, სიტყვის თავისუფლების ის ასპექტია, რომელსაც პირველი დამატება იცავს).

<sup>112</sup> *Id.*, 357.

იმ საფუძველით, რომ ოჰაიოს შტატის ბრძანებულებას შეზღუდვა ჰქონდა ისეთ სიტყვაზე<sup>113</sup>, „რომელიც ამომრჩევლებზე გავლენის მოსახდენად იყო გამიზნული“, მაშინ როცა კალიფორნიის ბრძანებულება Talley-ის საქმეში კრძალავდა ანონიმური ბროშურების გავრცელებას<sup>114</sup>. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არსებობდა ანონიმური პოლიტიკური სიტყვის დაშვების ძლიერი ინტერესი და რომ ეს წესი უფრო ზუსტად, მკაცრი სტანდარტით (strict scrutiny) უნდა შემოწმებულიყო, რადგან ის შინაარსით იყო განპირობებული (შინაარსს ეყრდნობოდა) და პოლიტიკური გამოხატვის უფლების ხელყოფას შეიცავდა<sup>115</sup>. სასამართლოს აზრით, სწორედ ეს სტანდარტი დაარღვია შტატმა<sup>116</sup>.

უზენაესმა სასამართლომ ანონიმურობის უფლება შეკრების თავისუფლების კონტექსტშიც აღიარა<sup>117</sup>. საქმეში NAACP v. Alabama ex rel. Patterson<sup>118</sup> უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ხელისუფლებას უფლება არ აქვს აიძულოს ორგანიზაციები, თავიანთი წევრების ვინაობა გამოამჟღავნონ, რადგან ამით საფრთხე ექმნება მათი შეკრების თავისუფლებას<sup>119</sup>. მართალია, პირდაპირ არ ეხება ანონიმურ სიტყვას, მაგრამ ამ საქმით ანონიმურობა იმგვარ უფლებად განისაზღვრა, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს სხვა დანარჩენი ფუნდამენტური უფლებების დასაცავად.

უზენაეს სასამართლოს ანონიმური სიტყვის თავისუფლების საკითხები ონლაინ კონტექსტში ჯერ არ განუხილავს, მაგრამ მას დადგენილი აქვს, რომ პირველი დამატებით უზრუნველყოფილი ტრადიციული უფლებები აქაც გამოიყენება<sup>120</sup>. საქმეში In re Anonymous Online Speakers<sup>121</sup> მეცხრე საოლქო სასამართლო იძულებული გახდა, გადაეწყვიტა, შეიძლებოდა თუ არა მოსარჩელის შუამდგომლობის დაკმაყოფილება სასამართლოში იმ ანონიმ კომენტატორთა გამოსაძახებლად (ვინაობის დასადგენად), რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ მოსარჩელის ბიზნეს საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევისათვის, რაც გამოიხატებოდა მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანიის აგორებაში<sup>122</sup>. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „სიტყვა ონლაინ რეჟიმში“ სიტყვის სხვა ფორმების თანასწორია და რომ პირველი დამატებით გავალისწინებული შემოწმების ხარისხის კლასიფიკაციის საფუძველი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ონლაინ რეჟიმში წარმოთქმული სიტყვისთვის, არ არსებობს“<sup>123</sup>. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ ანონიმი ონლაინ მოსაუბრეების/ავტორე-

<sup>113</sup> იბ., 344.

<sup>114</sup> იბ. id.

<sup>115</sup> იბ. id. გვ. 346 (ციტირებულია საქმე Meyer v. Grant, 386 U.S. 414, 420 (1988)).

<sup>116</sup> Id. გვ. 357. უზენაესმა სასამართლომ ანონიმური სიტყვის უფლება ახლახან დაადასტურა საქმეში: Watchtower Bible & Tract Society v. Village of Stratton, 536 U.S. 150 (2002), როცა გააუქმა კანონი, რომელიც ადამიანს უკრძალავდა კარიდან კარზე სიარულს ჩვეულებრივი მეზობლური ურთიერთობების გაუარესების თავიდან აცილების საფუძველით.

<sup>117</sup> იბ. მაგ.: NAACP v. Alabama ex rel. Patterson, 357 U.S. 449 (1958).

<sup>118</sup> Id.

<sup>119</sup> იბ. id. გვ. 462.

<sup>120</sup> იბ. საქმე: Reno v. ACLU, 521 U.S. 844, 870–72 (1997) (სასამართლომ კონსტიტუციური დაცვის საშუალებები გამოიყენა Communications Decency Act-ის ნაწილის გასაუქმებლად, რომელიც უზამს კომუნიკაციებს კრძალავდა, რადგან აქტი კონტენტ ნეიტრალური არ იყო).

<sup>121</sup> 661 F.3d 1168 (9th Cir. 2011).

<sup>122</sup> Id. გვ. 1172–73.

<sup>123</sup> იბ. id. გვ. 1173 ((ციტირებულია Reno-ს გადაწყვეტილება) 521 U.S. გვ. 870).

ბის ვინაობის გამოაშკარავება დასაშვები იყო, რადგან მათი სიტყვა არ იყო პოლიტიკური და, შესაბამისად, უფრო დაბალი დონის დაცვის ქვეშ ექცეოდა<sup>124</sup>.

## 2. ანონიმური სიტყვის რეგულირება

უზენაესმა სასამართლომ შეკვეცა ანონიმური სიტყვის უფლება საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებულ კანონებში იმ მოთხოვნების შეტანით, რომლებიც პარტიისა თუ კანდიდატისთვის შემოწირული თანხების ოდენობის განსაჯაროებას ითხოვდნენ. საქმეში Buckley v. Valeo<sup>125</sup> სასამართლომ ფედერალური საარჩევნო კამპანიის შესახებ 1971 წლის აქტისა და 1974 წლის ცვლილებების კონსტიტუციურობის საკითხი განიხილა<sup>126</sup>. აქტი მაქსიმალურ ზღვარს აწესებდა შემოწირულობაზე და ითხოვდა მათი ოდენობისა და ხარჯების განსაჯაროებას გარკვეული ზღურბლის ზემოთ<sup>127</sup>. კანონის მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ კანონი ზღუდავდა პირველი დამატებით უზრუნველყოფილ უფლებებს, რადგან კამპანიისთვის გაღებული თანხა გამოხატვის ფორმას წარმოადგენდა და საშუალებას აძლევდა ადამიანს, მხარი დაეჭირა სასურველი კანდიდატისთვის თუ საკითხისთვის<sup>128</sup>. ისინი აგრეთვე ატყობდნენ, რომ განსაჯაროების მოთხოვნით ირღვეოდა მათი უფლება შეკრების თავისუფლებაზე<sup>129</sup>. უზენაესმა სასამართლომ ეს არგუმენტები არ მიიღო და დაასკვნა, მიუხედავად იმისა, რომ შემოწირულობა გამოხატვის ფორმას წარმოადგენს და დაწესებულმა შეზღუდვებმა შეიძლება დაარღვიოს სიტყვის თავისუფლების გარკვეული ნაწილი, ეს შეზღუდვები მაინც არ უთხრიდა ძირს მოქალაქეთა შესაძლებლობებს, ჩართულიყვნენ საჯარო განხილვებსა და დებატებში კანდიდატებთან თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით<sup>130</sup>. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ განსაჯაროების მოთხოვნები არ არღვევდა ადამიანთა პირველი დამატებით უზრუნველყოფილ უფლებებს, რადგან ხელისუფლებამ შეძლო ეჩვენებინა, რომ განსაჯაროების ფაქტი ლეგიტიმურ სახელმწიფო ინტერესს ემსახურებოდა, რაც პოლიტიკური პროცესის სიჯანსაღის შენარჩუნებაში, კორუფციის მოთოკვასა და თანხების დადგენილ საზღვრებში განკარგვას გულისხმობდა<sup>131</sup>.

<sup>124</sup> Id. იხ. მესამე ნაწილის „ა“ აბზაცი, სადაც საუბარია სხვადასხვა სასამართლოების მიერ გამოყენებულ სტანდარტებზე სასამართლოში გამოძახების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ანონიმი ონლაინ კომენტატორების ვინაობის დასადგენად.

<sup>125</sup> 424 U.S. 1 (1976).

<sup>126</sup> Federal Election Campaign Act of 1971, Pub. L. No. 92-225, 86 Stat. 3, Federal Election Campaign Act Amendments of 1974, Pub. L. No. 93-443, 88 Stat. 1263 (კოდიფიცირებული).

<sup>127</sup> 2 U.S.C. § 434(f) (2006). The Federal Election Campaign Act of 1971 (1971 წლის აქტი ფედერალური საარჩევნო კამპანიის შესახებ). აქტის მიხედვით დაარსდა ფედერალური საარჩევნო კომისია. კანონი კანდიდატებისა და პოლიტიკური კომიტეტებისგან ითხოვს, რომ საჯარო გახადონ მათთვის გაღებული თანხების ოდენობა, id. § 434; ის ინდივიდუალური პირებისთვის აწესებს კანდიდატებისთვის შემოწირული თანხების მაქსიმალურ რაოდენობას, id. § 441a(a); აწესებს ხარჯების ზღვრულ რაოდენობას საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის, id. § 441a(b) და სხვა თანხებზეც, რომლებიც საარჩევნო კამპანიის დროს უნდა დაიხარჯოს, id. § 441a(a).

<sup>128</sup> იხ. Buckley, 424 U.S. გვ. 14.

<sup>129</sup> Id.; 11.

<sup>130</sup> იხ. id. გვ. 29.

<sup>131</sup> Id.; 66-69.

საქმეში *Citizens United v. Federal Elections Commission* უზენაესმა სასამართლომ ხელახლა დაადასტურა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, მოითხოვოს განსაჯარობა<sup>132</sup>. *Citizens United*-ის ერთ-ერთ საკითხში სასამართლომ დაადგინა, რომ *Bipartisan Campaign Reform Act*-ით<sup>133</sup> გათვალისწინებული უარყოფისა და განსაჯაროების მოთხოვნები არ არღვევდა პირველ დამატებას, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნები სავარაუდოდ, ტვირთავენ სიტყვას, ისინი მაინც ვერ უშლიან ხელს მოსაუბრეებს თავიანთი მესიჯების გავრცელებაში<sup>134</sup>. თუმცა სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლიტიკური სიტყვის ჩამხშობი რეგულაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსაუბრის კორპორაციული იდენტობა/სახე<sup>135</sup> და რომელიც ბლოკავს დამოუკიდებელი კორპორაციის დანახარჯებს, არღვევდა პირველ დამატებას<sup>136</sup>. სასამართლომ ძალაში დატოვა უარყოფისა და განსაჯაროების მოთხოვნები, რადგან, როგორც მან გადაწყვიტა, ხელისუფლების ინტერესი, რომ მოსახლეობისთვის საჭირო ინფორმაცია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიეწოდებინა, ამართლებდა სიტყვაზე დადებულ ტვირტს<sup>137</sup>.

## II. ონლაინ ანონიმური სიტყვის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ ანონიმური სიტყვის გამოხატვა აბსოლუტური არ არის, *Buckley* და *Citizens United* საქმეებში დადგენილი შეზღუდვის საფუძვლები შესაძლოა შესაფერისი არ აღმოჩნდეს ანონიმური ონლაინ სიტყვისთვის, რადგან აქ შეიძლება არ გვექონდეს იგივე დამახლანსებელი გარემოებები. უზენაესმა სასამართლომ კონკრეტულად დაადგინა, რომ *Buckley*-ის საქმეში მიღებული გადაწყვეტილება არ გამოიყენება ანონიმური სიტყვის შეზღუდვისთვის სხვა კონტექსტში, რადგან მოტივაცია ამ საქმეში შემოიფარგლებოდა კორუფციის თავიდან აცილებით და საარჩევნო კამპანიაზე დაწესებული ფინანსური სახის შეზღუდვების დაკმაყოფილებით<sup>138</sup>. დაცვის ხარისხის დასადგენად, რომელიც სასამართლომ ანონიმ ონლაინ ავტორს უნდა მიანიჭოს, აუცილებელია სიტყვის თავისუფლების გამამართლებელი ინტე-

<sup>132</sup> 130 S. Ct. 876, 913–15 (2010).

<sup>133</sup> Pub. L. No. 107-155, 116 Stat. 81 (2002) (კოდიფიცირებული 2 U.S.C და 36 U.S.C.). ამ აქტით შეიცვალა 1971 წლის აქტი ფედერალური საარჩევნო კამპანიის შესახებ და დაწესდა ლიმიტები იმ შემოწირულობებზე, რომლებიც მკაცრ რეგულირებას არ ექვემდებარებოდნენ. ამას გარდა, გაიზარდა შემოწირულობათა ზღვრული რაოდენობა პოლიტიკურ პარტიათა შტატის კომიტეტებისთვის და დაწესდა დამოუკიდებელ დანახარჯებზე ანგარიშების წარდგენის მოთხოვნა. *Id.*

<sup>134</sup> *ib. Citizens United*, 130 S. Ct. გვ. 913–14.

<sup>135</sup> *Id.*, 913.

<sup>136</sup> *Id.*

<sup>137</sup> *Id.*, 914.

<sup>138</sup> *ib. საქმე: McIntyre v. Ohio Elections Comm'n*, 514 U.S. 334, 354 (1995) („კანდიდატების მიერ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური დახმარების განსაჯარობა გამაგრებულია იმ ინტერესით, რომ თავიდან იქნეს აცილებული კორუფციის შესაძლებლობა“).

რესები შევისწავლოთ. ამ ნაშრომის მეორე ნაწილის „ა“ მონაკვეთში განხილულია სიტყვის თავისუფლების დაცვის ისტორიული საფუძვლები განსაკუთრებული აქცენტით ანონიმური სიტყვის მნიშვნელობაზე, ხოლო „ბ“ მონაკვეთი ეხება ანონიმური სიტყვის შეზღუდვის მხარე-დამჭერ არგუმენტებს.

## ა. ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლების დაცვის საფუძვლები

ისტორიულად, თავისუფალი სიტყვა ყოველთვის დაცული იყო, რადგან ის ხელს უწყობს იდეათა თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას, რაც აუცილებელია სიმართლის დასადგენად<sup>139</sup>, თვითმმართველობის განსახორციელებლად, ხელისუფლების ძალაუფლების გასაკონტროლებლად და პიროვნული ავტონომიისა და თავისუფლებების დასაცავად<sup>140</sup>. ეს ეხება ინტერნეტში გავრცელებულ სიტყვასაც და გამოიყენება პირველი დამატებით გათვალისწინებული დაცვის გაფართოების გასამართლებლად ანონიმ ონლაინ ავტორებზე<sup>141</sup>. ინტერნეტი კომუნიკაციების ახალ მედიუმს წარმოადგენს და ანონიმი ბლოგერები შეიძლება „იმ რევოლუციონერ პუბლიცისტთა თანამედროვე ეკვივალენტად მივიჩნიოთ, რომლებიც ახალი ამბების ბიულეტენებს არიგებდნენ ქუჩებში“<sup>142</sup>. ამასთან დაკავშირებით მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ონლაინ მოსაუბრე/ავტორი არ უნდა იყოს ვალდებული, საკუთარი ვინაობა გამოაშკაროს, თუკი მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს, რომ ავტორისადმი ლეგიტიმური პრეტენზია აქვს<sup>143</sup>. სასამართლოები და ამ საკითხის მკვლევარები თანხმდებიან, რომ ანონიმური სიტყვა იმიტომ უნდა იყოს დაცული, რომ სიტყვის თავისუფლების ხელშემწყობი ღირებულებები ონლაინ კონტენტშიც განაგრძობენ არსებობას<sup>144</sup>, რომ სხვა კონტენტში ანონიმური სიტყვის შეზღუდვის საფუძვლები ონლაინ რეჟიმში არ გამოიყენება<sup>145</sup> და რომ ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ავტორის კანონიერი მოლოდინი იმისა, რომ მისი პირადი ცხოვრება ხელშეუვალი დარჩება<sup>146</sup>. მართალია, საქმეში *Buckley v. Valeo* სასამართლომ ვინაობის გამოვლენის მოთხო-

<sup>139</sup> სიტყვის ფუნქცია, რომელიც სიმართლის მოძიებაში გამოიხატება ან „იდეათა ბაზრის“ ცნება, წარმოიშვა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლის, ოლივერ ვენდელ ჰოლმის განსხვავებული მოსაზრებიდან საქმეში: *Abrams v. United States*, 250 U.S. 616, 630 (1919) (Holmes, J., dissenting).

<sup>140</sup> იხ. *Nickerson*, ზედა შენიშვნა 83, გვ. 869–70.

<sup>141</sup> იხ. საქმე: *Reno v. ACLU*, 521 U.S. 844, 870 (1997) (პირველი დამატებით გათვალისწინებული დაცვა გავრცელდა ონლაინ სიტყვაზეც).

<sup>142</sup> იხ. *David L. Hudson, Jr., Blogs and the First Amendment* (ბლოგები და პირველი დამატება), 11 NEXUS 129, 131 (2006) (ციტირებულია სენ. ჯონ კორნინი (შიდა ბრჭყალები გამოტოვებულია); იხ. აგრეთვე: *Daniel J. Solove, A Tale of Two Bloggers: Free Speech and Privacy in the Blogosphere* (ორი ბლოგერის ისტორია: სიტყვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ბლოგსფეროში), 84 Wash. U. Rev. 1195, 1196 (2006) (გლენ რეინოლდსის განცხადების განხილვა იმის თაობაზე, რომ თანამედროვე ბლოგერებმა შესაძლოა გააფართოონ ტრადიციული მედია-გამუშევა და პრობლემებიც შეუქმნან მას).

<sup>143</sup> იხ. *Jocelyn Hanamirian, Note, The Right To Remain Anonymous: Anonymous Speakers* (ანონიმად ყოფნის უფლება: ანონიმი მოსაუბრეები, სანდო წყაროები და საზოგადოებრივი სიკეთე), 35 Colum. J. L & Arts 119, 119 (2011); *Hudson*, ზედა შენიშვნა, 141, გვ. 132.

<sup>144</sup> იხ. *Reno*, 521 U.S. გვ. 870 (დაასკვნა, რომ „არ არსებობს პირველი დამატებით გათვალისწინებული შემოწმების დონის კლასიფიკაციის საფუძველი, რომელსაც [ინტერნეტში] გამოიყენებდნენ“).

<sup>145</sup> იხ. *McIntyre v. Ohio Elections Comm’n*, 514 U.S. 334, 354 (1995).

<sup>146</sup> იხ. *Nathaniel Gleicher, John Doe Subpoenas: Towards a Consistent Legal Standard*, 118 YALE L.J. 320, 360–61 (2008) (განხილულია, თუ როგორ შეისწავლიან სასამართლოები ბრალდებულის მოლოდინის გრძობას მისი პრივატულობის დაცულობაზე). შეადარეთ საქმეები: *Compare Sony Music Entm’t Inc. v. Does 1–40*, 326 F. Supp. 2d 556, 565 (S.D.N.Y. 2004) (აღნიშნულია, რომ

ვნები ძალაში დატოვა, მაგრამ ერთ-ერთი მეცნიერი მაინც გვთავაზობს მოსაზრებას, რომ სასამართლოებმა ხელახლა უნდა განიხილონ განსაჯაროების მოთხოვნები ტექნოლოგიური განვითარებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუვალობასთან დაკავშირებით, სულ უფრო მზარდი შემოთხვევების ფონზე<sup>147</sup>. პროფესორი ემი სანდერსი ამტკიცებს, რომ ანონიმი კომენტატორს პირადი ცხოვრების დაცულობის იმედი აქვს, რომელიც ვერაფერმა ვერ უნდა დაძლიოს, თუკი აუცილებელი მიზეზი არ არსებობს ან თუკი თავად არ დასთანხმდა ვინაობის განსაჯაროებას ვებგვერდზე პოსტის განთავსებისას<sup>148</sup>. სასამართლოები აღიარებენ, რომ, თუ ხელისუფლების ქმედებით ავტორის პრივატულობის მოლოდინი შემცირდა, ავტორი დიდი ალბათობით შეზღუდავს თავის სათქმელს, რაც შემაფერხებელ/დამთრგუნველ გავლენას იქონიებს მასზე და ჩამოართმევს ანონიმურად ლაპარაკის უფლებას<sup>149</sup>.

სიტყვის თავისუფლების დაცვის ფარგლების გაფართოების მომხრეები ამტკიცებენ, რომ ანონიმური სიტყვა ხელს უწყობს სიმართლის დადგენის ფუნქციას იმით, რომ ადამიანებს საშუალებას აძლევს, თამამად გამოხატონ აზრი სამსახურის დაკარგვის, საზოგადოებიდან განდევნისა თუ მათზე შემაწუხებელი თავდასხმების შიშის გარეშე<sup>150</sup>. ამას გარდა, ისინი ამბობენ, რომ ანონიმურობა უზრუნველყოფს, რომ ავტორის მესიჯის არსი და ფასეულობა არ გაუფასურდეს, არ გაცდეს ან ნაჩქარევად არ შეფასდეს ავტორის ხასიათის საფუძველზე<sup>151</sup>. მკვლევარი მაიკ გოდვინი აღნიშნავს, რომ ონლაინ სიტყვა და ინტერნეტი პლურალიზმს უწყობს ხელს იმით, რომ<sup>152</sup> ადამიანს უფრო ფართო აუდიტორიასთან დაკავშირების საშუალებას აძლევს.

სიტყვის თავისუფლების მომხრეები აღნიშნავენ, რომ ფართო უფლებები ხელისუფლების ძალაუფლების გაკონტროლების საშუალებას იძლევა, რადგან მოქალაქეებს პრეტენზიების

სასამართლომ უნდა განიხილოს მხარეების პრივატულობის დაცვის მოლოდინის საკითხი, როცა გადაწყვეტილებას იღებს, ვასცეს თუ არა ნებართვა ISP-დან იდენტიფიცირებადი ინფორმაციის ამოღებაზე და საქმე: *Dendrite Int'l, Inc. v. Doe No. 3*, 775 A.2d 756, 762 (N.J. Super. Ct. App. Div. 2001) (სასამართლო იკვლევს ვებსაიტის ადმინისტრაციის კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკას იმის გადასაწყვეტად, ჰქონდათ თუ არა ბრალდებულებს პრივატულობის დაცვის გონივრული იმედი).

<sup>147</sup> იხ. *William McGeeveran, Mrs. McIntyre's Checkbook: Privacy Costs of Political Contribution Disclosure* (პოლიტიკური შემოწირულობის განსაჯაროება პრივატულობის ფასად), 6 U. PA. J. CONST. L. 1, 7 (2003).

<sup>148</sup> იხ. *Amy Kristin Sanders & Patrick C. File, Giving Users a Plain Deal: Contract-Related Media Liability for Unmasking Anonymous Commenters* (მკაფიო გარიგება მომხმარებელთან: მედია პასუხისმგებლობა ანონიმი კომენტატორების გამოაშკარავებისთვის კონტრაქტის საფუძველზე), 16 COMM. L. & POL'Y 197, 207-08 (2011).

<sup>149</sup> იხ. საქმე: *White v. Baker*, 696 F. Supp. 2d 1289, 1310-11 (N.D. Ga. 2010) (სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონი, რომელიც მოსარჩელისგან მოითხოვდა მისი ვინაობის განსაჯაროებას ინტერნეტში, შეასუსტებდა ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლებას); იხ.: *Doe v. Cahill*, 884 A.2d 451, 462 (Del. 2005) („მომჩინისთვის ანონიმი ბრალდებულის ვინაობის გაშიფრის უფლების მიცემა ცილისწამებაზე სასამართლო პროცესის მეშვეობით, სასამართლო დაცვის ძირითადი საშუალებაა, რომელიც, თუ იოლად მოიპოვება, შეასუსტებს/დათრგუნავს პირველი დამატებით გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლების უფლებების განხორციელებას“). მაგრამ იხ. აგრეთვე: *Clay Calvert et al., David Doe v. Goliath, Inc.: Judicial Ferment in 2009 for Business Plaintiffs Seeking the Identities of Anonymous Online Speakers*, 43 J. MARSHALL L. REV. 1, 15 (2009) (განხილულია ინტერნეტის მავნებლობა, თუ ანონიმი ავტორები ბოროტად სარგებლობენ მისით).

<sup>150</sup> იხ. *Lyrissa Barnett Lidsky & Thomas F. Cotter, Authorship, Audiences, and Anonymous Speech*, 82 NOTRE DAME L. REV. 1537, 1570-74 (2007); იხ. *Nickerson*, ზედა შენიშვნა 83, გვ. 847-48.

<sup>151</sup> იხ. *Brenner*, ზედა შენიშვნა 55, გვ. 743-44 („რაც უფრო ცოტა ვიცით ინტერნეტში განთავსებული ტექსტის ავტორის შესახებ, მით უფრო რთული იქნება ავტორის ნათქვამის არსის შეფასება“); იხ. *Martin*, ზედა შენიშვნა 54, გვ. 1220 (ციტირებულია *Ian C. Ballon, E-Commerce and Internet Law: Treatise with Forms*) § 1:06 (2004)).

<sup>152</sup> იხ. *Mike Godwin, Cyber Rights: Defending Free Speech in the Digital Age* (კიბერუფლებები: სიტყვის თავისუფლების დაცვა კიბერ ეპოქაში) 298 (1998) (მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება სიტყვის გამოჩენა ინტერნეტ სივრცეში „რადიკალური პლურალიზმი“ მოიტანოს შედეგად).

გამოთქმა შეუძლიათ საჯარო მოხელეების მისამართით, შეუძლიათ შენიშვნა მისცენ იმის თაობაზე, რომ არ მოიქცნენ ღირსეულად და შესაფერისად<sup>153</sup>. ანონიმური სიტყვა სწორედ ამ ინტერესს ანვითარებს, კერძოდ, რომ მოქალაქეებმა თავიანთი გასაჭირის შესახებ პირდაპირი თუ ირიბი დასჯის შიშის გარეშე<sup>154</sup> ილაპარაკონ. ამას გარდა, ანონიმი ავტორის პრივატულობის ინტერესის დაცვა ხელს უწყობს მისი ინდივიდუალური ავტონომიის გაძლიერებას იმით, რომ „ანონიმს საშუალებას აძლევს, არატიპურ საქმიანობაში მიიღოს მონაწილეობა და გამოთქვას არაპოპულარული აზრები სამაგიეროს გადახდის შიშის გარეშე“<sup>155</sup>. მოსაზრებისა და ნაფიქრის გამოთქმის საშუალება ადამიანს ალბათ რეალური კმაყოფილების გრძნობას ჰგვრის, რადგან მას ახალი იდეებისა და იდენტიფიკაციის შესწავლის საშუალება ეძლევა<sup>156</sup>.

ავტორისა და იმ ადამიანის ინტერესების შეჯერებისას, რომელსაც შეიძლება ზიანი მიადგეს სიტყვის მეშვეობით, მკვლევარებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლებამ პრაგმატული მიდგომა უნდა აირჩიოს და უფრო მეტი დაცვა შესთავაზოს ავტორებს, ნება მისცეს კომპანიებსა თუ ვებგვერდების ადმინისტრაციას, რომ პასუხისმგებლობა აიღონ ზიანის მომტანი სიტყვის შეზღუდვაზე<sup>157</sup>. რადგან ვებგვერდების ადმინისტრატორები, როგორც არასამთავრობო აქტიორები, არ არიან პირველი დამატებით გათვალისწინებული შეზღუდვებით შებოჭილი, ალბათ ისინი, უკეთეს პოზიციაში არიან იმისთვის, რომ მათი უფლებები დაიცვან, ვისაც ზიანი მიადგება ანონიმური სიტყვისგან<sup>158</sup>. თუმცა, როგორც ზემოთ განვიხილეთ, მსგავსმა მიდგომამ სხვა სერიოზული პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს<sup>159</sup>.

<sup>153</sup> იხ. Vincent Blasi, *The Checking Value in First Amendment Theory* (ღირებულების შემოწმება პირველ დამატებაში), 1977 AM. B.FOUND. RES. J. 521, 542 (1977). ანონიმური ონლაინ სიტყვის როლი დემოკრატიის იდეის ხელშეწყობაში კარგად გამოჩნდა ირანისა და ეგვიპტეში ახლახან მომხდარი ამბოხებების დროს სოციალური მედიის გამოყენების მაგალითზე. იხ. მაგ.: Nas-sim Nazemi, Note, *DCMA § 512 Safe Harbor for Anonymity Networks Amid a Cyber-Democratic Storm: Lessons from the 2009 Iranian Uprising* (უსაფრთხო ნავსადგური (თავშესაფარი) ანონიმური ქსელებისთვის კიბერდემოკრატიული შტორმის შუაგულში: 2009 წლის ირანის ამბოხებიდან მიღებული გაკვეთილები), 106 NW. U. L. REV. 855, 866–67 (2012) (“ადამიანთა დაპატიმრებამ, რომელიც მათ მიერ სოციალურ ქსელებში განთავსებულ შენიშვნებს მოჰყვა, პროუექტორივით გაანათა გაუფიქრებელი ინტერნეტწვდომისა და ონლაინ ანონიმურობის მნიშვნელობა იმ საქმიანობისთვის, რასაც აწვევა დემოკრატიზაციისთვის საზღვარგარეთ და მსოფლიოს ახალ ამბებზე წვდომისთვის”).

<sup>154</sup> იხ. მაგ.: Solove, ზედა შენიშვნა 141, გვ. 1199.

<sup>155</sup> Id.

<sup>156</sup> იხ. Lidsky & Cotter, ზედა შენიშვნა 149, გვ. 1568–69.

<sup>157</sup> იხ. Id. გვ. 1577, 1582–86 (ამტიკიებენ, რომ არსებობს ფუნდამენტური ვარაუდი იმის თაობაზე, რომ სიტყვის მსენებლები (აუდიტორიები) რაციონალური და თვითმმართველობის უნარის მქონე არიან და რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში: *New York Times Co. v. Sullivan*, 376 U.S. 254 (1964), ამ დამატების დადასტურებაა).

<sup>158</sup> მაგ. „The New York Times“ ნებას რთავს თავის მომხმარებლებს, განათავსონ ანონიმური და ფსევდონომით დაწერილი შენიშვნები, მაგრამ მათგან ითხოვს ელფოსტის რეგისტრაციას და უფლებას იტოვებს, წაშალოს ან მოდერნიზაცია გაუკეთოს შეტყობინებებს. იხ. *Comments & Readers' Reviews*, N.Y. TIMES, ვებგვერდზე: <http://www.nytimes.com/content/help/site/usercontent/usercontent.html> (უკანასკნელად ნანახია 2013 წლის 19 აპრილს). სხვა ვებგვერდები სოციალური ქსელების, მაგ., Facebook და Twitter ანგარიშებიდან დარეგისტრირებას ითხოვენ მომხმარებლებისგან. იხ. *Comments and Discussion*, WASH. POST, ვებგვერდზე: [http://www.washingtonpost.com/wp-srv/interactivity/policy/discussion\\_faq.html](http://www.washingtonpost.com/wp-srv/interactivity/policy/discussion_faq.html) (უკანასკნელად ნანახია 2013 წლის 19 აპრილს). (ავტორებს უფლება აქვთ, განათავსონ შეტყობინებები სოციალური მედიის აპლიკაციების ან სარეგისტრაციო სისტემების საშუალებით).

<sup>159</sup> იხ. ზედა შენიშვნები 349–52 და ტექსტი.

## ბ. ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები

მიუხედავად ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლების მხარდამჭერი არგუმენტებისა, არსებობს ასევე ძლიერი არგუმენტები ამ სიტყვის შესაზღუდად. პირველ რიგში, ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლების დაცვამ შეიძლება ხელი შეუწყოს სიტყვის თავისუფლების ტრადიციული მიზნების განხორციელებას, რადგან ეს არ არის იმგვარი სიტყვის გამოხატვა, რომელსაც უზენაესი სასამართლო თავის ორ საქმეში – Talley და McIntyre-ის საქმეებში განიხილავს. მეორე, საყოველთაო ანონიმურმა სიტყვამ რეალურად შეიძლება იდეათა თავისუფალ დისკურსს ხელი შეუშალოს. მესამე, მან შეიძლება გაზარდოს ანტისოციალური ქმედებები, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს უმცირესობათა ჯგუფებზე<sup>160</sup>. მეცნიერები მიუთითებენ ამ დაპირისპირებულ ინტერესებზე და ფიქრობენ, რომ ხელისუფლებამ უფრო დაბალი ხარისხის დაცვის საშუალებები უნდა მიიღოს ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლებისთვის<sup>161</sup>.

მართალია, სიტყვის თავისუფლებას საფუძვლად უდევს ისეთი სიკეთეები, როგორცაა სიმართლის დადგენა, თვითმმართველობის განვითარება და ინდივიდუალური თავისუფლებისთვის ხელშეწყობა, პრაქტიკულად, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ონლაინ რეჟიმში ანონიმურად გამოთქმული აზრების უმეტესობას სიტყვის დაბალი ღირებულება აქვს და, შესაბამისად, უფრო მცირე დაცვას ექვემდებარება<sup>162</sup>. Talley და McIntyre გადაწყვეტილებების კონკრეტული მნიშვნელობით წაკითხვა მიგვანიშნებს, რომ უზენაესი სასამართლო პოლიტიკურ პრივატულობას იცავდა ანონიმურობის ფართო უფლების შექმნის ნაცვლად<sup>163</sup>. ანონიმური ონლაინ სიტყვა კი უფრო ფართო სპექტრს მოიცავს სიტყვისას, რომელიც შეიძლება ბუნებით პოლიტიკური არ იყოს ან არ უწყობდეს ხელს თვითმმართველობის განვითარებას და დემოკრატიულ პრინციპებს<sup>164</sup>. პროფესორი ჯეიმს გარდნერი მიიჩნევს, რომ ანონიმურობა არაგულწრფელად მოქცევის და საკუთარ საქციელსა და შეხედულებებზე პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის საშუალებას აძლევს ადამიანებს, რაც ანტიეთიკურია ჯანსაღი პოლიტიკური სისტემისთვის<sup>165</sup>. თავისთავად, სხვების ინტერესები, რომლებსაც შესაძლოა ზიანი მიადგეთ ანონიმური ონლაინ სიტყვისგან, ამართლებს გარკვეული სახის შეზღუდვების დაწესებას მასზე<sup>166</sup>.

<sup>160</sup> იხ. მაგ.: Danielle Keats Citron, *Cyber Civil Rights* (კიბერსამოქალაქო უფლებები) 89 B.U. L. REV. 61, 64 (2009) (განხილულია უმცირესობათა ჯგუფებზე თავდამსხმელი ანონიმური ონლაინ ბანდების მომრავლება); იხ. Michael L. Siegel, *Comment, Hate Speech, Civil Rights, and the Internet: The Jurisdictional and Human Rights Nightmare* (შენიშვნა, სიძულვილის ენა, სამოქალაქო უფლებები და ინტერნეტ: იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს კომპარირი), 9 ALB. L.J. SCI. & TECH. 375, 381 (1999) (განხილულია, თუ როგორ იყენებენ „სიძულვილის ჯგუფები“ ინტერნეტს თავიანთი აზრების გასავრცელებლად).

<sup>161</sup> იხ. Gleicher, ზედა შენიშვნა 145, გვ. 330-31 (განხილულია, თუ როგორ ართულებს უმცირესობათა ჯგუფების ონლაინ შევიწროების პრობლემა სიტყვის თავისუფლების ანალიზს).

<sup>162</sup> იხ. Malloy, ზედა შენიშვნა 66, გვ. 1190-91 (განხილულია ონლაინ ავტორების გაუფრთხილებლობისა და უპასუხისმგებლობის საკითხები); იხ. Solove, ზედა შენიშვნა 141, გვ. 1196-97 (შეადარებულია ბლოგერთა სხვადასხვა სახეობები და კეთდება დასკვნა, რომ ბლოგების უმეტესობას ღირებულების დაბალი დონე აქვს).

<sup>163</sup> იხ. Calvert et al., ზედა შენიშვნა 148, გვ. 11-13.

<sup>164</sup> იხ. id. (გამოთქმულია აზრი, რომ ანონიმური სიტყვის თავისუფლება პოლიტიკურ სიტყვაზე უნდა ვრცელდებოდეს, რაც სადაო საკითხი იყო უზენაესი სასამართლოს შესაბამის პრეცედენტში).

<sup>165</sup> იხ. James A. Gardner, *Anonymity and Democratic Citizenship* (ანონიმურობა და დემოკრატიული მოქალაქეობა), 19 WM. & MARY BILL RTS. J. 927, 940-41 (2011) (ციტირებულია ჯონ სტიუარტ მილის საწინააღმდეგო მოსაზრება ფარულ კენჭისყრასა და ანონიმურ სიტყვაზე პოლიტიკურ სისტემაში).

<sup>166</sup> იხ. Godwin, ზედა შენიშვნა 151, გვ. 299 (განხილულია იმ შიშის რაციონალურობა, რომ ანონიმმა ავტორმა შეიძლება



პროფესორი ჯეიმს გარდნერი აღნიშნავს, რომ ანონიმური ონლაინ სიტყვა შეიძლება არ გამოდგეს იდეათა თავისუფალი დისკურსისთვის, რადგან ინტერნეტ-ფორუმები, როგორც წესი, თანამოაზრეებს იზიდავს, სადაც მათი წარმოდგენები და მოსაზრებები კიდევ უფრო მტკიცდება<sup>167</sup>. ამ ჯგუფურმა პოლარიზაციამ შეიძლება იდეათა თავისუფალი დისკურსი შეაფერხოს და ჩაკლას სიმართლის დადგენის ფუნქცია, რადგან საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანები პირდაპირ კი არ ერთვებიან საუბარში ერთმანეთის გადასარწმუნებლად ან სიმართლის აღმოსაჩენად, არამედ თანამოაზრეების მსგავს იდეებს უჭერენ მხარს<sup>168</sup>. ვინაიდან ემპირიული მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ ანონიმურობამ შესაძლოა ანტისოციალური ქცევა გააძლიეროს, პროფესორი გარდნერი ფიქრობს, რომ სიტყვის ნაწილი მაინც შეიძლება მოითოკოს<sup>169</sup>. უფრო მეტიც, პროფესორი დანიელ სიტრონი ამტკიცებს, რომ ანონიმი ონლაინ ავტორების უფლებები უნდა შეიკვეცოს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს უფლებები წინააღმდეგობაში მოდიან არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი და დაუცველი ადამიანების უფლებებთან<sup>170</sup>. ისინი, ვინც ანონიმი ონლაინ ავტორებისთვის დაცვის გაფართოების მომხრეები არიან, ამტკიცებენ, რომ ანონიმურობა იცავს ადამიანს, რომ საკუთარი აზრის გამო შევიწროებული არ იქნეს<sup>171</sup>. თუმცა პროფესორი სიტრონი აღნიშნავს, რომ ამ ადვოკატებს უჭირთ იმის აღიარება, რომ ინტერნეტი „ნოყიერ ნიადაგად იქცა“ არატოლერანტული და ექსტრემისტული ჯგუფების გასამრავლებლად<sup>172</sup>. ანონიმი ავტორები თავს ესხმიან ტრადიციულად არახელსაყრელ პირობებში მყოფ ადამიანებს და პასუხისმგებისგან თავის დაძვრენის საშუალებაც აქვთ ანონიმურობის წყალობით<sup>173</sup>. მიუხედავად იმისა, რომ პირველი დამატების ამჟამინდელი იურისდიქციით ხელისუფლებას უფლება არ აქვს, სიძულვილის ენაზე კატეგორიული აკრძალვები დააწესოს<sup>174</sup>, ანონიმურობა წინასწარ გამორიცხავს ავტორის დადგენის შესაძლებლობას და მისთვის სოციალური სანქციების დაწესებას, როგორც ეს სიძულვილის ენის პირისპირ გამოყენებისას იქნებოდა შესაძლებელი<sup>175</sup>. იმ ადამიანების დაცვა, რომლებსაც შეიძლება ზიანი მიადგეთ სიტყვისგან, ვინაობის გამხელის მოქნილი სტანდარტის მიღების საშუალებას გვაძლევს<sup>176</sup>.

ზიანი მიყენოს მსხვერპლს და არ მისცეს სასამართლო დაცვის საშუალება).

<sup>167</sup> იხ. Gardner, ზედა შენიშვნა 164, გვ. 945.

<sup>168</sup> იხ. Id. გვ. 930.

<sup>169</sup> Id. გვ. 947.

<sup>170</sup> იხ. Citron, ზედა შენიშვნა 159, გვ. 93-95 (ანონიმურობის როლის განხილვა სამოქალაქო უფლებების დარღვევისას).

<sup>171</sup> იხ. Lidsky & Cotter, ზედა შენიშვნა, 149, გვ. 1570-73; ზედა შენიშვნა 54, გვ. 1220; Nickerson, ზედა შენიშვნა 83, გვ. 847-48.

<sup>172</sup> Citron, ზედა შენიშვნა 159, გვ. 69-81.

<sup>173</sup> id. გვ. 69 (განხილვება, თუ როგორ აძლევს ინტერნეტის სტრუქტურა ადამიანებს იმის საშუალებას, რომ აირიდონ სოციალური სტიგმა შეურაცხმყოფელი მოქმედებებისთვის).

<sup>174</sup> იხ. მაგ.: R.A.V. v. City of St. Paul, 505 U.S. 377, 383-84 (1992) (დაადგინა, რომ ქალაქის საბჭოს ბრძანებულება, რომელიც მიკერძოებულ აზრზე/დისკრიმინაციულ საფუძველზე ჩადენილ უწესრიგო ქცევას კრძალავდა, facially არაკონსტიტუციური იყო, რადგან ის შინაარსზე დაფუძნებული რეგულაცია იყო იმ კატეგორიის სიტყვისა, რომელიც სხვანაირად არ ექვემდებარებოდა რეგულირებას, მაგ., პროვოკაციული სიტყვები).

<sup>175</sup> იხ. Brenner, ზედა შენიშვნა 55, გვ. 745 (განხილულია, თუ როგორ აძლევს ანონიმურობა ადამიანს იმის საშუალებას, რომ ანტისოციალურად მოიქცეს).

<sup>176</sup> იხ. See Calvert et al., ზედა შენიშვნა 148, გვ. 14-15; Citron, ზედა შენიშვნა 159, გვ. 94.

ამას გარდა, პროფესორი დანიელ სოლოვი ფიქრობს, რომ ანონიმური ონლაინ სიტყვა უნდა შეიზღუდოს იმიტომ, რომ ის ხშირად არღვევს სხვების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას<sup>177</sup>. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მნიშვნელობის სიტყვას საკმაოდ ძლიერი დაცვა აქვს, პირადი სიტყვა, მაგალითად, ჭორაობა, გაცილებით სუსტადაა დაცული<sup>178</sup>. პროფესორი სოლოვი ამტკიცებს, რომ ანონიმურ ინტერნეტ სიტყვას ნაკლები დაცვა უნდა ჰქონდეს, რადგან ის ხშირად პირად ინტერესებს ეხება<sup>179</sup>. პროფესორი სიტრონი ვარაუდობს, რომ პირად ინტერესებზე სიტყვის შეზღუდვა გააუმჯობესებს იდეათა გაზიარების საქმეს და ხელს შეუწყობს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ თანასწორობას<sup>180</sup>. როცა მოსაუბრე/ავტორი თავს ესხმის სხვას და მასში შიშის გრძნობას იწვევს პირადი ინტერესის საფუძველზე, პროფესორი სიტრონი მიიჩნევს, რომ მისი მსხვერპლი, სავარაუდოდ, დატოვებს ონლაინ ფორუმს და არ გამოიყენებს უფრო მეტ თავისუფლებას თავდამსხმელის პოზიციის გასაკრიტიკებლად, რაც, თავისთავად, დაუპირისპირდება სიტყვის თავისუფლების საფუძვლის, სიმართლის მოძიების/დადგენის ამოსავალ დებულებას<sup>181</sup>. დაბოლოს, ანონიმური სიტყვა ზრდის ძებნის ხარჯებს<sup>182</sup>. როცა ადამიანი თავის აზრებთან ასოცირდება, საზოგადოებისთვის უფრო იოლი ხდება მისი შეტყობინებების სინამდვილის და ტენდეციურობის შეფასება, რაც, თავისთავად, საზოგადოებას უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევს, დაეთანხმოს თუ არა ამ ადამიანს<sup>183</sup>. მართალია, საზოგადოებამ მისი ტენდენციურობისა და სხვა დეტალების შესახებ სხვადასხვა არხებითაც შეიძლება შეიტყოს, მისი ვინაობის ცოდნა ამცირებს შემოწმების ხარჯებს, რაც განცხადების სინამდვილის ან სიზუსტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას აიოლებს<sup>184</sup>.

### III. სიტყვის თავისუფლების მოქმედი რეგულაციები

სასამართლოები და საკანონმდებლო ორგანოები აღიარებენ, რომ ანონიმური სიტყვის თავისუფლების დაცვასა და შეუზღუდავი ანონიმური ონლაინ სიტყვის საფრთხეებს შორის

<sup>177</sup> იხ. Solove, ზედა შენიშვნა 141, გვ. 1198–99.

<sup>178</sup> იხ.: First Nat'l Bank of Boston v. Bellotti, 435 U.S. 765, 776–77 (1978).

<sup>179</sup> იხ. Solove ზედა შენიშვნა 141, გვ. 1198.

<sup>180</sup> იხ. Citron, ზედა შენიშვნა 159, გვ. 99–104.

<sup>181</sup> Id. გვ. 101.

<sup>182</sup> იხ. Brenner, ზედა შენიშვნა 55, გვ. 743–44.

<sup>183</sup> იხ. McIntyre v. Ohio Elections Comm'n, 514 U.S. 334, 382–83 (1995) (Scalia, J., dissenting) (მოსამართლე სკალიას განსხვავებული აზრი). განხილულია მოსაზრება, თუ როგორ აადვილებს ანონიმური სიტყვა ადამიანებისთვის სიცრუის თქმას, რის შედეგად, ამომრჩევებს უჭირს სიმართლის გაგება; იხ.: Amy Constantine, Note, What's in a Name? McIntyre v. Ohio Elections Commission: An Examination of the Protection Afforded to Anonymous Political Speech, 29 CONN. L. REV. 459, 469–70 (1996).

<sup>184</sup> იხ. Lidsky & Cotter, ზედა შენიშვნა 149, გვ. 1565–66 (სავაჭრო ნიშანი შედარებულია ავტორის ვინაობასთან იმის წარმოსაჩენად, რომ ავტორის რეპუტაციას ადამიანი ისევე შეიძლება ენდოს განცხადების სანდოობაზე, როგორც უფლებამოსილ პირს).

დაძახულობა არსებობს. მათ უწევთ გადაწყვიტონ, დააკმაყოფილონ თუ არა მოსარჩელების შუამდგომლობები სამართალდამრღვევი ანონიმი ავტორების სასამართლოში გამოსაძახებლად მათი ვინაობის დადგენის მიზნით. ამასობაში, რამდენიმე შტატის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო ან შეეცადა, რომ აემოქმედებინა კანონი, რომელიც აკრძალავდა ან შეზღუდავდა ანონიმურ ონლაინ სიტყვას. ამ ნაშრომის მესამე ნაწილში განხილულია შტატების საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული სხვადასხვა კანონი, რომელიც მიზნად ისახავს ანონიმური ონლაინ სიტყვის აკრძალვას ან შეზღუდვას.

### ა. ვინაობის განსაჯაროების მიზნით სასამართლოში გამოძახების სტანდარტები

დღეს სასამართლოს ამოცანას იმ ანონიმ ავტორთა დაცვის შესაფერისი დონის განსაზღვრა წარმოადგენს, რომლებსაც სიტყვის თავისუფლების დარღვევაში ედებათ ბრალი. ავტორები/მოსაუბრეები მრავალნაირ ფორუმებში მონაწილეობენ, მათ შორის ბლოგებზე, ჩეთებსა და შეტყობინებების დაფებზე და ვებგვერდებზე<sup>185</sup>. აქტის Communications Decency Act მიხედვით<sup>186</sup>, ინტერნეტის მომსახურების მიმწოდებელი (ISP) ან ვებგვერდის მასპინძელი არ მიიჩნევა იმ მასალის ავტორად ან გამომქვეყნებლად, რომელიც სხვა მომხმარებელმა მიაწოდა მათ<sup>187</sup>. შესაბამისად, ისინი არ შეიძლება სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლებად მივიჩნიოთ „ძალადობრივი, შემავიწროებელი ან სხვაგვარი მიუღებელი“ მასალაზე, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა მისი შინაარსი კონსტიტუციით<sup>188</sup>. თავისთავად, მოსარჩელები, რომლებიც ვებსაიტზე განთავსებულ შინაარსს ასაჩივრებენ, ვალდებული არიან, იმ ადამიანზე აღძრან საქმე, რომელმაც განათავსა ეს მასალა. ამჟამად ანონიმი ავტორის ვინაობის გასაგებად, შესაძლო მოსარჩელემ, პირველ რიგში, ვებსაიტის ადმინისტრატორი უნდა გამოაძახებინოს სასამართლოში ავტორის სარეგისტრაციო მონაცემების ან IP მისამართის წარმოსადგენად<sup>189</sup> და ამის შემდეგ უნდა დაუკავშირდეს შესაბამის მომსახურების მიმწოდებელს (ISP), რომ ავტორის ნამდვილი ვინაობა გაიგოს IP-ზე დაყრდნობით<sup>190</sup>. ამ საფეხურს შეიძლება მეორე შუამდგომლობა დასჭირდეს<sup>191</sup>. პროცესი საკამათოა, რადგან ის მოსარჩელეს, რომელიც არცთუ იშვიათად, კორპორაციული აქტიორია, საქმის აღძვრისა და ავტორის იდენტობის გაშიფვრის საშუალებას აძლევს ისე, რომ ანონიმ ავტორს სასამართლოში გამოძახების გასაჩივრების შანსსაც არ უტოვებს<sup>192</sup>. ხშირად ადამიანებს და კომპანიებს,

<sup>185</sup> იხ. Susanna Moore, The Challenge of Internet Anonymity: Protecting John Doe on the Internet (ანონიმურობის გამოწვევა ინტერნეტში: ჯონ დოს დაცვა ინტერნეტში), 26 J. Marshal J. Computer & Info. L. 469, 470 (2009). ვითარება, რომელშიც ავტორი ვინაობას ამხელს, ამ ნაშრომის განხილვის მიზანს არ წარმოადგენს.

<sup>186</sup> იხ. Communications Decency Act of 1996, Pub. L. 104-104, 110 Stat. 133 (კოდიფიცირებული 47 U.S.C. §§ 230, 560-61).

<sup>187</sup> 47 U.S.C. § 230(c)(1) (2006).

<sup>188</sup> Id. § 230(c)(2)(A).

<sup>189</sup> იხ. Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ. 472; აგრეთვე: Sony Music Entm't Inc. v. Does 1-40, 326 F. Supp. 2d 556, 558-59 (S.D.N.Y. 2004); Doe v. Cahill 884 A.2d 451, 454-55 (Del. 2005).

<sup>190</sup> იხ. Sony Music, 326 F. Supp. 2d at 558-59; Cahill 884 A.2d at 454-55; Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ. 472.

<sup>191</sup> იხ. Sony Music, 326 F. Supp. 2d at 558-59; Cahill 884 A.2d at 454-55; Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ. 473.

<sup>192</sup> იხ. David Sobel, The Process That "John Doe" Is Due: Addressing the Legal Challenge to Internet Anonymity („ჯონ დოუ“ სათანადო: ინტერნეტში ანონიმურობის სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა), 5 VA. J.L. & TECH 3, 14 (2000).

რომლებსაც ზიანი ადგებათ ანონიმური სიტყვისგან, თავიანთი კრიტიკოსების გაჩუმება ამოძრავებთ და არა მიყენებული რეალური ზიანის ანაზღაურება<sup>193</sup>. მათ მიერ აღძრულ საქმეებს ხშირად უწოდებენ „საზოგადოებრივი მონაწილეობის საწინააღმდეგო სტრატეგიულ სარჩელებს“ ან SLAPP სარჩელებს<sup>194</sup>. იმ მიზნით, რომ სამართლებრივი პროცედურები სიტყვის თავისუფლების დასათრგუნად არ გამოყენებულიყო, რამდენიმე შტატმა ანტი SLAPP კანონმდებლობა მიიღო<sup>195</sup>. ნაშრომის ამ მონაკვეთში განვიხილავთ სასამართლოების მიერ გამოყენებულ სხვადასხვა სტანდარტებს, რომლებსაც ისინი იყენებენ ანონიმი ავტორების ვინაობის გამოვლენის მიზნით სასამართლოში გამოძახების მოთხოვნის განხილვისას და ვიმსჯელებთ ზოგიერთი მკვლევარის გამოხმაურების შესახებ ამ სტანდარტებზე<sup>196</sup>.

## 1. კეთილსინდისიერების სტანდარტი

არსებულ სტანდარტთა შორის, ვირჯინიის შტატმა ყველაზე ნაკლებ დამცველი ტესტი მიიღო ანონიმი ონლაინ ავტორის ვინაობის განსაჯაროებაზე სასამართლო ბრძანების დაკმაყოფილებისთვის. *In re Subpoena Duces Tecum to America Online*<sup>197</sup>-ში პირველი ინსტანციის სასამართლომ კეთილსინდისიერების შეფასების სტანდარტი გამოიყენა მოსარჩელე კორპორაციის საქმეში, რომელიც რამდენიმე ადამიანს უჩიოდა „განზრახ შეცდომაში შემყვანი ცილისმწამებლური და კონფიდენციალური შიდა უწყებრივი ინფორმაციის“ გავრცელებისთვის ინტერნეტში<sup>198</sup>. კეთილსინდისიერების სტანდარტის მიხედვით, სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას შემდეგი პირობების შესრულებისას: თუკი ის „დაკმაყოფილდება მხარეთა განმარტებებით ან წარმოდგენილი მტკიცებულებებით“; თუ მომთხოვნ მხარეს ლეგიტიმური, კეთილსინდისიერი რწმენა აქვს იმისა, რომ სიტყვა შეიძლება გასაჩივრდეს; და თუ მოთხოვნილი ინფორმაცია აუცილებელია საჩივრის შესატანად<sup>199</sup>. ვირჯინიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, მაგრამ გადაწყვეტილება იმ სტანდარტზე, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა პირის გამოვლენის თაობაზე, არ მიუღია<sup>200</sup>. ვირჯინიის

<sup>193</sup> იხ. Victoria S. Ekstrand, *Unmasking Jane and John Doe: Online Anonymity and the First Amendment* (ნიღბის ახლა ჯეინ და ჯონ დოუსთვის: ონლაინ ანონიმურობა და პირველი დამატება), 8 COMM. L. & POL'Y 405, 415 (2003).

<sup>194</sup> *Id.* at 416.

<sup>195</sup> *Id.* კერძოდ: ანტი-SLAPP კანონმდებლობა მიიღეს: კალიფორნიამ, დელავერმა, ფლორიდამ, ჯორჯიამ, ინდიანამ, ლუიზიანამ, მაინმა, მასაჩუსეტსმა, მინესოტამ, ნებრასკამ, ნევადამ, ნიუ-მექსიკომ, ნიუ-იორკმა, ოკლაჰომამ, ორეგონმა, პენსილვანიამ, როდე-აილენდმა, ტენესიმ, იტამ და ვაშინგტონმა. *Id.* გვ. 416 შენ. 50.

<sup>196</sup> იხ. Calvert et al., ზედა შენიშვნა 148, გვ. 16-26; Gleicher, ზედა შენიშვნა 145, გვ. 350-57; Malloy, ზედა შენიშვნა 66, 1189-90; ზედა შენიშვნა Martin, ზედა შენიშვნა 54, 228-37; Matthew Mazzotta, Note, *Balancing Act: Finding Consensus on Standards for Unmasking Anonymous Internet Speakers* (კვლევა თანაზომიერების დამყარებაზე: კონსენსუსი ინტერნეტში ანონიმი ავტორების განსაჯაროებისთვის გამოყენებულ სტანდარტებზე), 51 B.C. L. REV. 833, 844-59 (2010); Moore, ზედა შენიშვნა 84, 473-81; Nickerson, ზედა შენიშვნა 83, 864-68.

<sup>197</sup> *In re Subpoena Duces Tecum to Am. Online, Inc.*, 52 Va. Cir. 26 (Cir. Ct. 2000), *rev'd on other grounds sub nom. Am. Online v. Anonymous Publicly Traded Co.*, 542 S.E.2d 377 (Va. 2001). ვირჯინიის საოლქო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოა.

<sup>198</sup> *Id.* გვ. 26-27.

<sup>199</sup> *Id.* გვ. 37.

<sup>200</sup> იხ. საქმე: *Am. Online, Inc. v. Anonymous Publicly Traded Co.*, 542 S.E.2d 377 (Va. 2001).

შტატის საკანონმდებლო ორგანომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კანონად მიიღო და კოდიფიცირება მოახდინა<sup>201</sup>.

ვირჯინიის პირველი ინსტანციის სასამართლომ აღიარა, რომ დაბალი ზღურბლი, რაც ავტორების ვინაობის განხილვისთვისაა დაწესებული, შეზღუდავდა ანონიმი ავტორების სიტყვის უფლებებს<sup>202</sup>. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსალოდნელი საფრთხე, რაც შეიძლება მოსარჩელეს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოჰყოლოდა, უფრო დიდი იყო, ვიდრე ავტორთა ანონიმურობის დაცვის ინტერესი<sup>203</sup>. ამას გარდა სასამართლომ დაასაბუთა, რომ შტატს დაუძლეველი ინტერესი აქვს<sup>204</sup> რომ კომპანიები დაცულები იყვნენ უკანონო ქმედებებისგან. შესაბამისად, სასამართლომ კეთილსინდისიერების სტანდარტის გამოყენება გადაწყვიტა ვინაობის გამჟღავნების მიზნით<sup>205</sup> სასამართლო ბრძანების გაცემის თაობაზე.

კეთილსინდისიერების სტანდარტის მომხრეები ამტკიცებენ, რომ კანონმდებლობა ცილისწამების შესახებ და სასამართლო დაცვის საშუალებები, რასაც ცილისწამების სამართალი გვთავაზობს, არ შეეფერება ონლაინ კონტენტის გამოწვევებს და, შესაბამისად, სხვა, მისი საპირისპირო – დაბეჭდილი ცილისწამებისგან განსხვავებული სტანდარტები უნდა იქნეს გამოყენებული<sup>206</sup>. უფრო კონკრეტულად კი, ისინი ამბობენ, რომ ინტერნეტ-სიტყვას უფრო მეტი პერმანენტულობა აქვს, ის გაცილებით ფართო აუდიტორიას აწვდის ხმას და, შესაბამისად, უფრო დიდი გავლენის მოხდენაც შეუძლია<sup>207</sup>. ისინი ფიქრობენ, რომ ნაკლებად მომთხოვნი ტესტის მიღება ანონიმი ონლაინ ავტორების ვინაობის განსაჯაროებისთვის ცილისწამების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის აღსრულებას უზრუნველყოფდა იმით, რომ მოსარჩელეს ცილისწამებისთვის საქმის აღძვრას გაუადვილებდა<sup>208</sup>.

პროფესორი მაიკლ ვოგელი ამტკიცებს, რომ სასამართლოში გამოძახების საკითხის შესწავლის ეტაპზე დამატებითი სტანდარტები ზედმეტ სირთულეს უქმნის მომჩივანს, რადგან სამოქალაქო პროცესის მოქმედი ფედერალური წესები საკმარისი დაცვით უზრუნველყოფენ ანონიმ ავტორებს<sup>209</sup>. პროფესორი ვოგელი აღნიშნავს, რომ მოსარჩელე, რომელიც ანონიმი ავტორის მოძებნაშია დაინტერესებული, სავარაუდოდ, თავის რესურსებს და ძალებს არ გაფლანგავს ისეთი სარჩელის გამო, რომლის წარმატების იმედი არ აქვს. საქმის აღძვრამ და წარმოებამ შეიძლება დიდი დრო და ძალისხმევა წაიღოს<sup>210</sup>. ამას გარდა, ნაკლებ სავა-

<sup>201</sup> იხ. VA. CODE ANN. § 8.01-407.1 (2012).

<sup>202</sup> იხ. Am. Online I, 52 Va. Cir. at 35.

<sup>203</sup> Id.

<sup>204</sup> Id.

<sup>205</sup> Id.

<sup>206</sup> იხ. Lyrisa B. Lidsky, Anonymity in Cyberspace: What Can We Learn from John Doe?, (ანონიმურობა კიბერსივრცეში: რა შეიძლება ჯონ დოს საქმემ გვასწავლოს?) 50 B.C. L. REV. 1373, 1390–91 (2009).

<sup>207</sup> იხ. Brenner, ზედა შენიშვნა 55, გვ 745–46; Martin, ზედა შენიშვნა 54, გვ. 1234.

<sup>208</sup> იხ. Constantine ზედა შენიშვნა, 182, გვ. 470 (მსჯელობა იმის შესახებ, რომ განსაჯაროების შესახებ ლიბერალური კანონი აუცილებელია კანონის აღსასრულებლად).

<sup>209</sup> იხ. Michael S. Vogel, Unmasking “John Doe” Defendants: The Case Against Excessive Hand-Wringing over Legal Standards (ჯონ დოს ბრალდებულების ვინაობის გამხელა...), 83 OR. L. REV. 795, 854–55 (2004).

<sup>210</sup> Id. გვ. 854.

რაუდოა, რომ მოსარჩელემ ყალბი სარჩელი შეიტანოს სასამართლოში, რადგან მასზე მე-11 წესის (სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესები) სანქციები გავრცელდება<sup>211</sup>. ამგვარად, როგორც ვოგელი ამტკიცებს, აუცილებელი არ არის ანონიმი ავტორების დამატებითი სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფა, სასამართლოში გამოძახების კეთილსინდისიერი სტანდარტი ადეკვატურად აბალანსებს ანონიმი ავტორის ინტერესს ანონიმური სიტყვის შესაძლო მსხვერპლის ინტერესთან<sup>212</sup>.

კეთილსინდისიერების ტესტის მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ ეს სტანდარტი ყველაზე ნაკლებ იცავს სიზუსტეს და მას იმ მიზეზით აკრიტიკებენ, რომ იოლად დასაკმაყოფილებელია და, შესაბამისად, საკმარისი არ არის ანონიმი ავტორების დასაცავად<sup>213</sup>. მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, კეთილსინდისიერების ტესტი არ ქმნის პრაქტიკულ ან სანდო სტანდარტს იმის დასადგენად, რომ მოსარჩელეს ნამდვილად აქვს ჩივილის მიზეზი, რაც, არსებითად, ბრალდებულს ანონიმურობის უფლებას ართმევს<sup>214</sup>. უფრო მეტიც, ისინი ფიქრობენ, რომ კეთილსინდისიერების ტესტი სასამართლოს ვერ უთითებს, თუ როგორ გამოიყენოს სტანდარტი ან რა მოცულობის ახსნა-განმარტება ან მტკიცებულებაა საჭირო სასამართლოს „დასაკმაყოფილებლად“, რომ მან ანონიმი კომენტატორის ვინაობის განსაჯარობაზე გადაწყვეტილება მიიღოს<sup>215</sup>.

## 2. დაბალანსების სტანდარტი

საქმეში *Columbia Insurance Co. v. Seescandy.com*<sup>216</sup> კალიფორნიის ჩრდილოეთ ოლქის სასამართლომ *prima facie* ტესტი შექმნა სასამართლო ბრძანებისთვის. ბრალდებულს, სავარაუდოდ, სავაჭრო ნიშნის უფლება ჰქონდა დარღვეული ფედერალური და კალიფორნიის კანონმდებლობის მიხედვით<sup>217</sup>. *Prima facie* სტანდარტის მიხედვით, სასამართლომ შუამდგომლობა ბრალდებულის ვინაობის დადგენის მიზნით სასამართლოში გამოძახების თაობაზე უნდა დააკმაყოფილოს იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია შემდეგი პირობები: თუ მოსარჩელე

<sup>211</sup> *ib. id.* გვ. 855; აგრეთვე: FED. R. CIV. P. 11(c); 5A CHARLES ALAN WRIGHT & ARTHUR R. MILLER, FEDERAL PRACTICE AND PROCEDURE § 1336 (3d ed. 2004). სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების მე-11 წესი მოითხოვს, რომ იურისტმა დაადასტუროს, რომ ნებისმიერი სახის სამართლებრივი დავა (საჩივარი, დაცვა), რასაც ეწევიან წერილობით თუ ზეპირად, უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობით ან დასაბუთებული მიზეზით იმისთვის, რომ კანონმდებლობა გაფართოვდეს. *ib. id.* FED. R. CIV. P. 11(b)(2); აგრეთვე: 5A WRIGHT & MILLER, *supra*, § 1334.

<sup>212</sup> *ib. id.* Vogel, ზედა შენიშვნა 208, გვ. 855.

<sup>213</sup> *ib. id.* Calvert et al., ზედა შენიშვნა 148, გვ. 41; Martin, ზედა შენიშვნა 54, გვ. 1228.

<sup>214</sup> *ib. id.* მაგ.: *Solers, Inc. v. Doe*, 977 A.2d 941, 952 (D.C. 2009) (“კეთილსინდისიერების ტესტი... ბრალდებულს გაუმართლებლად აცლის ანონიმურობას ისეთ სიტუაციებში, რომელშიც არ არსებობს სამართალდარღვევის არსებითი მტკიცებულება, რითაც რეალურად, პირველი დამატებით უზრუნველყოფილ დაცვას სუსტად ან საერთოდ არ ანიჭებს ანონიმურობას); Calvert et al., ზედა შენიშვნა 148, გვ. 41.

<sup>215</sup> *ib. id.* მაგ.: *Moore*, ზედა შენიშვნა 184, გვ. 474 (გაანალიზებულია, რომ „დაკმაყოფილებულია ახსნა-განმარტებით“, სავარაუდოდ, არ შეიცავდა მოსარჩელის პრეტენზიების არსებით განხილვას).

<sup>216</sup> 185 F.R.D. 573 (N.D. Cal. 1999).

<sup>217</sup> *Id.* at 576; see also *Sony Music Entm't, Inc. v. Does 1–40*, 326 F. Supp. 2d 556, 564 (S.D.N.Y. 2004) (გამოყენებულ იქნა ბალანსირების ტესტი საქმეში, სადაც, სავარაუდოდ, საავტორო უფლებები დაირღვა ფაილების გაზიარების უკანონო პროგრამის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ „ფაილების გაზიარება არ ეხება ნამდვილ გამოხატვას“, მას მაინც აქვს უფლება პირველი დამატებით უზრუნველყოფილ დაცვაზე“).

საკმარისი სიზუსტით ახდენს პირის იდენტიფიცირებას<sup>218</sup>, თუ მას კეთილსინდისიერად აქვს დადგენილი პირის ადგილმდებარეობა და ასრულებს პროცესუალურ მოთხოვნებს<sup>219</sup>, თუ მის საქმეს შეუძლია დაძლიოს შუამდგომლობა სარჩელის აცილებაზე<sup>220</sup>, და თუ შეტანილი აქვს თხოვნა ავტორის გამოვლენის შესახებ, რომელშიც განმარტებული იქნება, თუ რატომ ეძიებს ინფორმაციას და იდენტიფიცირებული იქნებიან ის პირები, რომლებსაც უნდა გადაეცეთ სასამართლო უწყებები<sup>221</sup>. ამ ტესტსა და კეთილსინდისიერების სტანდარტს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ “Seescandy“-ის საქმეში გამოყენებული ტესტი მოსარჩელისგან მოითხოვს, გააფრთხილოს მეორე მხარე და დაძლიოს შუამდგომლობა საქმის აცილების შესახებ, რასაც კეთილსინდისიერების ტესტი არ ითხოვს<sup>222</sup>.

*Seescandy*-ის საქმეში კალიფორნიის ჩრდილოეთ ოლქის სასამართლომ აღიარა, რომ დაშავებული მხარის სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფის საჭიროება დაბალანსებულ უნდა იქნეს ინტერნეტში ანონიმურად ლაპარაკის უფლებასთან<sup>223</sup>. სასამართლომ აღიარა აგრეთვე, რომ, თუკი გამოაშკარავებასთან დაკავშირებული სასამართლო ბრძანებების სტანდარტი ზედმეტად დაბალი იქნება, ადამიანებს საშუალება მიეცემათ, ანონიმის გამოვლენის პროცესი იმათ შესავიწროებლად ან დასაშინებლად გამოიყენონ, ვისაც სამართალდარღვევა არ ჩაუდენია<sup>224</sup>. როცა მოსარჩელისგან იმის დასაბუთებას ითხოვდა, რომ მისი სარჩელი აცილების შუამდგომლობას დაძლევა, სასამართლო ფიქრობდა, რომ ის ანონიმის გამოვლენის პროცესის გამოყენებას მინიმუმამდე დაიყვანდა ან აღკვეთდა<sup>225</sup>.

*Seescandy*-ის გადაწყვეტილების შესწავლის შემდეგ, ნიუ-ჯერსის უმაღლესი სასამართლოს სააპელაციო პალატამ *prima facie* ტესტის უფრო მომთხოვნი ვარიანტი შეიმუშავა საქმეში *Dendrite International, Inc. v. Doe*<sup>226</sup>. საქმე ეხებოდა ანონიმი ავტორების მიერ Yahoo-ს შეტყობინებათა დაფაზე, სავარაუდოდ, ცილისმწამებლური პოსტების განთავსებას ერთ-ერთ კორპორაციაზე<sup>227</sup>. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ის დააკმაყოფილებდა მოსარჩელის თხოვნას სასამართლო ბრძანების გაცემის თაობაზე, თუ: 1) მოსარჩელეს გაფრთხილებული ეყოლებოდა ანონიმი ავტორები, რომ ისინი შეიძლებოდა სასამართლოში ყოფილიყვნენ გამოძახებული ან რომ ისინი გამოვლენას ექვემდებარებოდნენ; 2) მოსარჩელეს იდენტიფიცირებული ექნებოდა გასაჩივრებადი განცხადებები; 3) სასამართლო გადაწყვეტდა, რომ მოსარჩელეს *prima facie* სარჩელი ჰქონდა „ჯონ დოუს“ ბრალდებულის წინააღმდეგ, რომელიც გამაგრებული იქნებოდა დამამტკიცებელი მასალებით და 4) სასამართლო შეაჯერებდა ბრალდებუ-

<sup>218</sup> Columbia Ins. Co., 185 F.R.D. გვ. 578.

<sup>219</sup> Id. გვ. 579.

<sup>220</sup> Id. გვ. 579–80.

<sup>221</sup> Id. გვ. 580.

<sup>222</sup> შეადარეთ: In re Subpoena Duces Tecum to Am. Online-თან, Inc., 52 Va. Cir. 26 (Cir. Ct. 2000).

<sup>223</sup> Columbia Ins. Co., 185 F.R.D. გვ. 578.

<sup>224</sup> Id.

<sup>225</sup> Id. გვ. 578–79.

<sup>226</sup> 775 A.2d 756 (N.J. Super. Ct. App. Div. 2001).

<sup>227</sup> Id. გვ. 763.

ლის პირველი დამატებით უზრუნველყოფილ ანონიმური სიტყვის უფლებას განსაჯაროების საჭიროებასთან მომჩივნის საქმის გასაგრძელებლად<sup>228</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტესტი, რომელიც სასამართლომ *Dendrite*-ს და *Seescandy*-ის საქმეებში გამოიყენა, მოსარჩელისგან მოითხოვს, რომ მან: ა) ბრალდებულის იდენტიფიცირება მოახდინოს, ბ) გააფრთხილოს ბრალდებული მოსალოდნელი სასამართლო საქმის შესახებ და გ) დაამტკიცოს, რომ უტყუარი მტკიცებულებები აქვს (*prima facie case*), *Dendrite*-ს საქმეში სასამართლომ აცილების სტანდარტი უფრო მოქნილად განმარტა, ვიდრე ოლქის სასამართლომ *Seescandy*-ში<sup>229</sup>. *Dendrite*-ს საქმეში სასამართლომ მიანიშნა, რომ მისი რწმენით, პირველი დამატების ინტერესები *Seescandy*-ის საქმეში ნაკლებად სერიოზული იყო, ვიდრე *Dendrite*-ს საქმეში, რადგან *Seescandy* სავაჭრო ნიშნების დარღვევას ეხებოდა, მაშინ როცა *Dendrite*-ში ბრალდება იყო სახეზე ცილისწამების შესახებ, აქედან გამომდინარე, *Dendrite*-ში სასამართლომ ისეთი ტესტი მიიღო, რომელიც უფრო მკაცრად განიხილავდა პირველი დამატების ინტერესებს<sup>230</sup>. *Dendrite*-ს საქმეში გამოყენებული ტესტის მიხედვით, *Seescandy*-ის საქმის ტესტის ერთ-ერთი ასპექტი, კერძოდ, აცილების შუამდგომლობა, შეფასდა როგორც „მოქნილი, არატექნიკური, ფაქტებისადმი მგრძობიარე მექანიზმი“, რომელიც უზრუნველყოფდა, რომ მოსარჩელეს სასამართლო სისტემა ბოროტად არ გამოეყენებინა ონლაინ მოსაუბრეების შესავიწროებლად ან მათი სიტყვის თავისუფლების დასათრგუნად<sup>231</sup>. ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლე სათანადოდ მოიქცა, როცა მოსარჩელეს უტყუარი მტკიცებულებები მოსთხოვა იმის გადასაწყვეტად, შეეწყვიტა თუ არა საქმე<sup>232</sup>.

*Dendrite*-ს საქმეში გამოყენებული ბალანსირების მიდგომის მომხრეები ფიქრობენ, რომ ეს მიდგომა კატეგორიულად არ განსაზღვრავს ანონიმური სიტყვის ზედმეტად ფართო თავისუფლებას და რომ ამ მიდგომით იქმნება სტანდარტი, რომელსაც მოსარჩელე, სავარაუდოდ, დააკმაყოფილებს, როგორც ეს ჩანს იმ საქმეებში, რომლებშიც სასამართლოებმა ანონიმი ავტორების გამოვლენის მოთხოვნა დაუკმაყოფილეს მოსარჩელეებს<sup>233</sup>. ისინი ფიქრობენ აგრეთვე, რომ *Dendrite*-ს ტესტის სხვადასხვა ასპექტები ადეკვატურად შეისწავლის ორივე მხარის ინტერესებს სარჩელის საფუძვლიანობის შესწავლით, რაც ხელს უწყობს ბრალდებულის ანონიმურობის დაცვას საფუძვლიანი გამართლების არარსებობის შემთხვევაში<sup>234</sup>.

პროფესორი ვოგელი აკრიტიკებს *Dendrite*-ს დაბალანსების ტესტს, რადგან ის პირველი ინსტანციის მოსამართლეს ზედმეტად ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს,

<sup>228</sup> Id. გვ. 760–61; იხ. აგრეთვე Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ. 478–80.

<sup>229</sup> Cf. *Dendrite*, 775 A.2d at 771.

<sup>230</sup> Id. გვ. 767.

<sup>231</sup> Id. გვ. 771.

<sup>232</sup> Id. გვ. 760.

<sup>233</sup> იხ. მაგ., Lidsky & Cotter, ზედა შენიშვნა 149, გვ. 1601–02 (ტესტი მოიცავს თანაზომიერების შემოწმებას იმ მიზნით, რომ გადაწყდეს დაკმაყოფილდეს თუ არა თხოვნა სასამართლოში გამოძახების თაობაზე); Mazzotta, ზედა შენიშვნა 195, გვ. 862–63; Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ. 483.

<sup>234</sup> Mazzotta, ზედა შენიშვნა 195, გვ. 862–63 (მსჯელობა საკითხზე, თუ როგორ აძლევს მოსამართლეს უდიდეს დისკრეციას თანაზომიერების ტესტი საქმის კონკრეტული ფაქტების შესასწავლად); Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ. 484.



რადგან ტესტი მოსამართლისგან ითხოვს პოტენციური სარჩელის არსებითი გარემოებების შესწავლას<sup>235</sup>. უფრო მეტიც, ვოგელი ამტკიცებს, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლის განჩინება განიხილება დისკრეციის სტანდარტის დარღვევის ფონზე, რაც ართულებს სააპელაციო სასამართლოსთვის ქვედა დონის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას<sup>236</sup>. დისკრეციულ უფლებამოსილებას არსებითად შეუძლია მომჩივანს ზიანის ანაზღაურების უფლება ჩამოართვას, რადგან საქმის განხილვა ვერ გაგრძელდება ბრალდებულის ვინაობის დადგენის გარეშე<sup>237</sup>.

### 3. სტანდარტი გამარტივებული/დაჩქარებული წესით მიღებული გადაწყვეტილებისთვის (summary judgment)

საქმეში Doe v. Cahill<sup>238</sup> დელავერის შტატის უზენაესმა სასამართლომ შექმნა გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი იმის შესაფასებლად, უნდა მოხდეს თუ არა ონლაინ ანონიმი ავტორის ვინაობის იდენტიფიცირება<sup>239</sup>. Cahill-ის საქმეში მიღებული სტანდარტი მოსარჩელისგან ითხოვს: „სარჩელი ცილისწამებაზე იმდენად იყოს გამაგრებული ფაქტებით, რომ შუამდგომლობა გამარტივებული წესით გადაწყვეტილების მიღებაზე არ დაკმაყოფილდეს“<sup>240</sup>; მოსარჩელეს გაფრთხილებული ჰყავდეს ბრალდებული და „სასამართლოს წარუდგინოს საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ ბრალდების წაყენება შეიძლებოდეს სადავო სარჩელის ყოველი არსებითი ელემენტისთვის“<sup>241</sup>. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ვალდებული არ არის წარადგინოს ისეთი მტკიცებულებები, რომელთა მოპოვება მხოლოდ ავტორის ვინაობის ცოდნის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი<sup>242</sup>. მაგალითად, საჯარო მოხელის ცილისწამების შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია, „დაამტკიცოს, რომ: 1. ბრალდებულმა ცილისმწამებლური განცხადება გააკეთა; 2. მოსარჩელესთან დაკავშირებით; 3. განცხადება გამოქვეყნდა;... 4. მესამე მხარე ამ კომუნიკაციას/კომენტარს ცილისმწამებლურად მიიჩნევდა... და რომ 5. განცხადება ყალბია“<sup>243</sup>. სასამართლოს ტესტის მიხედვით, მოსარჩელე არ არის ვალდებული დაამტკიცოს, რომ განცხადება ბოროტი განზრახვით იყო გაკეთებული<sup>244</sup>. სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს სასამართლოში გამოძახების თხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ ნებისმიერი მკითხველი იმ

<sup>235</sup> Vogel, ზედა შენიშვნა 208, გვ. 809.

<sup>236</sup> Id.

<sup>237</sup> Id. გვ. 809-10.

<sup>238</sup> 884 A.2d 451 (Del. 2005).

<sup>239</sup> Id. გვ. 457.

<sup>240</sup> Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ. 477.

<sup>241</sup> Cahill, 884 A.2d at 463 (ციტირება საქმიდან: In re Asbestos Litig., 799 A.2d 1151, 1152 (Del.2002)).

<sup>242</sup> Id. გვ. 463.

<sup>243</sup> Id.

<sup>244</sup> Id. გვ. 464.

კომენტარს, უბრალოდ, მოსაზრებად მიიჩნევა და, სავარაუდოდ, არც დაიჯერებდა მის სიმართლეს<sup>245</sup>.

Cahill-ის საქმეში სარჩელი ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის საფუძვლით საჯარო მოხელემ შეიტანა იმ მიზნით, რომ დელავერის შტატის ახალი ამბების ბლოგის ანონიმი ავტორის ვინაობა დაედგინა<sup>246</sup>. პირველ ინსტანციაზე დელავერის შტატის უმაღლეს სასამართლოს გამოყენებული ჰქონდა America Online-ს საქმეში მიღებული კეთილსინდისიერების სტანდარტი<sup>247</sup>. თუმცა დელავერის უზენაესმა სასამართლომ უარყო ეს მიდგომა, როგორც არასაკმარისი იმისთვის, რომ ანონიმი ავტორების სიტყვის თავისუფლება დაცულიყო<sup>248</sup>. სასამართლომ იმსჯელა სიტყვის თავისებურებებზე ინტერნეტში<sup>249</sup> და ის „თანამედროვე პოლიტიკურ პუბლიცისტობას“ შეადარა<sup>250</sup>. ამგვარად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილების მის სტანდარტს სათანადო წონასწორობა უნდა დაემყარებინა ანონიმური სიტყვის თავისუფლებასა და ცილისწამებისგან დაცვის უფლებებს შორის<sup>251</sup>. სასამართლომ დაადგინა, რომ გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი უკეთ დაამყარებდა ამ წონასწორობას<sup>252</sup>.

სასამართლომ კეთილსინდისიერების სტანდარტზე იმ მიზეზით თქვა უარი, რომ ვარაუდობდა, მოსარჩელები იოლად შეძლებდნენ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რასაც შესაძლოა ბრალდებულების შევიწროება და ონლაინ სიტყვის დათრგუნვა მოჰყოლოდა შედეგად<sup>253</sup>. სასამართლომ აცილების შუამდგომლობის სტანდარტზე იმიტომ თქვა უარი, რომ ბარიერი სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესებით (12 „ბ“ (6))<sup>254</sup> გათვალისწინებული შუამდგომლობისთვის, უბრალოდ, შუამდგომლობის სტანდარტია, რომელიც მოსარჩელეს ავალდებულებს, დაპირისპირებული მხარე გააფრთხილოს საქმის შესახებ და, შესაბამისად, ამ საქმეში არასაკმარისიც იყო იმისთვის, რომ ანონიმი ონლაინ მოსაუბრეების სიტყვის თავისუფლება დაცვა<sup>255</sup>. მართლია, სასამართლო დაეთანხმა *Dendrite*-ში მიღებულ სტანდარტს სასამართლოში გამოცხადებაზე დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მან აღნიშნა, რომ ხსე-

<sup>245</sup> Id. გვ. 465 („გონიერი მკითხველი, რომელიც ას და ათასობით კომენტარს წაიკითხავდა კომპანიაზე, იფიქრებდა, რომ [ბრალდებული] მხოლოდ თავის მოსაზრებებს ათავსებდა ინტერნეტში...“) (ციტირებულია *Global Telemedia Int'l, Inc. v. Doe 1*, 132 F. Supp. 2d 1261, 1268 (C.D. Cal. 2001)).

<sup>246</sup> Id. გვ. 454. კომენტარებში გაკრიტიკებულია კაპილის, როგორც ქალაქის საბჭოს წევრის საქმიანობა და აღნიშნულია, რომ „ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც კაპილთან რაღაც დრო მაინც გაუტარებია, იცის მისი ხასიათის უარყოფითი თვისებები, თავი რომ დავანებოთ აშკარა გონებრივ დაქვეითებას“. Id. მეორე შეტყობინებაში ნათქვამია, რომ „კაპილი [sic], როგორც ყველა ფიქრობს ამ ქალაქში, პარანოიდა.“ Id.

<sup>247</sup> საქმე: *Cahill v. Doe*, 879 A.2d 943 (Del. Super. Ct. 2005), rev'd, 884 A.2d 451 (Del. 2005).

<sup>248</sup> *Cahill*, 884 A.2d გვ. 454.

<sup>249</sup> კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ ონლაინ სიტყვა „ნაკლებად იერარქიული და დისკრიმინაციულია, ვიდრე რეალურ სამყაროში, რადგან ის ნიღბავს სტატუსის ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა, რასა, კლასი და ასაკი“ Id. გვ. 456 (შიდა ბრჭყალები გამოტოვებულია).

<sup>250</sup> Id. გვ. 456.

<sup>251</sup> Id.

<sup>252</sup> Id. გვ. 457.

<sup>253</sup> Id. 457–58.

<sup>254</sup> FED. R. CIV. P. 12(b)(6). ბრალდებული აყენებს ამ წესით გათვალისწინებულ შუამდგომლობას მაშინ, როცა ის ფიქრობს, რომ მოსარჩელე „საჩივარში ვერ აცხადებს იმ პრეტენზიის თაობაზე, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია“. იხ. აგრეთვე: *5B WRIGHT & MILLER*, ზედა შენიშვნა 210, § 1355.

<sup>255</sup> *Cahill*, 884 A.2d, 458–59. Id.

ნებული სტანდარტი ზედმეტად ჩახლართული და რთული იყო<sup>256</sup>. საბოლოოდ, სასამართლომ გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი მიიღო და აღნიშნა, რომ ის სათანადოდ აწონასწორებდა ანონიმი ონლაინ ავტორებისა და ანონიმი სიტყვით დაზარალებულთა ინტერესებს<sup>257</sup>.

კაპილის სტანდარტის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ დაბალანსების ტესტები ძალზე მნიშვნელოვანია სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის გადაჭრისთვის და რომ გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი მთლიანად არ ითვალისწინებს სიტყვის თავისუფლების შესაძლო სირთულეებს<sup>258</sup>. ისინი ამბობენ, მოსარჩელემ შეიძლება დააკმაყოფილოს გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი, მაგრამ „ზიანი, რომელიც უცნობი ავტორის ვინაობის გამჟღავნებისას დგება, შეიძლება საკმაოდ აღემატებოდეს ცილისწამებით გამოწვეულ ზარალს“<sup>259</sup>.

Cahill-ის საქმეში დადგენილი გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტიც გააკრიტიკეს ოპონენტებმა სამართლებრივი განუსაზღვრელობის გამო<sup>260</sup>. ზოგი სასამართლო ამ საქმეში მიღებულ სტანდარტს *Dendrite*-ს სტანდარტზე ნაკლებ მომთხოვნს უწოდებს, ხოლო ზოგი კი, უფრო მომთხოვნს<sup>261</sup>. უფრო მეტიც, ამ სტანდარტისთვის პროცედურული სტატუსის მინიჭებით, სასამართლომ დაბნეულობა გამოიწვია, რადგან ეს სტანდარტი რეალურად არ შეესაბამება გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების მკაცრ პროცედურულ განსაზღვრებას<sup>262</sup>.

პროფესორი მალოუ, კაპილის სტანდარტს იმის გამო აკრიტიკებს, რომ ის არ ითვალისწინებს ონლაინ სიტყვის არსებით მახასიათებლებს<sup>263</sup>. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები დღემდე ისევე ეპყრობიან ონლაინ სიტყვას, როგორც სიტყვის სხვა, ტრადიციულ ფორმებს, მალოუ ამბობს, რომ ონლაინ სიტყვა შინაგანი არსით მაინც განსხვავდება, რადგან ეს უკანასკნელი უფრო ფართოდ გავრცელებადი, მუდმივი და ხელმისაწვდომია<sup>264</sup>. მაგალითად, ცილისწამების დროს ბრალდებული ფაქტზე ყალბ განცხადებას უნდა აკეთებდეს და მკითხ-

<sup>256</sup> Id. გვ. 461.

<sup>257</sup> Id.

<sup>258</sup> იხ. მაგ.: *Mobilisa, Inc. v. Doe*, 170 P.3d 712, 720 (Ariz. 2007) (“სასამართლოს მიერ დაპირისპირებულ ინტერესებს შორის წონასწორობის დამყარება აუცილებელია შესაფერისი გადაწყვეტილების მისაღებად ანონიმურ სიტყვასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ძალზე განსხვავებულ საქმეებში”); *Ashley I. Kissinger & Katherine Larsen, Untangling the Legal Labyrinth: Protections for Anonymous Online Speech* (სამართლებრივი ლაბირინთიდან გამოღწევა: ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლების დაცვა), 13 NO. 9 J. INTERNET L. 1, 19 (2010).

<sup>259</sup> იხ. *Jonathan D. Jones, Note, Cybersmears and John Doe: How Far Should First Amendment Protections of Anonymous Internet Speakers Extend?* (კიბერშეურაცხყოფა და ჯონ დოუ: რამდენად უნდა გაფართოვდეს ინტერნეტში ანონიმურად მოსაუბრეთა პირველი დამატებით გათვალისწინებული დაცვის ფარგლები?), 7 FIRST AMEND. L. REV. 421, 439 (2009).

<sup>260</sup> *Kissinger & Larsen*, ზედა შენიშვნა, 257, გვ. 18.

<sup>261</sup> შეადარეთ: *Krinsky v. Doe*, 72 Cal. Rptr. 3d 231, 242–43 (Ct. App. 2008) (მიიღო კაპილის სტანდარტი, რადგან *Dendrite* -ს სტანდარტი „ზედმეტად ბევრს მოითხოვდა“, ხოლო საქმის აცილების მოთხოვნის სტანდარტი ძალზე დაბალი იყო) და *Indep. Newspapers, Inc. v. Brodie*, 966 A.2d 432, 456–57 (Md. 2009) (სადაც სასამართლომ *Dendrite*-ს სტანდარტი მიიღო, რადგან გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი ზედმეტად მაღალ ბარიერს დააწესებდა და „ძირს გამოუთხრიდა პირად ანგარიშგაღებულულებას და სიმართლის ძიებას“).

<sup>262</sup> *Kissinger & Larsen*, ზედა შენიშვნა, 257, გვ. 18–19.

<sup>263</sup> *Malloy*, ზედა შენიშვნა, 66, გვ. 1190.

<sup>264</sup> Id. გვ. 1192; იხ. აგრეთვე: *Solove*, ზედა შენიშვნა, 141, გვ. 1197.

ველს ეს განცხადება ფაქტი უნდა ეგონოს<sup>265</sup>. როგორც მალაოუ ამტკიცებს კაპილის საქმეში მიღებული დასკვნით, რომ მკითხველი, სავარაუდოდ, ბლოგზე განთავსებულ განცხადებებს ისე გაიგებს როგორც აზრს და არა ფაქტებით გამაგრებულ მტკიცებას, სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ აზრმაც შეიძლება დააზიანოს მოსარჩელის რეპუტაცია და მის ჯანმრთელობასაც მავნე შედეგები მოუტანოს<sup>266</sup>. ამ მსჯელობას თუ გავყვებით, კაპილის სტანდარტი – რომელიც ზოგადი ცილისწამების სტანდარტს იყენებს, არ შეეფერება ონლაინ სიტყვას, რადგან მოსარჩელებსთვის თითქმის შეუძლებელია ანაზღაურების მიღება ანონიმი კომენტატორებისგან<sup>267</sup>.

#### 4. 2TheMart-ის ტესტი

სასამართლოებმა აღიარეს, რომ იმ შემთხვევისთვის, როცა ანონიმი კომენტატორი მოწმედ იძებნება და არა ბრალდებულად, განსხვავებული სტანდარტი უნდა იქნეს გამოყენებული, თუმცა აღნიშნულ სტანდარტებს შორის განსხვავება ჯერ კიდევ არ არის ნათლად დადგენილი<sup>268</sup>. საქმეში Doe v. 2TheMart.com, Inc ვაშინგტონის შტატის დასავლეთ ოლქის სასამართლომ ტესტი შეიმუშავა პოტენციური მოწმეების ვინაობის იდენტიფიცირებისთვის<sup>269</sup>. ამ ტესტის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია: ცხადად წარმოაჩინოს, რომ: 1. შუამდგომლობა კეთილსინდისიერად იქნა დაყენებული; 2. მოსაძიებელი ინფორმაცია რელევანტურია სარჩელისა თუ დაცვისთვის; 3. ეს ინფორმაცია პირდაპირ და არსებითად/მატერიალურად რელევანტურია კონკრეტული სარჩელისა თუ დაცვისთვის და 4. ამ ინფორმაციის მოძიება სხვა წყაროებიდან შეუძლებელია<sup>270</sup>. იმდენად, რამდენადაც ეს სტანდარტი მხოლოდ მოწმეების ვინაობის განსასაჯაროებლად გამოიყენება, მას ჯერჯერობით არ მიუქცევია სასამართლოების და მეცნიერების ყურადღება<sup>271</sup>.

<sup>265</sup> ზედა შენიშვნა, ნაწილი პირველი, „ბ“ (1).

<sup>266</sup> Malloy, ზედა შენიშვნა, 66, გვ. 1190–91.

<sup>267</sup> Id. 1191–92.

<sup>268</sup> იხ. საქმე: Doe v. 2TheMart.com, Inc., 140 F. Supp. 2d 1088, 1095 (W.D. Wash. 2001) (“იმ მოწმის ვინაობის გამჟღავნების სტანდარტი, რომელიც მხარეს არ წარმოადგენს, უფრო მაღალი უნდა იყოს ვიდრე Seescandy.Com and America Online, Inc -ის საქმეშია ფორმულირებული); იხ. აგრეთვე: Sedersten v. Taylor, No. 09-3031-CV-S-GAF, 2009 WL 4802567, at \*2 (W.D. Mo. Dec. 9, 2009); Enterline v. Pocono Med. Ctr., 751 F. Supp. 2d 782, 787 (M.D. Pa. 2008).

<sup>269</sup> 2TheMart.com, 140 F. Supp. 2d; 1095.

<sup>270</sup> Id.

<sup>271</sup> იხ. Enterline, 751 F. Supp. 2d; 787 (გამოყენებულ იქნა 2TheMart-ის ტესტი, რადგან მოსარჩელე იყო მისი მომხრე); Sedersten, 2009 WL 4802567, \*2 (ეს ტესტი კამათის გარეშე გამოყენებული); იხ. აგრეთვე Kissinger & Larsen, ზედა შენიშვნა 257, გვ. 21.

## B. ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საკანონმდებლო ინიციატივები

ანონიმურმა ონლაინ სიტყვამ დიდი ყურადღება მიიპყრო მედიაში<sup>272</sup>, რამაც შტატების საკანონმდებლო ორგანოებს ანონიმური კომენტარების აკრძალვისა და შეზღუდვის კანონმდებლობის მიღებისკენ უბიძგა<sup>273</sup>. ვირჯინიაში ( ეს ერთადერთი შტატია, სადაც ანონიმი კომენტატორის ვინაობის განსაჯაროების სტანდარტთან დაკავშირებული კანონი მოქმედებს), მიიღეს კეთილსინდისიერების ტესტი<sup>274</sup>. მაგრამ ნაშრომის ამ მონაკვეთში კონცენტრირებას გავაკეთებთ ჯორჯიის, კალიფორნიის, ნიუ-ჯერსისა და ნიუ-იორკის საკანონმდებლო ორგანოების ინიციატივაზე, რომლებიც მიზნად ისახავენ ანონიმური სიტყვის თავისუფლების აკრძალვას ან შეზღუდვას.

პირველად ჯორჯიაში სცადეს ისეთი კანონის მიღება, რომელიც ზღუდავდა ყალბი ვინაობის გამოყენებას ონლაინ რეჟიმში. 1996 წელს შტატის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი #1029, რომელიც უკანონო ქმედებად აცხადებდა „წინასწარი შეცნობით... ნებისმიერი სახის ინფორმაციის გავრცელებას კომპიუტერული ქსელის მეშვეობით... რომელშიც ადამიანის სახელი, ბიზნესის სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი, ლოგო, კანონიერი ან ოფიციალური ბეჭედი ან საავტორო უფლებებით დაცული სიმბოლო გამოყენებული იქნებოდა იმ მიზნით, რომ ინფორმაციის გამგზავნი უფლებამოსილ პირთან გაიგივებულიყო“<sup>275</sup>. ჯგუფმა American Civil Liberties Union (ACLU) გაასაჩივრა კანონი, როგორც არაკონსტიტუციური, პირველი დამატების მიხედვით, რადგან ის ქმნიდა შინაარსზე დაფუძნებულ დაუშვებელ შეზღუდვას და ზღუდავდა ადამიანის ანონიმურად საუბრის უფლებას<sup>276</sup>. ოლქის სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ჯგუფი ალბათ მოიგებდა სარჩელს და გასცა სასამართლო ბრძანება, რომლითაც შეაჩერა კანონის ამოქმედება<sup>277</sup>. მართალია, ჯორჯიის შტატის სასამართლოებს ამ კანონის კონსტიტუციურობის საკითხი არ განუხილავთ, მაგრამ ჯერჯერობით არც კანონი გამოყენებით ანონიმური ონლაინ სიტყვის შესაზღუდად ან დასარეგულირებლად<sup>278</sup>.

<sup>272</sup> იხ. მაგ.: Sara Gates, Anonymous Comment Ban: Internet Protection Act Threatens Online Anonymity for New York-Based Websites (ანონიმური კომენტარების აკრძალვა...), HUFFINGTON POST (May 24, 2012, 7:17 PM), [http://www.huffingtonpost.com/2012/05/24/anonymous-comment-ban-legislation-newyork\\_n\\_1543033.html](http://www.huffingtonpost.com/2012/05/24/anonymous-comment-ban-legislation-newyork_n_1543033.html); იხ. აგრეთვე: Chris Hannay, Tory MP Says Government Should Do Something About Anonymous Online Comments, GLOBE & MAIL (Oct. 26, 2012, 1:44 PM), <http://www.theglobeandmail.com/news/politics/ottawa-notebook/tory-mp-says-government-should-dosomething-about-anonymous-online-comments/article4683094/>.

<sup>273</sup> იხ. მაგ.: A.B. 1143, 2003 Leg., Reg. Sess. (Cal. 2003); A.B. 1327, 212th Leg., 1st Sess. (N.J. 2006); A.B. 8688, 2012 Leg., 235th Sess. (N.Y. 2012).

<sup>274</sup> იხ. VA. CODE ANN. § 8.01-407.1 (2012); იხ. აგრეთვე, ზედა შენიშვნა III.A.1. კალიფორნიაშიც განიხილეს კანონი, რომელიც ანონიმი ონლაინ კომენტატორის გამოვლენის მოთხოვნის სტანდარტს შექმნიდა (A.B. 1143), მაგრამ ის ქვედა პალატაში დამტკიცდა მხოლოდ. სენატს ჯერ არც განუხილავს. კანონის ისტორია მთლიანად იხ. ზედა შენიშვნა 12.

<sup>275</sup> იხ. GA. CODE ANN. § 16-9-93.1(a) (West 2012), გაუქმებულია გადაწყვეტილებით საქმეზე: White v. Baker, 696 F. Supp. 2d 1289 (N.D. Ga. 2010).

<sup>276</sup> ACLU of Ga. v. Miller, 977 F. Supp. 1228, 1230–31 (N.D. Ga. 1997).

<sup>277</sup> Id. at 1234–35 („სასამართლო ასკვნის, მოსარჩელები, სავარაუდოდ, წარმატებას მიაღწევენ, რომ კანონი ბათილად გამოცხადდეს იმ საფუძველზე, რომ ის ბუნდოვანი, ზედმეტად ფართო და ზუსტად მორგებული არ არის შტატის დაუშვებელ ინტერესზე).

<sup>278</sup> იხ. Donald J. Karl, Note, State Regulation of Anonymous Internet Use After ACLU of Georgia v. Miller, (ინტერნეტის ანონიმურად გამოყენება ACLU of Georgia v. Miller -ის საქმის განხილვის შემდგომ) 30 ARIZ. ST. L.J. 513 (1998).

ათი წლის წინ, ნიუ-ჯერსის საკანონმდებლო ორგანომ წარადგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვით, კომპიუტერული მომსახურების ოპერატორი ან ISP ვალდებული იქნებოდა, „შემუშავებინა და ემოქმედა ისეთი პროცედურებით, რომელთა საშუალებით ნებისმიერი პირი შეძლებდა ინფორმაციის შინაარსის მიმწოდებლის იურიდიული სახელისა და მისამართის მოთხოვნას და მიღებას, რომელიც ადამიანზე ყალბ და ცილისმწამებლურ ინფორმაციას ავრცელებდა საჯარო ფორუმის ვებგვერდზე“<sup>279</sup>. ყალბი ან ცილისმწამებლური წერილობითი ინფორმაციით დაზარებულ ნებისმიერ პირს შეეძლო იმ ISP წინააღმდეგ საქმის აღძვრა, რომელიც ამ წესებს არ დაემორჩილებოდა კომპენსაციის მოთხოვნით<sup>280</sup>. მაგრამ კანონი არ აზუსტებდა იმ გარემოებებს, რომელთა დადგომის შემთხვევაში ISP-თვის გონივრული იქნებოდა კომენტატორის ვინაობის გამხელა. ნიუ-ჯერსის კანონი 2007 წლის თებერვალში უკან გამოიხმეს და მას შემდეგ ახალი პროექტი ამ საკითხზე საკანონმდებლო ორგანოში არ შესულა<sup>281</sup>.

2012 წლის მარტში, ნიუ-იორკის შტატის საკანონმდებლო ორგანომ შემოიტანა პროექტი ინტერნეტ-დაცვის შესახებ<sup>282</sup>, რომელშიც იგივე მიდგომას ვხედავთ, როგორც ნიუ-ჯერსი მიუდგა ანონიმურად კომენტირების საკითხს. როგორც პროექტის ინიციატორები და მხარდამჭერები ამბობენ, პროექტი მიზნად ისახავს კიბერ-ხულიგნობის შემცირებას<sup>283</sup>. პროექტის თავდაპირველი და ამჟამინდელი ვერსია, რომელსაც სენატი განიხილავს, ითვალისწინებს:

„მოთხოვნის შემთხვევაში ვებგვერდის ადმინისტრატორი ხსნის თავისი გვერდიდან ანონიმი კომენტატორის ნებისმიერ შენიშვნას, თუკი ანონიმი ავტორი არ დათანხმდება სახელის მიწერაზე და არ დაასტურებს, რომ მისი IP მისამართი, იურიდიული სახელი და ბინის მისამართი სწორად არის მითითებული. ვებგვერდების ადმინისტრატორები ვალდებული არიან, იქონიონ საკონტაქტო ელფოსტის მისამართი ან ტელეფონი, სადაც გაიგზავნება მოთხოვნები შენიშვნების მოხსნაზე. საკონტაქტო ელფოსტის მისამართი ან ტელეფონი განთავსებული უნდა იყოს გამოსაჩენ ადგილზე, სადაც შენიშვნები იბეჭდება“<sup>284</sup>.

საზოგადოების კრიტიკულმა განწყობამ კანონის მიმართ<sup>285</sup>, საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატა აიძულა, შეეცვალა ის და შენიშვნის მოთხოვნის უფლება მხოლოდ შენიშვნის

<sup>279</sup> A.B. 1327, 212th Leg., 1st Sess. (N.J. 2006)

<sup>280</sup> Id.

<sup>281</sup> ინფორმაცია კანონპროექტზე: N.J. LEGISLATURE, [http://www.njleg.state.nj.us/Default .asp](http://www.njleg.state.nj.us/Default.asp), (last visited Apr. 19, 2013) („Bill Search“-ზე მოძებნეთ პროექტი: A1327 2006–2007; შემდეგ დააწკაპუნეთ ჰიპერლინკზე). A1327).

<sup>282</sup> S.B. 6779, 2011 Leg., 235th Sess. (N.Y. 2012) (განსახილველად შეტანილია 2012 წლის 21 მარტს).

<sup>283</sup> იხ. Chenda Ngak, New York Lawmakers Propose Ban on Anonymous Online Comments, (ნიუ-იორკის კანონმდებლები ანონიმური ონლაინ კომენტირების აკრძალვის ინიციატივით გამოდიან) CBS NEWS (May 24, 2012, 11:46 AM), [http://www.cbsnews.com/8301-501465\\_162-57440895-501465/new-york-lawmakers-propose-ban-on-anonymous-online-comments/](http://www.cbsnews.com/8301-501465_162-57440895-501465/new-york-lawmakers-propose-ban-on-anonymous-online-comments/) (ციტირებულია პროექტის მხარდამჭერების განცხადებები იმის თაობაზე, რომ პროექტის მიზანი კიბერხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლაა).

<sup>284</sup> S.B. 6779.

<sup>285</sup> იხ. მაგ.: Eugene Volokh, Nearly Half the New York Assembly Republicans: Require Deletion of Anonymous Comments Whenever Anyone Complains (ნიუ-იორკის ქვედა პალატის თითქმის ნახევარი ანონიმური შენიშვნების წაშლას ითხოვს, თუკი ვინმე პრეტენზიას გამოთქვამს) VOLOKH CONSPIRACY (May 3, 2012, 11:54 PM), <http://www.volokh.com/2012/05/03/nearly-half-they-new-york-assembly-republicans-require-deletion-of-anonymous-comments-whenEVERanyone-complains/> (ამტკიცებენ, რომ კანონი არაკონსტიტუციურია); იხ. აგრეთვე: Gates, ზედა შენიშვნა 271.

ადრესატებს დაუტოვა, ხოლო ვებგვერდების ადმინისტრატორებს მოსთხოვა, „კეთილსინდისიერი მცდელობით მოეხერხებინათ, რომ მსხვერპლთან დაკავშირებული შენიშვნა ყოფილიყო ფაქტობრივად დასაბუთებული და... არა ავტორის მოსაზრება“<sup>286</sup>.

ნიუ-იორკისა და ნიუ-ჯერსის კანონპროექტები გარკვეულწილად Digital Millennium Copyright Act (DMCA) აქტის ანალოგიურია<sup>287</sup>, რომლის „შეტყობინების გაგზავნისა და შენიშვნის მოხსნის“ მუხლები იცავენ ISP-ებს პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუკი საავტორო უფლების მქონე პირისგან გაფრთხილების მიღების შემდეგ იმის თაობაზე, რომ შენიშვნა ან მასალა არღვევს საავტორო უფლებებს<sup>288</sup>, ისინი მოხსნიან მასალას ვებგვერდიდან. მართალია, ამ შტატების ინიციატივები სხვადასხვაგვარად მოქმედებენ, ისინი მაინც აძლევენ სტიმულს ISP-ებს, რომ მათ მოხსნან გარკვეული მასალები ვებგვერდებიდან. ზოგიერთი მკვლევარი ISP-ზე უფრო მეტი პასუხისმგებლობის დაკისრების იდეას უჭერს მხარს და ფიქრობს, რომ ეს ერთ-ერთი გზაა ონლაინ ცილისწამების პრობლემის გადასაჭრელად<sup>289</sup>. ისინი ამტკიცებენ, რომ გაფრთხილების გაგზავნისა და შენიშვნის მოხსნის პროცედურები ყველაზე ეფექტური და რენტაბელური ინსტრუმენტებია ონლაინ ცილისმწამებლური სიტყვის დასარეგულირებლად<sup>290</sup>. თუმცა გაუგებარია, შესაძლებელია თუ არა ამ პროცედურებით ცილისმწამებლური სიტყვის ადეკვატურად შეზღუდვა და, ამავდროულად, ონლაინ მოსაზრებ/ავტორის ლეგიტიმური სიტყვის თავისუფლების დაცვა<sup>291</sup>.

სხვა შტატებში, უფრო ვიწრო კატეგორიის მოსაზრებების/ავტორების ანონიმურად საუბრის უფლებების შეზღუდვა სცადეს, კერძოდ, ანონიმურად საუბრის უფლება შეიზღუდა სექსუალური დანაშაულისთვის ბრალდებული პირებისთვის. 2012 წელს კალიფორნიაში მიიღეს „პროექტი #35“<sup>292</sup>, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად, მოითხოვს, რომ სექსუალურმა მოძალადეებმა (sex offenders) დაარეგისტრირონ მათ მიერ გამოყენებული ინტერნეტ ვებგვერდები და მომსახურების მიმწოდებლები<sup>293</sup> იუსტიციის სამინისტროს შესაბამის განყოფილებაში<sup>294</sup>. ეს კანონი ეფექტურად გააუქმებს ანონიმური სიტყვის თავისუფლებას სექსუალური მოძალადეებისთვის<sup>295</sup>. ACLU-მ და Electronic Frontier Foundation-მა „პროექტი #35“ მისი მიღებიდან მეორე დღეს<sup>296</sup> გაასაჩივრეს. კალიფორნიის ჩრდილოეთ ოლქის სასამართ-

<sup>286</sup> A.B. 8688, 2012 Leg., 235th Sess. (N.Y. 2012) (შესულია ცვლილებები 2012 წლის 23 ივლისს).

<sup>287</sup> Digital Millennium Copyright Act, Pub. L. No. 105-304, 112 Stat. 2860 (1998) (კოდიფიცირებულია 17 and 28 U.S.C.).

<sup>288</sup> See 17 U.S.C. § 512(c)(1) (2006).

<sup>289</sup> იხ. Ryan King, Online Defamation: Bringing the Communications Decency Act of 1996 in Line with Sound Public Policy (ონლაინ ცილისწამება...), 2003 DUKE L. & TECH. REV. 24, ¶ 11 (2003); იხ. Jason C. Miller, Who's Exposing John Doe? Distinguishing Between Public and Private Figure Plaintiffs in Subpoenas to ISPs in Anonymous Online Defamation Suits (საჯარო და კერძო პირების განსხვავება ონლაინ ცილისწამებასთან დაკავშირებულ სარჩელებში), 13 J. TECH. L. & POL'Y 229, 239 (2008).

<sup>290</sup> Miller, ზედა შენიშვნა 288, 239.

<sup>291</sup> იხ. ნაშრომის მეოთხე ნაწილი „ბ“.

<sup>292</sup> Californians Against Sexual Exploitation Act, 2012 Cal. Legis. Serv. Prop. 35, § 12 (West) კალიფორნიელები სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ (კოდიფიცირებული უნდა იქნეს CAL. PENAL CODE § 290.015(a)(4) (West 2013)).

<sup>293</sup> Id.

<sup>294</sup> Id.

<sup>295</sup> Cf. id. § 13 („ინტერნეტიდენტიფიკატორი“ განმარტებულია ფართოდ, რომ მოიცავს ყველა მოქმედი პირი თუ პერსონაჟი, რომლის შექმნაც ადამიანს შეუძლია).

<sup>296</sup> იხ. Complaint, Doe v. Harris, No. C12-5713 (N.D. Cal. filed Nov. 7, 2012), ვებგვერდზე: <https://www.eff.org/cases/doe-v-harris>.

ლომ მოსარჩელის შუამდგომლობა პროექტის აკრძალვაზე დააკმაყოფილა, მაგრამ ჯერ არ გადაუწყვეტია „პროექტი #35“-ის კონსტიტუციურობის საკითხი<sup>297</sup>. შტატმა მეცხრე საოლქო სააპელაციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა 2013 წლის 12 თებერვალს<sup>298</sup>. მეცხრე სააპელაციო სასამართლომ შეიძლება ჯორჯიაში განვითარებული მოვლენებით იხელმძღვანელოს. ჯორჯიის შტატმაც მიიღო კანონი, რომლითაც სექსუალურ მოძალადეებს ევალებოდათ თავიანთი ონლაინ ვინაობის დარეგისტრირება<sup>299</sup>. თუმცა ჯორჯიის ჩრდილოეთ ოლქის სასამართლომ კანონი არაკონსტიტუციურად ცნო იმ საფუძველზე, რომ ის ბუნდოვანი იყო და ზუსტად არ ერგებოდა შტატის ლეგიტიმურ ინტერესს<sup>300</sup>.

#### IV. სრულყოფილი სამართლებრივი სტანდარტის შექმნა

ანონიმი ავტორის იდენტიფიცირების სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი და ანონიმიური სიტყვის შემზღუდავი საკანონმდებლო ნორმები სხვადასხვა კუთხით უდგებიან ანონიმიური აზრის გამოხატვის საკითხს. სასამართლოს მიერ დადგენილის იდენტიფიცირების სტანდარტები საშუალებას აძლევს მოსამართლეებს, გააკეთონ კონკრეტული დასკვნები საქმის კონკრეტულ ფაქტებზე, თუმცა ამას სასამართლოს მიერ დღემდე გამოყენებულ მიდგომათა მრავალგვაროვნებასთან მივყავართ<sup>301</sup>. წინააღმდეგობრივი სტანდარტები გაუგებრობას ქმნიან ადამიანის სიტყვის უფლებებთან დაკავშირებით, რადგან ავტორის უფლებები მოქმედებითაც შეიძლება დაირღვეს და კანონითაც. სასამართლო სტანდარტისგან განსხვავებით, საკანონმდებლო სტანდარტებმა შეიძლება ერთგვაროვნება შექმნას, მაგრამ კანონმდებელს კატეგორიული შეზღუდვების დაწესება შეუძლია ზოგიერთი კატეგორიის სიტყვაზე, მაგალითად, ცილისწამებაზე და პროვოკაციულ სიტყვებზე<sup>302</sup>. თუ საკანონმდებლო ორგანოს შინაარსზე დაფუძნებული უფრო ფართო რეგულაციების შექმნა სურს, ეს რეგულაციები ვიწროდ უნდა იყოს მორგებული აუცილებელ სახელმწიფო ინტერესზე, კონსტიტუციურად რომ ჩაითვალოს<sup>303</sup>. ამ ნაშრომის მეოთხე ნაწილის „ა“ მონაკვეთში გაანალიზებულია ზემოთ ხსენებული სასამართლო სტანდარტები და გამოტანილია დასკვნა, რომ სახელმწიფომ

<sup>297</sup> იხ. Doe v. Harris, No. C12-5713 TEH, 2013 U.S. Dist. LEXIS 5428 (N.D. Cal. Jan. 11, 2013).

<sup>298</sup> იხ. Doe v. Harris, Electronic Frontier Found., ვებგვერდზე: <https://www.eff.org/cases/doe-v-harris> (უკანასკნელად ნანახია 2013 წლის 19 აპრილს); John Doe, et al. v. Kamala Harri, Justia Dockets and Filings, <http://dockets.justia.com/docket/circuit-courts/ca9/13-15267/> (უკანასკნელად ნანახია 2013 წლის 19 აპრილს); (მითითება Doe v. Harris-ის საქმეზე). Opening Brief of the Defendant-Appellant, Doe v. Harris, No. 15263 (9th Cir. Apr. 10, 2013), ვებგვერდზე: [https://www.eff.org/sites/default/files/filenode/states\\_opening\\_brief.pdf](https://www.eff.org/sites/default/files/filenode/states_opening_brief.pdf). ამ დროისთვის მათ არ დაუყენებიათ შუამდგომლობა.

<sup>299</sup> GA. CODE ANN. § 42-1-12(a)(16)(K) (West 2008), გაუქმებულია გადაწყვეტილებით საქმეზე White v. Baker, 696 F. Supp. 2d 1289 (N.D. Ga. 2010).

<sup>300</sup> Baker, 696 F. Supp. 2d at 1309–12.

<sup>301</sup> იხ. მესამე ნაწილი, „ა“ მონაკვეთი.

<sup>302</sup> იხ. ზედა შენიშვნები 18–23 და თანმხლები ტექსტი.

<sup>303</sup> იხ. ზედა შენიშვნები 29–30 და თანმხლები ტექსტი.



უნდა დაამტკიცოს კაპილის სტანდარტი, რომლის მიხედვით, მოსარჩელემ, რომელიც ითხოვს მოპასუხის ვინაობის გამჟღავნებას, სასამართლოს მიერ ვინაობის გამჟღავნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა წარუდგინოს მას საკმარისი მტკიცებულებები. მეოთხე ნაწილის „ბ“ მონაკვეთში განხილულია, თუ როგორ უნდა გააფართოოს კანონმდებელმა ცილისწამებისა და ონლაინ ზიანის მსხვერპლთა იურიდიული უფლებები, რათა წონასწორობა დაამყაროს ანონიმური სიტყვის დაცვასა და იმ პრობლემებს შორის, რაც შეიძლება მან გამოიწვიოს.

## ა. ანონიმი ავტორის ვინაობის გამოვლენის მიზნით სასამართლოში გამოძახების სტანდარტი

სინამდვილეში, ონლაინ რეჟიმში ანონიმურად წერა არ ასახავს იმ ისტორიულ იდეას, რომ ანონიმური სიტყვა დემოკრატიული პრინციპების განვითარებას უწყობს ხელს მონაწილეობის თავისუფლების უზრუნველყოფით, როგორც ამას Talley and McIntyre-ის საქმეში მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებს<sup>304</sup>. ჯერჯერობით, ანონიმური სიტყვის შეზღუდვის გამამართლებელი გარემოებები, რომლებიც გამოყენებული იქნა საქმეში Buckley და Citizens United – როგორცაა პოლიტიკურ პროცესებში ინტეგრირების დაცვა და მოქალაქეების უზრუნველყოფა ინფორმაციით, რაც მათ სჭირდებათ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად<sup>305</sup> – იგივე მოცულობით არ ფიგურირებს ანონიმურ ონლაინ სიტყვაში<sup>306</sup>. ვინაიდან ანონიმური ონლაინ სიტყვა „ზოგადად არის ნაკლებად ღირებული, ვიდრე არაანონიმური სიტყვა“<sup>307</sup>, მას საშუალო დაცვა უნდა მიენიჭოს, როცა მხარეები ავტორის ვინაობის დადგენას ცდილობენ. ამ მიზნის მიღწევას ყველაზე კარგად დელავერის უზენაესი სასამართლოს მიერ კაპილის საქმეში შემუშავებული და მიღებული ტესტი უზრუნველყოფს<sup>308</sup>. კაპილის სტანდარტი იმიტომ უნდა იქნეს გამოყენებული, რომ ის უმაღლესი ხარისხის დაცვით უზრუნველყოფს ანონიმურ მოსაუბრეს და, შესაბამისად, ხელს უწყობს სიტყვის თავისუფლებას, ის მარტივიც არის და ალტერნატიულ ტესტებზე უკეთესია<sup>309</sup>.

კაპილის ტესტი მოსარჩელეს ავალდებულებს, რომ მტკიცების ტვირთი იკისროს, დაამტკიცოს, რომ მისი სარჩელი უტყუარი მტკიცებულებებით არის გამყარებული ან დააკმაყოფილოს გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტის მოთხოვნები, სანამ ანონიმი ავტორის გამოვლენას შეძლებს, რითაც მას დაცვის უმაღლეს ხარისხს ანიჭებს<sup>310</sup>. ანონიმ ავტორთა უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ონლაინ სიტყვაზე

<sup>304</sup> იხ. ზედა შენიშვნები 104-05, 114 და თანმხლები ტექსტი.

<sup>305</sup> იხ. ნაწილი პირველი, „გ“ (2).

<sup>306</sup> იხ. ზედა შენიშვნა 146 და თანმხლები ტექსტი.

<sup>307</sup> იხ. Lidsky & Cotter, ზედა შენიშვნა 149, გვ. 1559; აგრეთვე, ზედა შენიშვნები 161–63, 169–72 და თანმხლები ტექსტი.

<sup>308</sup> იხ. მესამე ნაწილი, „ა“ (3).

<sup>309</sup> კაპილის სტანდარტის განხილვა იხ. ზედა შენიშვნები 239–44.

<sup>310</sup> იხ. ზედა შენიშვნები 239-40 და თანმხლები ტექსტი.

დათრგუნვის ეფექტმა არ მოახდინოს გავლენა<sup>311</sup>. სიტყვის თავისუფლების იდეათა ბაზრის თეორიის მიხედვით, კონკურენტულ იდეათა შორის საბოლოოდ ჭეშმარიტება გაიმარჯვებს<sup>312</sup>. მიუხედავად ზოგიერთი კრიტიკოსის მოსაზრებისა, რომ ონლაინ სიტყვას სხვისთვის ზიანის მიყენების უფრო დიდი პოტენციალი აქვს<sup>313</sup>, ყურადღება უნდა გამახვილდეს სიტყვის კონტექსტზე, როცა ვადგენთ, დადგება თუ არა ზიანი. მაგალითად, მკითხველისთვის ნაკლებად სანდოა ტაბლოიდი, ვიდრე რომელიმე აღიარებული, ავტორიტეტული ვებგვერდი<sup>314</sup>. ასე რომ, მხოლოდ სიტყვის არსებობა არ ნიშნავს ვინმესთვის ზიანის მიყენებას.

ანონიმური სიტყვის უფლება ხელს უწყობს სიმართლის ძიებას, რაც ხორციელდება ინდივიდების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებით, დასჯის შიშის გარეშე<sup>315</sup>. თუ ანონიმი პირის ვინაობის გამჟღავნების სტანდარტი ძალიან დაბალია, მოქალაქეს თუ კრიტიკოსებს საშუალება ექნებათ, ავტორის ვინაობა გაიგონ მისი დაშინების ან დევნის მიზნით<sup>316</sup>. სტატისტიკურად, ცილისწამების საქმეებში მოსარჩევეებს ნაკლებად აქვთ მოგების შანსი. John Doe - სასამართლოში გამოძახება უმეტესად კორპორატიული მოსარჩევეების მიერ გამოიყენება, რომლებიც ცდილობენ, გააჩუმონ კრიტიკოსები<sup>317</sup>. ანონიმი მოსაუბრის ვინაობის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, თუკი ამის აუცილებლობა არ არის, სასამართლომ არ უნდა მოითხოვოს ვინაობის გამჟღავნება, სანამ მომჩივანი არ დაარწმუნებს მას, რომ საქმის არსებით მხარეს მოიგებს. სხვა მხრივ, სიტყვის ავტორები ფრთხილად უნდა იყვნენ განცხადებების გაკეთებისას/წერისას, თუ ფიქრობენ, რომ მათი მიკვლევა ამ მესიჯების საშუალებით შეიძლება, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს სიტყვის ანონიმურობის დაცვაზე<sup>318</sup>. ამგვარი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, როცა დაქირავებულს ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება სურს თავის დამქირავებელზე, რომლის მიმართ მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი, მაგრამ ეშინია, რომ მისი უფროსი საპასუხო ზომებს მიიღებს<sup>319</sup>.

კაპილის სტანდარტი უკეთესად იცავს ანონიმურ სიტყვას, იმიტომ რომ ის დენდრიტის მრავალფაქტორიან დამაბალანსებელ ტესტზე გაცილებით მარტივია<sup>320</sup>. დენდრიტის ტესტის მეხუთე ასპექტი, რომელიც სიტყვის დაცვის ინტერესებისა და იმ ზიანის დაბალანსებას ცდილობს, რაც შეიძლება ამ სიტყვამ მოიტანოს, სრულიად ზედმეტია, რადგან იგივე დაბალანსება ბუნებრივად ახლავს გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების ტესტს<sup>321</sup>. დენ-

<sup>311</sup> იხ. მეორე ნაწილი, „ა“ მონაკვეთი.

<sup>312</sup> იხ. შენიშვნა 138 და თანმხლები ტექსტი. მაგრამ იხილეთ აგრეთვე, Scot Wilson, Corporate Criticism on the Internet: The Fine Line Between Anonymous Speech and Cybersmear, 29 PEPP. L. REV. 533, 540-42 (2002) (ავტორი ამტკიცებს, რომ ანონიმური სიტყვის თავისუფლების განმარტება „თავისუფალი ბაზრის“ თეორიის მიხედვით, შეზღუდულია კანონიერ და ცილისმწამებლურ სიტყვას შორის გამყოფი ხაზის გავლებასთან დაკავშირებული სირთულის გამო).

<sup>313</sup> იხ. Malloy, ზედა შენიშვნა 66, გვ. 1190; იხ. აგრეთვე, ზედა შენიშვნები 169-72.

<sup>314</sup> იხ. ზედა შენიშვნები 64-66.

<sup>315</sup> იხ. მეორე ნაწილი, „ა“.

<sup>316</sup> იხ. ზედა შენიშვნები 192-93 და თანმხლები ტექსტი.

<sup>317</sup> იხ. Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ. 470-71

<sup>318</sup> იხ. ზედა შენიშვნები 192-93 და თანმხლები ტექსტი.

<sup>319</sup> იხ. ზედა შენიშვნა 149 და თანმხლები ტექსტი.

<sup>320</sup> იხ. ზედა შენიშვნები 255-56 და თანმხლები ტექსტი.

<sup>321</sup> იხ. ახალი საქმეები, Maryland Court of Appeals Sets Out Process Required Before Court May Compel Identification of Anonymous Internet Defendants, 123 HARV. L. REV. 1011, 1014-15 (2010) [hereinafter Anonymous Internet Defenders].

დრიტის ტესტი ქმნის გაუგებრობებს, მოსარჩელე იბნევა და დარწმუნებული აღარ არის, რომ მისი სარჩელი კანონიერ საფუძველზეა აღძრული, რაც თავისთავად ართულებს საქმის აღძვრას<sup>322</sup>. ასეთი გაურკვევლობის გამო მოსარჩელემ შეიძლება თავი შეიკავოს სარჩელის შეტანისგან, შედეგად, ის ვერ მიაღწევს სამართლიანობას, ხოლო სიტყვის ავტორი გააგრძელებს პოტენციურად ცილისმწამებლური განცხადებების განთავსებას.

გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი მოიცავს ბუნებრივი ბალანსირების ტესტს, ვინაიდან იგი სიტყვის ავტორის ვინაობის გამჟღავნების ნებართვას იძლევა მხოლოდ მაშინ, თუ სარჩელს მყარი საფუძველი აქვს<sup>323</sup>.

გამარტივებულის წესით მიღებული გადაწყვეტილების ტესტი შეიძლება ნაკლებად იცავს სიტყვას ვიდრე დენდრიტის ტესტი, ვინაიდან ის არ იცავს სიტყვის ავტორს მაშინ, როცა ავტორის ანონიმად დარჩენის ინტერესი აჭარბებს მომჩივნის იმ ინტერესს, რომ მომგებიანი საქმე აღძრას. თუმცა გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების ტესტს მაინც აქვს უპირატესობა, რადგან ბალანსირების სტანდარტი ანონიმ ავტორებს უფრო მეტ დაცვას მიანიჭებდა, ვიდრე მათ სიტყვის სხვა კონტექსტებში ექნებოდათ<sup>324</sup>.

გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების ტესტს უპირატესობა აქვს აგრეთვე კეთილსინდისიერების ტესტთან შედარებით, ვინაიდან კეთილსინდისიერების სტანდარტის მიხედვით, სიტყვის ავტორის ანონიმურობა მარტივად ირღვევა მაშინაც, როცა სახეზეა ავტორის ანონიმურობის დაცვის მნიშვნელოვანი ინტერესი<sup>325</sup>. კეთილსინდისიერების ტესტი სტიმულს აძლევს მოსარჩელეს, შეიტანოს სარჩელი მაშინაც კი, როცა მას იურიდიული საფუძველი არ გააჩნია<sup>326</sup>. კეთილსინდისიერების ტესტი ფაქტობრივად უფლებას ართმევს მოპასუხეს, რაიმე შეურაცხმყოფელი/მიუღებელი თქვას სხვა პირზე, იმიტომ რომ ასეთი კომენტარები კეთილსინდისიერების ტესტის მიხედვით შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს სარჩელის შესატანად. თუმცა უზენაეს სასამართლოს აღიარებული აქვს, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დაუშვებელია, თუნდაც ეს სიტყვა ვინმესთვის იყოს შეურაცხმყოფელი<sup>327</sup>. ასე რომ, კეთილსინდისიერების ტესტი ვერ უზრუნველყოფს სიტყვის ავტორის ანონიმურობის ადეკვატურ დაცვას. კეთილსინდისიერების სტანდარტი ონლაინ რეჟიმში ანონიმურობის დაცვასთან დაკავშირებული ადრეული საქმიდან მოდის, მაგრამ დიდი სიძლიერით არ გამოირჩევა, დღევანდელი სასამართლოები უპირატესობას ბალანსირების ტესტს ან გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტს ანიჭებენ<sup>328</sup>.

პროფესორი სიუზენ მური ამტკიცებს, რომ კაპილის საქმეში მიღებული სტანდარტი ზედმეტად მომთხოვნია, რადგან მოსარჩელისთვის შეუძლებელი ხდება ბოროტი განზრახვის

<sup>322</sup> იხ. ზედა შენიშვნები 234–35 და თანმხლები ტექსტი.  
<sup>323</sup> იხ. ზედა შენიშვნები 239–40 და თანმხლები ტექსტი.  
<sup>324</sup> იხ. Anonymous Internet Defenders, ზედა შენიშვნა 320, გვ. 1015.  
<sup>325</sup> იხ. ზედა შენიშვნები 212–14 და თანმხლები ტექსტი.  
<sup>326</sup> იხ. ზედა შენიშვნა 213 და თანმხლები ტექსტი.  
<sup>327</sup> იხ. ზედა შენიშვნა 34 და თანმხლები ტექსტი.  
<sup>328</sup> Calvert et al., ზედა შენიშვნა 148, გვ. 40; იხ. მესამე ნაწილი, „ა“, 2-3.

დამტკიცება ბრალდებულის ვინაობის ცოდნის გარეშე<sup>329</sup>. თუმცა ის არ მიუთითებს, რომ კაპილის სტანდარტი მხოლოდ ისეთი ელემენტების დამტკიცებას ითხოვს მოსარჩელისგან, რაშიც ის დარწმუნებულია და, შესაბამისად, არც განზრახვის დამტკიცება უწევს იმისთვის, რომ სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილოს<sup>330</sup>. და მაინც, ეს ნორმა კაპილის სტანდარტის გაკრიტიკების საშუალებას იძლევა იმის გამო, რომ თითქოს პროცედურული მიდგომა დანერგა გარკვეული მოთხოვნების შესუსტების ფონზე, რაც მოსარჩელებში დაბნეულობას იწვევს<sup>331</sup>. ეს არგუმენტი ტექნიკური სახისაა და არ ითვალისწინებს ტესტის არსებით მხარეს. პრაქტიკულად, მოსარჩელისთვის შეუძლებელი ხდება ყველა მტკიცებულების წარმოდგენა სარჩელის გასამაგრებლად, ბრალდებულის ვინაობის ცოდნის გარეშე. სტანდარტებს შორის არჩევანის გაკეთებისას, რომლებიც მოსარჩელისგან რაც შეიძლება მეტი მტკიცებულების წარმოდგენას ითხოვენ, როგორც ამას კაპილის სტანდარტი აკეთებს, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ სასამართლო დავა უსაფუძვლო არ აღმოჩნდეს ან ის ბოროტი განზრახვით არ იყოს წამოწყებული.

კაპილის ტესტის ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ *Dendrite*-ს საქმეში მიღებული გაფრთხილების მოთხოვნა, რომელიც მოსარჩელისგან მოსაუბრის/ავტორის გაფრთხილებას ითხოვს სასამართლოში შესაძლო გამოძახების თაობაზე, უფრო მეტ დაცვას ანიჭებს ანონიმ მოსაუბრეს/ავტორს, რადგან დაცვის შესაძლებლობას აძლევს მას<sup>332</sup>. კერძოდ, პროფესორი მური ფიქრობს, რომ გაცილებით სამართლიანი იქნებოდა მტკიცებულების ტვირთის მოსარჩელებზე გადატანა და არა ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელზე, ვინაიდან მოსარჩელეს უფრო დიდი ინტერესი აქვს საქმისადმი და, სავარაუდოდ, ის უფრო მეტ ზომას მიიღებს ბრალდებულის გასაფრთხილებლად, ვიდრე ის მხარე, რომელსაც ინტერესი არ გააჩნია<sup>333</sup>. თუმცა მკვლევარები, რომლებიც კაპილის ტესტს ეწინააღმდეგებიან, იგნორირებენ იმ ფაქტს, რომ გაფრთხილების მოთხოვნა არ გამოიყენება გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილებისთვის<sup>334</sup>. კაპილის გადაწყვეტილებაში სასამართლომ პირდაპირ ჩასვა გაფრთხილების მოთხოვნა, რითაც თვალნათლივ აჩვენა, რომ გაფრთხილების მოთხოვნა შეიძლება სტანდარტის ბუნების შეუცვლელად იქნეს მიღებული<sup>335</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი მუდმივი კრიტიკის საგანია, ის მაინც საუკეთესოდ მიიჩნევა ანონიმური ონლაინ სიტყვის თავისუფლების დასაცავად. ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება ბოროტადაც გამოიყენოს ანონიმურობის უფლება<sup>336</sup>, მაგრამ სტანდარტის დაწევა პირის განსაჯაროების მიზნით, მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს, თუკი მოსაუბრე/ავტორი სამართლებრივ სანქ-

<sup>329</sup> იხ. Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ. 481.

<sup>330</sup> ზედა შენიშვნა 241-44 და თანდართული ტექსტი.

<sup>331</sup> ზედა შენიშვნა 261 და თანდართული ტექსტი. იხ. აგრეთვე Kissinger & Larsen, ზედა შენიშვნა 257, გვ. 18-19.

<sup>332</sup> Lidsky & Cotter, ზედა შენიშვნა 149, გვ. 1598; Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ. 483.

<sup>333</sup> Moore, ზედა შენიშვნა 184, გვ.438-84 ("მიიჩნევა, რომ ISP არ იტვირთავს გაფრთხილების ტვირთს მათი მომხმარებლების სახელით მკაფიო მანდატის ან სტიმულის გარეშე").

<sup>334</sup> Cf. id. (აღიარებს, რომ კაპილის სტანდარტიც შეიცავს გაფრთხილების მოთხოვნას, მაგრამ ვერ ხსნის, თუ რატომაა *Dendrite*-ს სტანდარტი უკეთესი გაფრთხილების მოთხოვნასთან დაკავშირებით).

<sup>335</sup> იხ. Doe v. Cahill, 884 A.2d 451, 460 (Del. 2005) (ინარჩუნებს *Dendrite*-ს სტანდარტის გაფრთხილების მიმართულებას).

<sup>336</sup> იხ. მეორე ნაწილის „ბ“ მონაკვეთი.

ციებს არ დაექვემდებარება. ამგვარად, სასამართლოებმა გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი უნდა გამოიყენონ, როცა წყვეტენ, თუ როდის გამოააშკარაონ ანონიმი მოსაუბრის იდენტობა.

ამას გარდა, შტატებმა ეს სტანდარტი იმიტომაც უნდა დაამტკიცონ, რომ ანონიმი მოსაუბრის ვინაობის გამომჟღავნებაზე ნება გასცენ, მიუხედავად ძირითადი დავის საგნისა. მეცხრე საოლქო სასამართლოს მოსამართლეები და პროფესორი კლეი კალვერტი ამტკიცებენ, რომ მოსაუბრის იდენტობის გამამჟღავნებელი სტანდარტი დამოკიდებული უნდა იყოს ძირითადი დავის ბუნებაზე<sup>337</sup>. თუმცა გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი თავისთავად ითვალისწინებს მთავარი სარჩელის ბუნებას იმის მეშვეობით, რომ დასაშვებს ხდის ავტორის გამოვლენას მხოლოდ მაშინ, როცა მოსარჩელე ავტორის მართლ-საწინააღმდეგო მოქმედების მტკიცებულებას წარმოადგენს<sup>338</sup>. განსხვავებული სტანდარტის დაწესება სიტყვის სხვადასხვაგვარი ფორმებისთვის სინამდვილეში პრობლემებს შექმნის სამართლის სფეროში, იქ, სადაც სიცხადე უნდა იყოს<sup>339</sup>.

## „ბ“ საკანონმდებლო რეაგირება

ხელისუფლება არ უნდა ცდილობდეს ანონიმური ონლაინ სიტყვის აკრძალვას, რადგან, მიუხედავად იმ ადამიანებისა, რომლებიც მას ბოროტად იყენებენ, ანონიმური სიტყვა მანც ლეგიტიმურ ინტერესებს ემსახურება. თითქმის ყველა კანონი, რომელიც ამ უფლებას კრძალავს, სავარაუდოდ, არაკონსტიტუციურად იქნება ცნობილი<sup>340</sup>. აკრძალვის ნაცვლად, საკანონმდებლო ორგანომ იმ ზიანთა ხელახალი განსაზღვრებით უნდა დაარეგულიროს ანონიმურად წერა ონლაინ რეჟიმში, რომლის ანაზღაურების უფლებაც ექნებათ ადამიანებს<sup>341</sup>.

ცალკეული შტატები ონლაინ ანონიმურ სიტყვასთან დაკავშირებული პრობლემების შეზღუდვებით ან აკრძალვით გადაჭრას არ უნდა ცდილობდნენ, რადგან მათ მიერ მიღებული ნებისმიერი კანონი ვაჭრობის რეგულირების მუხლთან დაკავშირებულ პრობლემას შექმნის<sup>342</sup>. ერთი შტატის მიერ ინტერნეტის რეგულირების მცდელობა იურისდიქციულ პრობლემებს შექმნის, რადგან კანონი გარკვეულ აქტივობებს გამოიწვევს სხვა შტატებში<sup>343</sup>. ან-

<sup>337</sup> იხ. In re Anonymous Online Speakers, 661 F.3d 1168, 1177 (9th Cir. 2011) (“ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიტყვის ბუნება გამწვევი ძალა უნდა იყოს იმ სტანდარტის შერჩევას, რომლითაც უნდა დაბალანსდეს ანონიმი ავტორების უფლებები მათ გამოვლენასთან დაკავშირებულ დავებში”); Calvert et al., ზედა შენიშვნა 148, გვ. 47-48.

<sup>338</sup> ზედა შენიშვნები 250–51 და თანდართული ტექსტი.

<sup>339</sup> ზედა შენიშვნა 44 და თანდართული ტექსტი.

<sup>340</sup> იხ. პირველი ნაწილის ‘ა’ მონაკვეთი.

<sup>341</sup> იხ. მეორე ნაწილის ‘ბ’ მონაკვეთი.

<sup>342</sup> ფარული სავაჭრო მუხლის პრობლემა მაშინ ჩნდება, როცა ერთი შტატის კანონი ან რეგულაციები სხვა შტატებში ჩასატარებელ აქტივობებს გულისხმობს. ეს პრობლემატური საკითხია, რადგან შეიძლება შტატების პროტექციონისტულ რეგულაციამდე მიგვიყვანოს და ძირი გამოუთხაროს სახელმწიფო ბაზარს. იხ.სამე: Brown-Forman Distillers Corp. v. N.Y. Liquor Auth., 476 U.S. 573, 580 (1986).

<sup>343</sup> იხ. მაგ.: Kenneth D. Bassinger, Note, Dormant Commerce Clause Limits on State Regulation of the Internet (ფარული სავაჭრო მუხლის შეზღუდვები ინტერნეტის რეგულირებაზე შტატების მიერ...): The Transportation Analogy, 32 GA. L. REV. 889 (1998); James E. Gaylord, Note, State Regulatory Jurisdiction and the Internet (შტატის მარეგულირებელი იურისდიქცია და ინტერნეტი...): Let-

ნიმუში სიტყვის რეგულირება შეიძლება საერთაშორისო დონეზეც პრობლემური აღმოჩნდეს მოსალოდნელი შედეგების გამო<sup>344</sup>.

საკანონმდებლო ორგანო არ უნდა ისწრაფოდეს იმგვარი პროცედურის შექმნისკენ, რომელიც ვებგვერდიდან მასალის ჩამოხსნის DMCA-ს ანალოგიური იქნებოდა, რადგან სიტყვის თავისუფლების და საავტორო უფლებათა ღირებულებებს შორის თანდაყოლილი განსხვავება არსებობს<sup>345</sup>. საავტორო უფლებები გათვალისწინებულია მათ დასაცავად, ვინც შემოქმედებას ქმნის<sup>346</sup>. ამის საპირისპიროდ, პირველი დამატება გამოხატვის თავისუფლებას იცავს<sup>347</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ვებგვერდიდან შინაარსის ჩამოხსნამ შეიძლება სიტყვის გარკვეული ნაწილი შეზღუდოს, უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა პირველი დამატების გამოწვევებზე საავტორო უფლებების დარღვევის საქმეებში<sup>348</sup>. უფრო გონივრული იქნება, თუ სასამართლო უფლებათა დამრღვევი მასალის გავრცელების შეზღუდვის მხარეს დაუშვებს შეცდომას, რადგან ეს თუ დროულად არ შეიზღუდა, დავკარგავთ საავტორო უფლებების მესაკუთრის ინტერესს. თუმცა პირველი დამატება გამოხატვის თავისუფლების დასაცავად შეიქმნა და თუ ISP-ებს და ვებგვერდების ადმინისტრატორებს სიტყვის მოხსნას მოვთხოვთ, ამ უფლებას დავარღვევთ<sup>349</sup>. ამას გარდა, საავტორო უფლებების დარღვევის დადგენა ობიექტური შეფასებაა, რომლის გადაჭრა ISP შეუძლია, მაშინ როცა სიტყვის რეგულირება უფრო სუბიექტური ხასიათისაა და უფრო რთულად განისაზღვრება. ონლაინ ანონიმური სიტყვა უფრო ფართო სპექტრს მოიცავს სიტყვისას, რომლის უდიდესი ნაწილის შეზღუდვა ხელისუფლებას არ შეუძლია<sup>350</sup>. ISP-ს ან ვებგვერდის ადმინისტრატორს, სავარაუდოდ, არ ეცოდინებათ შესაზღუდია თუ არა სიტყვა, რაც შედეგად სიტყვის ზედმეტად რეგულირებას მოიტანს. გარდა ამისა, სიტყვის დასაშვები რეგულირების სამართლებრივი სტანდარტის უცოდინრობა კანონის არათანაბრად გამოყენებასაც გამოიწვევს, რადგან თითოეული ვებგვერდის ადმინისტრატორი სხვადასხვა სტანდარტს მიმართავს მასალის ჩამოხსნელად<sup>351</sup>, თანაც, ჩამოხსნაზე მიღებული გადაწყვეტილება ვებგვერდის ადმინისტრატორის მიკერძოებულ პოზიციაზე იქნება დამოკიდებული. კანონის არათანასწორი გამოყენება შეაფერხებს მკაფიო სტანდარტების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ალბათ დაცულ სიტყვას მოთოკავს.

ნიუ-ორკის საკანონმდებლო ორგანოს კანონპროექტი სხვა კონსტიტუციურ დეფექტებსაც წარმოაჩენს. ამ დეფექტების საშუალებით შესაძლებელი ხდება ანონიმური სიტყვის თავისუფ-

ting the Dormant Commerce Clause Lie, 52 VAND. L. REV. 1095 (1999); Ari Lanin, Note, Who Controls the Internet? States' Rights and the Reawakening of the Dormant Commerce Clause (ვინ აკონტროლებს ინტერნეტს? შტატების უფლებები და ფართული სავაჭრო მუხლის გამოღვივება), 73 S. CAL. L. REV. 1423 (2000).

<sup>344</sup> იხ. John Rothschild, Protecting the Digital Consumer: The Limits of Cyberspace Utopianism (ციფრული მომხმარებლის დაცვა...), 74 IND. L.J. 893 (1999).

<sup>345</sup> იხ. მეორე ნაწილის „ა“ მონაკვეთი (საუბარია სიტყვის თავისუფლების ფუძემდებლურ ღირებულებებზე).

<sup>346</sup> Cf. Kevin M. Lemley, The Innovative Medium Defense: A Doctrine To Promote the Multiple Goals of Copyright in the Wake of Advancing Digital Technologies, 110 PENN ST. L. REV. 111, 134 (2005) („საავტორო უფლებების სამართალი საზოგადოებრივ ინტერესს წამოსწევს წინ ავტორებისთვის ეკონომიკური სტიმულის შექმნის გზით...“).

<sup>347</sup> იხ. ზედა შენიშვნები 141, 149.

<sup>348</sup> Harper & Row Publishers, Inc. v. Nation Enters., 471 U.S. 539, 555–56 (1985).

<sup>349</sup> ზედა შენიშვნები 153–55.

<sup>350</sup> იხ. პირველი ნაწილის „ა“ მონაკვეთი.

<sup>351</sup> ზედა შენიშვნა 42 და თანდართული ტექსტი.

ფლების შეზღუდვა ვებგვერდიდან მასალის მოხსნის პროცედურების გზით, რადგან პროექტის ორივე ვარიანტი ბუნდოვანი, ზედმეტად ფართო და არაინკლუზიურია<sup>352</sup>. პროექტები ბუნდოვანია იმიტომ, რომ ვერ ახერხებენ ავტორების გაფრთხილებას იმის შესახებ, თუ რომელი სიტყვაა დაცული და არც ადმინისტრატორებს უთითებენ, როდის უნდა ჩამოხსნან მასალა ინტერნეტიდან<sup>353</sup>. მართალია, ასამბლეის ვერსია უფრო კონკრეტულია და ადმინისტრატორებს უთითებს, „კეთილსინდისიერად ეცადონ, რომ მსხვერპლთან დაკავშირებული კომენტარები ფაქტებს ეყრდნობოდეს“<sup>354</sup>, ის არ განუმარტავს მათ, თუ რა ქმედებები ითვლება კეთილსინდისიერ მცდელობად<sup>355</sup>. ორივე ვერსია არაინკლუზიურია იმიტომ, რომ მხოლოდ ანონიმურ თავდასხმებს ითვალისწინებს და მხედველობიდან რჩება კიბერხულიგნობა – კანონის გაცხადებული მიზანი – რომელიც საჯაროდ ან იდენტიფიცირებად სოციალური მედიის პროფილებზე ხდება<sup>356</sup>.

ნიუ-იორკის საკანონმდებლო ორგანოს წინადადება, რომელსაც ამჟამად სენატი განიხილავს, კონტენტ-ნეიტრალურია, რადგან ის ადმინისტრატორისგან მოითხოვს ყველა იმ ანონიმური შენიშვნის მოხსნას ვებგვერდიდან, რომლის მოხსნაზეც თხოვნა შევა, სიტყვის შინაარსის მიუხედავად<sup>357</sup>. ასე რომ, რეგულაცია საშუალო სიმკაცრის შემოწმებას დაექვემდებარება, რომელიც ითხოვს, კანონი არსებითად იყოს დაკავშირებული ხელისუფლების მნიშვნელოვან ინტერესთან<sup>358</sup>. პროექტის მიზანი კი არის კიბერხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ხელისუფლების მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს<sup>359</sup>. მაგრამ პროექტი არსებითად არ არის დაკავშირებული ამ მიზანთან, რადგან ის არახულიგნურ სიტყვას ზღუდავს<sup>360</sup>. ამას გარდა, პროექტი არაკონსტიტუციურად ზედმეტად ფართოა. მან შეიძლება ისეთი სიტყვის შეზღუდვა მოიტანოს შედეგად, რაც სხვა მხრივ, კონსტიტუციურად დასაშვებია<sup>361</sup>. საკანონმდებლო ორგანომ განსხვავებული, უფრო ზუსტად მორგებული მეთოდი უნდა აირჩიოს ამ პროექტის მიზნების მისაღწევად ისე, რომ პირველი დამატებით გარანტირებული უფლებები არ შელახოს<sup>362</sup>.

<sup>352</sup> იხ. ზედა შენიშვნები 40–44, 283–85 და თანდართული ტექსტი.

<sup>353</sup> იხ. ზედა შენიშვნები 40–42, 283–85 და თანდართული ტექსტი.

<sup>354</sup> A.B. 8688, 2012 Leg., 235th Sess. (N.Y. 2012) (ხელახლა განხილულია 2012 წლის 23 ივლისს).

<sup>355</sup> კეთილსინდისიერების ამ სტანდარტით შექმნილი ბუნდოვანება ვირჯინიის კეთილსინდისიერების სტანდარტით (ვინაობის განსაჯაროებაზე დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას) შექმნილ პრობლემებს დაემსგავსებოდა. იხ. ზედა შენიშვნები 213–14 და თანდართული ტექსტი.

<sup>356</sup> იხ. ზედა შენიშვნა 284 და თანდართული ტექსტი.

<sup>357</sup> იხ. ზედა შენიშვნები 35–39 და თანდართული ტექსტი.

<sup>358</sup> იხ. ზედა შენიშვნები 35–36 და თანდართული ტექსტი.

<sup>359</sup> იხ. ზედა შენიშვნა 281 და თანდართული ტექსტი.

<sup>360</sup> იხ. ზედა შენიშვნები 282–84 და თანდართული ტექსტი.

<sup>361</sup> იხ. Lidsky & Cotter, ზედა შენიშვნა 149, გვ. 1590–93 (იმ სტანდარტების განხილვა, რომლებიც შტატებმა უნდა გამოიყენონ, როცა ანონიმური ონლაინ სიტყვის შეზღუდვას ცდილობენ).

<sup>362</sup> იხ. მაგ.: Andrew B. Carrabis & Seth D. Haimovitch, Cyberbullying: Adaptation from the Old School Sandlot to the 21st Century World Wide Web—The Court System and Technology Law’s Race To Keep Pace (სასამართლო სისტემისა და ტექნოლოგიური სამართლის რბოლა მშვიდობისთვის), 16 J. TECH. L. & POL’Y 143 (2011); იხ. Jamie Wolf, Note, The Playground Bully Has Gone Digital: The Dangers of Cyberbullying, the First Amendment Implications, and the Necessary Responses (ეზოს ჩხუბისთავი კიბერჩხუბისთავად იქცა: კიბერხულიგნობის საფრთხეები, პირველი დამატების შედეგები და საჭირო რეაგირება) 10 CARDOZO PUB. L. POL’Y & ETHICS J. 575 (2012).

სიტყვა ონლაინ რეჟიმში ბევრ კატეგორიად იყოფა. თითოეულ მათგანს შემოწმების თავისივე სტანდარტი აქვს<sup>363</sup>. ასე რომ, ნებისმიერ კანონს, რომელიც ანონიმური სიტყვის თავისუფლების დარეგულირებას ცდილობს ონლაინ რეჟიმში, ამ სიტყვებს შორის განსხვავების დადგენა მოუწევს<sup>364</sup>. ალბათ ნიუ-იორკის შტატის ასამბლეა ამას მიხვდა და სცადა კანონის გამოყენება მხოლოდ ცილისმწამებლური სიტყვისთვის დაეშვა<sup>365</sup>. თუმცა ეს წინადადება კონტექსტზეა დაფუძნებული, რადგან ის ვებგვერდის ადმინისტრატორისგან ითხოვს კომენტარების მოხსნას მოთხოვნისას<sup>366</sup>. კანონი, როგორც ასეთი, მკაცრი დონის შემოწმებას ექვემდებარება და ის ვიწროდ უნდა იყოს მორგებული მთავრობის დაუძლეველ ინტერესზე<sup>367</sup>. თუნდაც დავუშვათ, რომ მთავრობას ცილისმწამებლური ონლაინ სიტყვისთვის ბოლოს მოღების დაუძლეველი ინტერესი აქვს პირველი დამატების მიზნებისთვის, რეგულაცია, სავარაუდოდ, არაკონსტიტუციურია ბლანკეტურობის გამო<sup>368</sup>. მთავრობებმა შეიძლება ცილისმწამებლური სიტყვა დაარეგულირონ, რადგან სიტყვის ადრესატის რეპუტაციის ინტერესი აღემატება მოსაუბრის/ავტორის ინტერესს მეორე მოსაუბრეში (რომელიც დაბალია ჩვეულებრივ, რადგან ეს კერძო და არა საზოგადოებრივი ხასიათის საკითხია)<sup>369</sup>. მაგრამ მთავრობას არ შეუძლია სიტყვის თავისუფლების დარეგულირება მხოლოდ იმიტომ, რომ ის უგემოვნო ან შეურაცხმყოფელია<sup>370</sup>. ნიუ-ორკის შტატის პროექტი არსებითად მოითხოვს ვებგვერდის ადმინისტრატორებისგან კომენტარების მოხსნას სიტყვის სამიზნის მოთხოვნისას, რაც ალბათ ამ სიტყვის, მართალია, შეურაცხმყოფელის, მაგრამ არაცილისმწამებლურის, როგორც ეს კონკრეტულად განისაზღვრება სამართლებრივად, მოხსნით დამთავრდება<sup>371</sup>.

კონსტიტუციური სირთულეების გათვალისწინებით, რაც თან ახლავს ონლაინ რეჟიმში ანონიმური სიტყვის თავისუფლების შემზღვეველი კანონმდებლობის ფორმირებას, საკანონმდებლო ორგანომ სხვა ალტერნატიული გზების მოძიება უნდა სცადოს კიბერხული-გნობასა და ზიანის მომტან სხვა ონლაინ სიტყვასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

<sup>363</sup> იხ. პირველი ნაწილის „ა“ მონაკვეთი.

<sup>364</sup> Martin, ზედა შენიშვნა 54, გვ. 1240–41.

<sup>365</sup> იხ. ზედა შენიშვნა 285 და თანდართული ტექსტი.

<sup>366</sup> იხ. ზედა შენიშვნები 29–34, 285 და თანდართული ტექსტი.

<sup>367</sup> იხ. ზედა შენიშვნა 30 და თანდართული ტექსტი.

<sup>368</sup> იხ. ზედა შენიშვნები 43–44 და თანდართული ტექსტი.

<sup>369</sup> იხ. Gertz v. Robert Welch, Inc., 418 U.S. 323, 343–44 (1974) (საჯარო პირებისთვის კერძო პირებისგან განსხვავებულ სტანდარტს იყენებს ცილისწამებისთვის).

<sup>370</sup> იხ. ზედა შენიშვნები See supra note 34 and accompanying text.

<sup>371</sup> იხ. პირველი ნაწილი „ბ“ მონაკვეთი (1).



## დასკვნა

სიტყვის თავისუფლება, მათ შორის ანონიმური სიტყვის თავისუფლებაც, კონსტიტუციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებაა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება უფლებამოსილია შეზღუდოს სიტყვის თავისუფლების გარკვეული ნაწილი რეგულაციებით, ხოლო გარკვეულ ნაწილზე სამოქალაქო პასუხისმგებლობა დააწესოს მიყენებული ზიანისთვის, რეგულაციები და შეზღუდვებიც გამართლებული უნდა იყოს დასაწესებელი შეზღუდვის სიმკაცრის საფუძველზე<sup>372</sup>. ინტერნეტით სიტყვის გავრცელების ზრდასთან ერთად ხელისუფლებამ გზები უნდა ეძიოს იმისთვის, რომ წონასწორობა დაამყაროს მოსაუბრეების/ავტორების ინტერესებსა და ცილისმწამებლური თუ ღვარძლიანი სიტყვით დაზარალებულ ადამიანთა ინტერესებს შორის. სასამართლოებმა სხვადასხვაგვარი სტანდარტები შექმნეს ანონიმი ავტორის ვინაობის გამოსავლენად პირის სასამართლოში გამოძახების შუამდგომლობის განხილვისთვის. სააპელაციო სასამართლოებმა გამარტივებული წესით მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი უნდა გამოიყენონ, რადგან ის ყველაზე უკეთ იცავს ადამიანის სიტყვის თავისუფლებას და თან მომწივანსაც უტოვებს სიტყვით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანოები შეშფოთებული არიან იმ პოტენციური ზიანით, რაც ონლაინ რეჟიმში ანონიმურად აზრის გამოხატვამ შეიძლება მოიტანოს, მათ კი არ უნდა აკრძალონ ანონიმური სიტყვა, არამედ ახლებურად უნდა განსაზღვრონ ცილისწამება ონლაინ კონტექსტში, რათა გათვალისწინებულ იქნეს ონლაინ სიტყვასა და სიტყვის სხვა ტრადიციულ მედიუმებს შორის არსებული განსხვავებები. ეს გააფართოებდა სიძულვილის ენით დაზარალებულთა სასამართლო დაცვის საშუალებათა წრეს და საქმის აღძვრის შესაძლებლობას მისცემდა მათ, როცა მათი ინტერესები მოსაუბრის/ავტორის სიტყვის თავისუფლების ინტერესებს გადაწონდა.

---

<sup>372</sup> იხ. პირველი ნაწილი „ა“.